



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
2016 წლის საქმიანობის
ანგარიში

თბილისი
2017 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი


თავი 1. ჩვენ შესახებ.....	3
წლიური ანგარიშის შესახებ	5
2016 წლის ძირითადი მიღწევები	6
თავი 2. აუდიტორული საქმიანობა	10
2.1 პრიორიტეტი 1: მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარება	12
2.2 პრიორიტეტი 2: განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მხარდაჭერა	24
2.3 პრიორიტეტი 3: გარემოსდაცვითი პროგრამების მხარდაჭერა.....	31
2.4 პრიორიტეტი 4: თავდაცვისა და სამართალდამცავი სისტემების განვითარება.....	38
2.5 პრიორიტეტი 5: ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების მხარდაჭერა.....	48
2.6 პრიორიტეტი 6: ინფრასტრუქტურული პროგრამებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა.....	58
2.7 პრიორიტეტი 7: საქართველოს ეკონომიკის განვითარება.....	65
2.8 პრიორიტეტი 8: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სისტემა	78
2.9 პრიორიტეტი 9: სპორტის პროგრამების მართვა.....	85
2.10 პრიორიტეტი 10: ელექტრონული მმართველობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდაჭერა.....	88
2.11 აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	93
თავი 3. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა საჯარო სექტორში	101
3.1 თანამშრომლობა პარლამენტთან.....	101
3.2 მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა.....	103
3.3 ექსპერტ-ანალიტიკური საქმიანობა	107
3.4. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი.....	110
თავი 4. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა	112
თავი 5. სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება	116
5.1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიების განმტკიცება	116
5.2. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2022 წლებისთვის	117
5.3. ადამიანური რესურსების მართვა (HR)	118
5.4. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაძლიერება.....	120
5.5. ელექტრონული სისტემების დანერგვა ეფექტიანობის გასაზრდელად	122
5.6. საერთაშორისო თანამშრომლობა	126
5.7. კორპორაციული სულისკვეთების გაძლიერება.....	130
5.8. სოციალური თანადგომა	131
5.9. ფინანსები.....	132
დანართი N1. – 2016 წელს ჩატარებული აუდიტები	133
დანართი N2. - სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილი მასალები	136

თავი 1. ჩვენ შესახებ

სახელმწიფო აუდიტის
სამსახური წარმოადგენს
(შემდგომში სას) აუდიტის
საერთაშორისო სტანდარტების
(ISSAI) შესაბამის უმაღლეს

*სას დამოუკიდებელია ხელისუფლების
შტოებისგან და მისი დამოუკიდებლობა
გამყარებულია კონსტიტუციითა და კანონით*

აუდიტორულ ორგანიზაციას, რომელიც საჯარო სექტორს უწევს მაღალხარისხიან აუდიტორულ მომსახურებას, ხელს უწყობს უკეთეს მმართველობასა და საჯარო სექტორის მდგრად განვითარებას.



გრაფიკი N1: სას-ის ღირებულებები

სას-ის მისიაა, ხელი შეუწყოს სახელმწიფო მომსახურების გაუმჯობესებასა და საჯარო რესურსების უკეთეს მართვას კანონიერების, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით. სამსახური 4 სტრატეგიული მიზნითა და შესაბამისი ამოცანებით¹ უწყობს უკეთეს მმართველობას.

სას-ის მიზანია, საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს დამოუკიდებელი რწმუნება, თუ რამდენად მიზნობრივად, კანონმდებლობის შესაბამისად და გადასახადის გადამხდელთა ინტერესების გათვალისწინებით განიკარგება სახელმწიფო რესურსები.

სას თავის საქმიანობას წარმართავს სტრატეგიული გეგმით². სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც აუდიტორული, ასევე ექსპერტ-ანალიტიკური საქმიანობა მიმართულია საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასა და დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის მოტანაზე:

¹ სას-ის 2014-2017 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა იხ. შემდეგ ბმულზე - http://sao.ge/files/chvens_shesaxeb/strategia2014-2017.pdf

² სას-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2014-2017 წლები) იხ. შემდეგ ბმულზე: http://sao.ge/files/chvens_shesaxeb/strategia2014_2017.pdf

აუდიტორული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ფინანსური აუდიტი

❖ **ფინანსური აუდიტით** სახელმწიფო აუდიტის სამსახური გასცემს დამოუკიდებელ მოსაზრებას იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა აუდიტის ობიექტის საქმიანობა და ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

შესაბამისობის აუდიტი

❖ **შესაბამისობის აუდიტის** მიზანია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შეფასება მოქმედ კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელმწიფო და საგრანტო მოთხოვნებთან, ორგანიზაციულ პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობაში;

ეფექტიანობის აუდიტი

❖ **ეფექტიანობის აუდიტი** სწავლობს ორგანიზაციის საქმიანობის ან/და სახელმწიფო პროგრამის მართვის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ძირითად ასპექტებს. ეფექტიანობის აუდიტი საშუალებას იძლევა შეფასდეს კონკრეტული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებით მიღწეული შედეგები და ამ პროცესში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეკონომიურობა და პროდუქტიულობა;

IT აუდიტი

❖ **ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტი**³ მიზნად ისახავს აუდიტორული რწმუნების მიღებას იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ინფორმაციული სისტემები ორგანიზაციის მიზნების მიღწევას, ინფორმაციული აქტივების დაცვასა და სისტემაში არსებული მონაცემების სისრულესა და სიზუსტეს.

მოხსენებები/ დასკვნები ბიუჯეტის შესახებ

❖ **სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშებით** სას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სისტემური ხასიათის ხარვეზების გამოვლენასა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას, რაც აისახება სამსახურის დასკვნებსა და მოხსენებებში, როგორც ცენტრალური ბიუჯეტის, ისე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის⁴.

³ IT აუდიტი ტარდება ფინანსური, შესაბამისობის ან ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში.

⁴ სას ამზადებს შემდეგ ანგარიშებს: (1) მოხსენება ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მთავრობის ანგარიშზე; (2) დასკვნა ბიუჯეტის კანონის პროექტზე და მოხსენება მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ექსპერტ-ანალიტიკური საქმიანობა

აუდიტორული საქმიანობის გარდა, სას საქართველოს პარლამენტსა და აღმასრულებელ ორგანოს აწვდის რეკომენდაციებსა და რჩევებს ნორმატიული აქტების შესახებ, სახელმწიფო პროგრამების, საჯარო ფინანსების მართვის სისტემის რეფორმასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობით, სას-ს წვლილი შეაქვს კორუფციისაგან თავისუფალი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებაში. ამასთანავე, სამსახური ხელს უწყობს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სფეროში არსებული რისკების დროულ გამოვლენასა და პრევენციას.

სას, ასევე, ამზადებს კვლევით პუბლიკაციებსა და უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელოებს საჯარო ფინანსების სფეროში არსებულ მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხებზე. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სამსახური, სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მეშვეობით, ხელს უწყობს საჯარო აუდიტის გაძლიერებასა და ამ სფეროში აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია საქართველოს პარლამენტს, მოქალაქეებს, პარტნიორ ორგანიზაციებსა და ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია სას-ის 2016 წლის საქმიანობის შესახებ.

წლიური ანგარიშის შესახებ

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავის, 31-ე მუხლისა და მე-3 პუნქტის მიხედვით, სას საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს გასული წლის საქმიანობის შესახებ, ასევე, ყოველწლიური ანგარიში საჯაროდ ქვეყნდება.

წინამდებარე ანგარიში, ისევე, როგორც სას-ის ყველა ანგარიში, საჯაროა და ქვეყნდება სას-ის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.sao.ge).

(3) ანგარიში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტების შესახებ.

2016 წლის ძირითადი მიღწევები

აუდიტორული საქმიანობა

- აუდიტორული საქმიანობით ჯამში შემოწმდა 10.3 მილიარდი ლარი;⁵
- აუდიტორული საქმიანობით დაიფარა ნაერთი ბიუჯეტის 80%, თანხობრივად - 8.5 მილიარდი ლარი;
- ჩატარდა 71 აუდიტი, რომლითაც გამოვლინდა 71 მილიონი ლარის დარღვევა;
- აუდიტების შედეგად გაცემული 189 რეკომენდაციიდან შესრულდა 89 (შესრულების კოეფიციენტი 47%-ს შეადგენს);
- სამართალდამცავ ორგანოებში გადაიგზავნა 27 აუდიტის ანგარიში;⁶
- აუდიტორული საქმიანობის შედეგად ბიუჯეტში დაბრუნდა 372 ათასი ლარი;
- აუდიტორული საქმიანობით სას. ეხმიანება გაეროს (ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის) მდგრადი განვითარების მიზნებს და ხელს უწყობს სახელმწიფო დონეზე განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

წარმატებულად შესრულებული ვალდებულებები

- სამსახურმა წარმატებით განახორციელა ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამით ნაკისრი ვალდებულებები, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტი ევროკავშირისგან მიიღებს 1.5 მილიონი ევროს;
- სას-მა მოაზიდა 14 ანგარიში და სრულად შეასრულა სამსახურის კომპეტენციაში შემავალი ვალდებულებები შემდეგ მაკოორდინირებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში:
 - ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმა;
 - სახელმწიფო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის საკოორდინაციო საბჭო;
 - „ღია მმართველობის პარტნიორობა“ (OGP);
 - სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასება;
 - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.
- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ქვეკომიტეტის „ეკონომიკური და სხვა სექტორების დიალოგის“ მე-2 სხდომაზე პოზიტიურად შეფასდა სამსახურის მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი;
- მომზადდა 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც წარედგინა ევროკავშირის დელეგაციას საქართველოში.

⁵ სსიპ-ების საკუთარი შემოსავლების და სახელმწიფო საწარმოების ჩათვლით;

⁶ გადაგზავნილ ანგარიშებზე რეაგირებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა

- სამსახურმა შეიმუშავა ინოვაციური და უნიკალური ვებპლატფორა „ბიუჯეტის მონიტორი“ – www.budgetmonitor.ge; რომელიც პარლამენტარებს, ექსპერტულ წრეებსა თუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას ერთ სივრცეში, მარტივად აღქმადი ვიზუალიზაციების გზით მიიღონ მუდმივად განახლებადი და სანდო ინფორმაცია საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებით;
- წარმატებით შესრულდა „აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის“ პროექტით განსაზღვრული ამოცანები: მსოფლიო ბანკის მხრიდან დადებითად შეფასდა პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები;
- გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები 9 სხვადასხვა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 300-მა ადამიანმა;
- სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანობის მსოფლიოში აღიარებული შეფასების სისტემის – PEFA-ს მიხედვით სას-ის შეფასება მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც სამსახურში ბოლო წლებში მიღწეული პროგრესის სანდო ინდიკატორია;
- საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნით მოეწყო:
 - 7 შეხვედრა და სემინარი სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან;
 - 19 პრესკონფერენცია და საინფორმაციო შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან;
- სას-მა მოიპოვა IDFI-ს ჯილდო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის.

პარლამენტთან თანამშრომლობა

- საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა აუდიტებთან დაკავშირებით გამოსცა დადგენილებები 3 ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშზე, რომლებშიც ხაზგასმულია აუდიტების მნიშვნელობა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობა;
- გასულ წლებთან შედარებით, გაძლიერდა თანამშრომლობა პარლამენტთან:
 - ჩატარდა 11 აუდიტის ანგარიშის საკომიტეტო განხილვა;
 - პარლამენტში გაიგზავნა 86 აუდიტის ანგარიში;
 - პარლამენტს მიეწოდა ბიუჯეტის შესრულებასთან/ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებული მოხსენებები/დასკვნები;
 - 2016 წლის მოხსენების ფარგლებში გამოვლინდა 110 სისტემური ხარვეზი და გაიცა 40 რეკომენდაცია;
 - 2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტზე მომზადებული დასკვნის ფარგლებში გამოვლინდა 38 სისტემური ხარვეზი და გაიცა 27 რეკომენდაცია.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა

- მომზადდა პოლიტიკური პარტიების ანგარიშების ელექტრონული პროგრამა და საძიებო სისტემა - www.monitoring.sao.ge;
- ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, სას-ის საქმიანობას, პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის კუთხით, მაღალი შეფასება მიეცა;⁷
- სას-ის ინიციატივით მოეწყო კონფერენცია სახელწოდებით - „ფული პოლიტიკაში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა;
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“, სას-ის მიერ, საპარლამენტო არჩევნების განმავლობაში გაწეული საქმიანობა დადებითად შეაფასეს.⁸

მნიშვნელოვანი პროექტები და ინსტიტუციური გაძლიერება

- მნიშვნელოვნად გაძლიერდა სამსახურის შესაძლებლობები IT აუდიტის მიმართულებით, კერძოდ:
 - სამსახურმა დაიწყო თანამშრომლობა აშშ მთავრობის საანგარიშგებო ოფისის (US GAO) აუდიტის ტრენინგ ცენტრთან (Center For Audit Excellence);
 - შეიქმნა თანამედროვე მონაცემთა ცენტრი და უზრუნველყოფილია სენსიტიური და კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოება;
 - IT აუდიტორებმა წარმატებით მოიპოვეს საერთაშორისო სერტიფიკატები.
- აუდიტის ხარისხის გაზრდის მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯია აუდიტის მართვის ელექტრონული ცენტრალიზებული პროგრამის დანერგვა, რომლითაც სარგებლობენ მსოფლიოში მოწინავე აუდიტორული ორგანიზაციები;
- დამტკიცდა სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც სამსახურს ჰყავს ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერი და საბჭო;
- დასრულდა საჯარო სამსახურის დამშობილების (TWINNING) ორწლიანი პროექტი გერმანიისა და პოლონეთის კოლეგა ორგანიზაციებთან:
 - პროექტის ფარგლებში გაიცა 119 რეკომენდაცია სამი მიმართულებით: ორგანიზაციული მართვის გაუმჯობესება, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტებისა და ანგარიშგების გაძლიერება, და აუდიტორთა პროფესიული განვითარება; გაცემული რეკომენდაციების 47% სრულად შესრულდა


⁷ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საქართველოს შესახებ - <https://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/humanrightsreport/index.htm?year=2016&dliid=265422>

⁸ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ შეფასებები: 1. <http://www.transparency.ge/en/post/report/election-campaign-finance-georgia-2016-parliamentary-elections> 2. <http://www.isfed.ge/main/1202/geo/>

- საფუძველი ჩაეყარა ევროკავშირთან ტექნიკური მხარდაჭერის პროექტს, რომელიც განხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით, ინსტიტუციური შესაძლებლობების გასაძლიერებლად და მიღწეული შედეგების მდგრადობის შესანარჩუნებლად;
- სტრატეგიულ პარტნიორებთან - GIZ-თან და შვედეთის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან (SNAO) გაგრძელდა თანამშრომლობის მემორანდუმები;
- დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი კორეის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან (BAI Korea), რომლის ფარგლებში ორგანიზაციები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებისა და აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით;
- სას-ის თანამშრომლები ფლობენ საერთაშორისო აღიარების სერტიფიკატებს სხვადასხვა მიმართულებით (ACCA, CFA, CISA, CISP, ISSAI საერთაშორისო სერტიფიკატები);
- ჩატარდა 7 ტრენინგ/სემინარი ეფექტურ კომუნიკაციაზე სას-ის სტრატეგიული პარტნიორების, მსოფლიო ბანკის, USAID-ის, Louis Berger-ის მხარდაჭერით;
- საჯარო ფინანსების მართვაში პროფესიული კომპეტენციის გაზრდის მიზნით, საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა:
 - საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირება, რომელიც წარმატებით გაიარა 79-მა პირმა;
 - 8 ტრენინგ-კურსი სხვადასხვა მიმართულებით, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 243-მა პირმა;
 - 7 ფინანსური და 1 შესაბამისობის აუდიტი საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების მიმართულებით.

თავი 2. აუდიტორული საქმიანობა

სას ყოველი წლის დასაწყისში ადგენს აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტებს, რომლებიც განისაზღვრება დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული მოსაზრებებისა და ინიციატივების, აგრეთვე აუდიტის თემების შერჩევის სხვა კრიტერიუმების⁹ საფუძველზე. სამსახური ყოველწლიურად მიზნად ისახავს პრიორიტეტული, რისკზე დაფუძნებული მიდგომით გაზარდოს აუდიტორული საქმიანობის შედეგად მოტანილი სარგებელი. ამ მიმართულებით, 2016 წელს, აუდიტორული საქმიანობით 30%-ით გაიზარდა ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი.




2016 წელს სამსახურმა ჩატარა 71 აუდიტი, რამაც ჯამში მოიცვა 10.3 მილიარდი ლარი. მათ შორის აუდიტორული საქმიანობით დაიფარა ნაერთი ბიუჯეტის 80%, თანხობრივად - 8.5 მილიარდი ლარი. ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილმა დარღვევების საერთო მოცულობამ 71 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის:

დარღვევების კატეგორია		თანხა
შესყიდვების მართვა	საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა	13,350 ათასი ლარი
	საბიუჯეტო რესურსების არაკონომიური განკარგვა	2,140 ათასი ლარი
	საბიუჯეტო რესურსების არაპროდუქტიული განკარგვა	914 ათასი ლარი
	საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი განკარგვა	5,242 ათასი ლარი
	სხვა დარღვევები	11,143 ათასი ლარი
საბიუჯეტო რესურსების მართვა	არამიზნობრივი განკარგვა	3,919 ათასი ლარი
	არაეფექტიანი განკარგვა	29,449 ათასი ლარი
	არაპროდუქტიული განკარგვა	198 ათასი ლარი
აქტივების მართვა	არაეფექტიანი განკარგვა	4,457 ათასი ლარი
	სხვა დარღვევები	262 ათასი ლარი
		71 მილიონი ლარი

⁹ დიდი მოცულობის საბიუჯეტო თანხები; მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი; არასწორი მართვა; სისტემური რეფორმის საჭიროება; ბოლო პერიოდში არ ჩატარებულა აუდიტი.

ასევე აღსანიშნავია, რომ აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით, 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდა 372 ათასი ლარი, ხოლო სამართალდამცავ ორგანოებთან გადაიგზავნა 27 აუდიტის ანგარიში და შესაბამისი მასალები¹⁰

ჩატარებული აუდიტები ტიპების მიხედვით




წინამდებარე ანგარიშის ამ თავში წარმოდგენილია 2016 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც შესაბამის რეაგირებას საჭიროებენ როგორც ცალკეული უწყებების, ასევე სისტემურ დონეზე. სას-ის აუდიტის ანგარიშები წარმოდგენილია 10 პრიორიტეტული მიმართულების გათვალისწინებით.

¹⁰ იხილეთ დანართი 2. გადაგზავნილ ანგარიშებზე რეაგირებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ


2.1 პრიორიტეტი 1: მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარება

მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების მიმართულებით სას-მა დაფარა 1,308,958 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 16 აუდიტი.



2.1.1. მუნიციპალიტეტებში 2016 წელს ჩატარებული აუდიტებისას გამოვლენილი ხშირად განმეორებადი ხარვეზები

მუნიციპალიტეტების ეკონომიკური გაძლიერება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია; ფინანსური რესურსების კანონიერი, ეფექტიანი, ეკონომიური და პროდუქტიული განკარგვის ხელშეწყობის მიზნით, სას ყოველწლიურად აფასებს ადგილობრივ თვითმმართველობებში, საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ გარემოებებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, სას-ის მიერ განხორციელებულ აუდიტებში დარღვევები შემდეგნაირად გადანაწილდა:



2014-2016 წლებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტების მხრიდან სათანადო ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ჯამში 14 მილიონ ლარამდე თანხის ბიუჯეტში მობილიზება და ასევე, ეფექტიანად და ეკონომიურად განკარგვა.

1. ხარვეზები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის პროცესში:

აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ ხშირად, მუნიციპალიტეტები არ ფლობენ ინფორმაციას მათ საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ. ასევე, სხვადასხვა ორგანიზაცია და არაუფლებამოსილი პირები იყენებენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას კომერციული საქმიანობისთვის, იჯარის ხელშეკრულების გაფორმების გარეშე; შესაბამისად, არ იხდიან იჯარის ქირას. ამასთან, მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ იჯარით გაცემული ქონებისაგან მისაღები შემოსავლების სრულად და დროულად მობილიზებას ადგილობრივ ბიუჯეტში. მაგალითად:

- ✓ 2014-2015 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწას და 12 შენობა-ნაგებობას, რომელთა საერთო ფართობი 600 კვ.მ-ზე მეტია, იყენებდნენ არაუფლებამოსილი პირები, რომელთაც მუნიციპალიტეტთან არ ჰქონდათ გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები. აღნიშნული ქონების იჯარით გაცემის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი საიჯარო ქირის სახით ყოველწლიურად მიიღებდა 32 ათას ლარზე მეტ შემოსავალს;
- ✓ 2014-2015 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას სულ იჯარით გაცემული ჰქონდა 44 ობიექტი, საიდანაც 2014 წელს საიჯარო ქირის სახით უნდა მიეღო 25.8 ათასი ლარი და 0.4 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ფაქტობრივად მიიღო 20.9 ათასი ლარი. ასევე 2015 წელს მისაღებმა საიჯარო თანხამ შეადგინა 18.9 ათასი ლარი და 0.4 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ფაქტობრივად მიიღო 14.1 ათასი ლარი. ამას გარდა, 2014 წლამდე მუნიციპალიტეტის მიმართ მოიჯარეების დავალიანება შეადგენდა 41.9 ათას ლარსა და 2.0 ათას აშშ დოლარს. შედეგად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მიერ მიუღებელმა საიჯარო თანხამ შეადგინა 52 ათასი ლარი და 3 ათასი აშშ დოლარი.

2. პროექტები, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს:

შემოწმებულ რამდენიმე მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო სახსრები დახარჯულია ისეთ პროექტებზე, რომლებიც დასრულებული არ არის. ხარვეზები იკვეთება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების სისრულეში, მშენებლობის პროცესების კონტროლში და სხვა. შედეგად, საბიუჯეტო სახსრები გადახდილია ისეთ პროექტებში, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს. მაგალითად:

- ✓ 2014-2015 წლებში მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, შესყიდულია 4 საბავშვო ბაღის მშენებლობის, ელექტროწისქვილის მოწყობის, ტრანსფორმატორის შეძენა - მონტაჟის სამუშაოები, ღირებულებით 212 ათასი ლარი. 2016 წლის ივნისის მდგომარეობით, პროექტი არ იყო დასრულებული და ვერ სარგებლობდა მოსახლეობა;
- ✓ 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 92.0 ათასი ლარის სარიტუალო სახლების, წყლის სისტემებისა და წისქვილების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც 2015 წლის ივლისის თვის მდგომარეობით არ იყო დასრულებული და ვერ სარგებლობდა მოსახლეობა.

3. მთავრობის დადგენილების უგულებელყოფით ანაზღაურებული ფაქტიური დანახარჯები:

აუდირებული მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში არ ხორციელდება გამარტივებული შესყიდვის დროს სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, როგორც ეს მოქმედი კანონმდებლობით არის განსაზღვრული. შედეგად, მიმწოდებლებისათვის თანხები, როგორც წესი, ზედმეტად ანაზღაურდება. მაგალითად:

- ✓ 2014-2015 წლებში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული 118 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებაზე, ღირებულებით 2.3 მილიონი ლარი, ვერ იქნა წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ 2012-2013 წლებში ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 2 მილიონი ლარის ღირებულების გზების მოწყობის სამუშაოები, ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე.

4. ხარვეზები შესრულებული სამუშაოების საექსპერტო გამოკვლევის პროცესში

მუნიციპალიტეტები შესყიდული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას ახდენენ ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე, რაც იცავს მათ, როგორც შემსყიდველის ინტერესს და ამცირებს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ჩაბარების რისკს. შემსრულებლები ძირითად შემთხვევებში თავად ახდენდნენ ექსპერტიზის განმახორციელებელი პირის შერჩევას. მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების შესწავლით გამოვლინდა, რომ: ა) ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნები ვერ იძლევა სათანადო რწმუნებას შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესახებ, ვინაიდან მათ მიერ ჩატარებული კვლევები მოიცავს მხოლოდ შესრულებული სამუშაოების მოცულობით ნაწილს. ბ) ხშირია შემთხვევები, როდესაც მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს ექსპერტის დადებითი შეფასება, თუმცა სამუშაოები შესრულებულია გარკვეული ხარვეზებით, უხარისხოდ ან/და დაზიანებულია.

- ✓ 2013 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტში ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ფორმა 2-ების საფუძველზე მიმწოდებელს გადაერიცხა 367.3 ათასი ლარი. შემსყიდველმა მიმწოდებელს მოთხოვა დაედასტურებინა ჩასხმული ბეტონის ხარისხიც და წარმოედგინა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, რაც მიმწოდებელმა არ განახორციელა. მიმწოდებელს მოწყობილი ნაპირსამაგრის ღირებულება აუნაზღაურდა ისე, რომ მას არ წარმოუდგენია ბეტონის მარკიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ✓ 2015 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე, ორი ხელშეკრულების ფარგლებში, დაიხარჯა 123.6 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად ექსპერტის დადებითი შეფასებისა, სამუშაოების ნაწილი შესრულებულია უხარისხოდ და გამოსულია მწყობრიდან.

5. გამოუყენებელი ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიები

მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დროულობის უზრუნველყოფის გარანტიას. ჩატარებული აუდიტებით გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში მიმწოდებლებს

სამუშაოები დასრულებული აქვთ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, თუმცა აღნიშნული პროექტები სამუშაოების მიწოდებიდან მალევე ხასიათდება ხარვეზებით. მიუხედავად იმისა, რომ დაზიანების აღმოჩენის პერიოდისთვის, მიმწოდებელს ეკისრებოდა მათი გამოსწორების ვალდებულება, მუნიციპალიტეტებს მიმწოდებლებისთვის არ მიუმართავთ, ან მიმართვა განხორციელდა მხოლოდ აუდიტის მსვლელობის პერიოდში. მაგალითად:

- ✓ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, 2015 წელს შესრულებული გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ 725 ათასი ლარის სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ და გზის საფარი დაზიანებულია. იმის მიუხედავად, რომ ყველა ობიექტს გააჩნდა საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს მიმწოდებლისთვის ამ პრობლემის გამოსასწორებლად;
- ✓ 2015-2016 წლებში, ისნის რაიონის გამგეობამ რეაბილიტაცია ჩაუტარა და მოაწყო 52 სპორტული მოედანი და სკვერი, ღირებულებით 2 მილიონი ლარი. დათვალიერების შედეგად, 2015 წელს ექსპლოატაციაში მიღებულ 7 ობიექტზე გამოვლინდა ხარვეზები, თუმცა მიმწოდებლისთვის არ არის მოთხოვნილი საგარანტიო ვადაში (2 წელი) მომხდარი დაზიანებების გამოსწორება.

ასევე, გამოიკვეთა ისეთი გარემოებები, როდესაც მიმწოდებლებმა ვერ მოახერხეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაკმაყოფილება, მათ შორის სამუშაოების შესაბამის ვადებში დასრულება; მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტებმა არ მოითხოვეს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარანტიის თანხების ანაზღაურება. მაგალითად:

- ✓ 2014 წელს, დუშეთის მუნიციპალიტეტში ნაპირსამაგრ სამუშაოებზე მიმწოდებელმა შემსყიდველს წარუდგინა 88.5 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. იმის მიუხედავად, რომ მიმწოდებელმა ვერ მოახერხა სამუშაოების ჩაბარება გათვალისწინებულ ვადებში, მუნიციპალიტეტს არ მოუთხოვია გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება, შესაბამისად დაკარგა 88.5 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა;
- ✓ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, 2014 წელს, მიმწოდებლის მიერ ვერ მოხდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით

შესრულება, თუმცა მუნიციპალიტეტს არ მოუთხოვია გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება და შესაბამისად, დაკარგა 46.5 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

6. მიწოდების ვადის გადაწევა სათანადო დასაბუთების გარეშე

ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში სამუშაოები არ არის დასრულებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, თუმცა შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული შეთანხმებით, მიწოდების პერიოდი გაზრდილია და საჯარიმო სანქციები არ არის გამოყენებული. ვადების კორექტირების მიზეზს ძირითადად წარმოადგენს მიმწოდებლების ინფორმაცია არახელსაყრელი კლიმატური პირობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ შემსრულებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ წარმოადგენს ვადის გაგრძელების ობიექტურ საფუძველს, რადგანაც ნალექიანი დღეების შესაძლო რაოდენობა თავიდანვე გათვალისწინებულია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ვადების განსაზღვრისას. მაგალითად:

- ✓ 2014 წელს, თემი თელავის მუნიციპალიტეტმა გააფორმა საგზაო სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულება 1.1 მილიონ ლარზე. შემსყიდველმა უამინდობის მოტივით 1 თვით გააგრძელა სამუშაოების დასრულების ვადა, მაშინ როდესაც დოკუმენტური მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ რაიმე ფორსმაჟორულ სიტუაციას ჰქონდა ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობა შემსრულებელს სამუშაოების დასრულების ვადას არ გაუგრძელებდა და აამოქმედებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს, მიმწოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო 64.9 ათასი ლარის ოდენობით.
- ✓ 2015 წლის სექტემბერში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება მიმწოდებელთან 414.9 ათას ლარზე, რომელიც ითვალისწინებდა 9 თვის განმავლობაში საბავშვო ბაღის მშენებლობას. შემსყიდველმა უამინდობის მოტივით გააგრძელა სამუშაოების დასრულების ვადა და არ დააჯარიმა მიმწოდებელი, მაშინ როდესაც დოკუმენტური მტკიცებულებებით ფორსმაჟორულ სიტუაცია არ დასტურდება. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობა აამოქმედებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს, მიმწოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო 21.6 ათასი ლარის ოდენობით.

7. დაუსაბუთებელი წარმომადგენლობითი ხარჯები

მიღებების, ფურშეტების, წვეულებებისა და სარესტორნო მომსახურებაზე გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების საჭიროება არ არის სათანადოდ დასაბუთებული მუნიციპალიტეტების მიერ; არ არის იდენტიფიცირებული სტუმრების ვინაობა და რაოდენობა; ასევე, თანხები დახარჯულია სახელმწიფო უწყებების სხვადასხვა თანამდებობის პირების კვების ორგანიზებისათვის. მაგალითად:

- ✓ 2013-2014 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლიდან რესტორნის მომსახურებაზე, დაუსაბუთებლად არის გაწეული 21.5 ათასი ლარი;
- ✓ 2014-2015 წლებში, ქ. თელავის მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულება იმის შესახებ, თუ რა სახის ღონისძიებასთან დაკავშირებით იქნა გაწეული 14.2 ათასი ლარის ოდენობის სარესტორნო ხარჯი.

8. ხარვეზები შიდა აუდიტის სამსახურების საქმიანობაში

მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ ორგანოებში შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა სავალდებულოა. შიდა აუდიტის სუბიექტის მიზანია დაწესებულების საქმიანობის სრულყოფა, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრა, პრევენცია და სხვა.

შიდა კონტროლებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესაწვლის საფუძველზე დგინდება, რომ მუნიციპალიტეტებში შექმნილი შიდა აუდიტის სამსახურები ვერ უზრუნველყოფენ კანონით მათთვის განსაზღვრული მიზნების შესრულებას, თავისი საქმიანობით, არ შეაქვთ წვლილი მუნიციპალიტეტის რესურსების ეკონომიურად გამოყენებაში, გამგეობის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტურად შესრულებასა და მუნიციპალიტეტის დასახული მიზნების მიღწევაში. მაგალითად:

- ✓ 2014-2015 წლებში ამბროლაურის შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუსწავლია გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობა; ასევე, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შიდა აუდიტის აღნიშნული პერიოდის სტრატეგიული და წლიური გეგმები, დამტკიცებული სახით;

- ✓ 2014-2015 წლებში ქ. თელავის მუნიციპალიტეტს არ შეუდგენია 3-წლიანი შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა; არ არის შედგენილი 2014 წლის შიდა აუდიტის საქმიანობის წლიური გეგმა, შესაბამისად ამ წელს შიდა აუდიტი არ ჩატარებულა. 2015 წელს კი ჩატარდა მხოლოდ 5 ააიპ-ის და 1 შპს-ს საქმიანობის აუდიტორული შემოწმება.

რეკომენდაციები:

წარმომადგენლობითმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა:

- ✓ შეიმუშაონ სტრატეგია საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, განკარგვისა და სათანადო კონტროლის მექანიზმების დაწესების შესახებ. გამგეობამ დროულად უნდა აიცილოს ან/და გამოავლინოს შემთხვევები, როდესაც მის საკუთრებაში არსებული ქონება თვითნებურად აქვთ დაკავებული არაუფლებამოსილ პირებს. მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ქონება გასცეს სარგებლობის უფლებით, რაც ხელს შეუწყობს, შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, ადგილობრივ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობას.

საკრებულოებმა:

- ✓ აღმასრულებელ ორგანოებთან შეთანხმებით, შეიმუშაონ გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან.
- ✓ შეიმუშაონ შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად და ეკონომიურად. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს სტუმრების კატეგორია და მათი გამასპინძლების ფორმა, რომლის მიხედვით მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა.

მუნიციპალიტეტებმა:

- ✓ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისას მაქსიმალურად გაითვალისწინონ ყველა დამაბრკოლებელი გარემოება, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს შესრულებული სამუშაოების ხარისხზე და ხელი შეუშალოს პროექტის დაგეგმილ ვადაში დასრულებას.

- ✓ სამუშაოების მიღება განახორციელონ საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება არა მხოლოდ შესრულებული სამუშაოს მოცულობები, არამედ სამუშაოების ხარისხიც, მათ შორის, გამოყენებული მასალების ლაბორატორიული კვლევის შედეგები. ამასთანავე, ექსპერტიზის პროცესი დაგეგმონ და წარმართონ ისე, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს მიმწოდებლის შესაძლო გავლენა ექსპერტიზას დაქვემდებარებული ობიექტების შერჩევასა და ექსპერტიზის შედეგებზე. აღნიშნული მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ექსპლუატაციაში მიღება.
- ✓ შეიმუშაონ ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საგარანტიო წერილების მოქმედების ვადების აღრიცხვასა და კონტროლს. სამუშაოების შეუსრულებლობის ან/და უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმართონ გარანტორს საგარანტიო თანხის ანაზღაურების მოთხოვნით.
- ✓ შეიმუშაონ კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მიწოდების ვადების ზრდას მხოლოდ სათანადო არგუმენტების საფუძველზე ან/და ფორსმაჟორული სიტუაციების არსებობისას. აღნიშნული უზრუნველყოფს მოსახლეობას დროულად და ხარისხიანად მიეწოდოს სხვადასხვა მუნიციპალური სერვისი.
- ✓ რეგულარულად განახორციელონ შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხარვეზების გარეშე მიწოდებას.

მუნიციპალიტეტებში შექმნილმა შიდა აუდიტის სამსახურებმა:

- ✓ თავიანთი საქმიანობა წარმართონ ისე, რომ უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთან, შეიმუშაონ რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

2.1.2 პრიორიტეტების განსაზღვრისა და პროექტების შერჩევის პროცესი თვითმმართველ ერთეულებში

მუნიციპალიტეტების გაძლიერება საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს რეგიონების მუნიციპალიტეტებში არსებობს მრავალი ინფრასტრუქტურული საჭიროება, თუმცა შეზღუდული მატერიალური რესურსების პირობებში ყველა მათგანის დაკმაყოფილება ვერ ხერხდება. შესაბამისად, არსებული საჭიროებებიდან პრიორიტეტული პროექტების შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

პრიორიტეტული პროექტების შერჩევის წინაპირობას მუნიციპალიტეტებსა და მოსახლეობას შორის აქტიური კომუნიკაცია, სოფლებში არსებული საჭიროებების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და ანალიზი წარმოადგენს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა აბაშის, გურჯაანის, თეთრიწყაროსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელი, მუნიციპალიტეტებში არსებული ინფორმაცია სოფლების ინფრასტრუქტურული საჭიროებების/პრიორიტეტების შესახებ და პროექტების შერჩევის პროცესი.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

აუდიტის პერიოდმა დაფარა 2015 წელი და 2016 წლის პირველი ნახევარი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა პრიორიტეტების განსაზღვრისა და პროექტების შერჩევის პროცესში არსებული შემდეგი ნაკლოვანებები:

- ✓ მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში დაბალია. ზოგიერთი მუნიციპალიტეტი არ იყენებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებულ მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს - დასახლების საერთო კრებასა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეხვედრებს, რომლებიც ახალი მექანიზმებია პრიორიტეტული მიმართულებებისა და პროექტების შესახებ მოსახლეობის აზრის გასაგებად. ამასთან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სოფლის კრებებისათვის მოქალაქეთა ჩართულობის მინიმალური მაჩვენებელი განსაზღვრული არ არის, რის გამოც სოფლის პრიორიტეტული პროექტების შერჩევის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის 5% ან ნაკლები იღებს მონაწილეობას.

ცხრილი NI: სოფლების რაოდენობა მოსახლეობის დაბალი ჩართულობით 2016 წელს

მუნიციპალიტეტი	სოფლების რაოდენობა მუნიციპალიტეტში	სოფლების რაოდენობა, სადაც ჩართულობა 5% ან ნაკლებია
გურჯაანი	30	14
აბაშა	35	14
თეთრიწყარო	78	4
ოზურგეთი	28	20

- ✓ შერჩეული მუნიციპალიტეტების ნაწილში ვერ ხდება სოფლების დონეზე არსებული საჭიროებებისა და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების იდენტიფიცირება. კერძოდ, მუნიციპალიტეტებში არსებული ინფორმაცია სოფლების ინფრასტრუქტურული საჭიროებების შესახებ ზოგადია და ვერ აჩვენებს თითოეული გამოვლენილი საჭიროების არსებობას: საჭიროებები არ არის რაოდენობრივ მაჩვენებელში გამოსახული და გაურკვეველია, მოსახლეობის რა ნაწილს ეხება კონკრეტული პრობლემა. ამასთან, პრიორიტეტების დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის რეალური პრიორიტეტების შესახებ. მაგალითად, აბაშის, გურჯაანისა და თეთრიწყაროს პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით, მუნიციპალიტეტების მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს თავდაცვა, რომელიც პრიორიტეტულია ეროვნულ და არა მუნიციპალურ დონეზე.
- ✓ პროექტების შეფასების არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს პროექტების შერჩევის პროცესის სასურველი ხარისხით წარმართვას. კერძოდ, სამოქმედო გეგმის შემუშავების სახელმძღვანელოში მოცემული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შეფასების კრიტერიუმების სკალები უმეტესად ზოგადია და სამუშაო ჯგუფებს ქულების მინიჭების პროცესში ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფების მიერ პროექტების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე შეფასებას. მაგალითად, პროექტის მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტის შეფასების კრიტერიუმის სკალა სახელმძღვანელოში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი:

- 5 ქულა - მნიშვნელოვან პოზიტიურ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა (იწვევს წარმოების მოცულობის, მოგების, პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდას);
- 3 ქულა - მთლიანობაში დადებით ეკონომიკურ ეფექტს იძლევა;
- 1 ქულა - ეკონომიკურ აქტივობაზე დადებით გავლენას არ ახდენს.

გარდა ამისა, იმ კონკრეტული კრიტერიუმის ფარგლებში, რომლის სკალა დეტალურადაა განმარტებული სახელმძღვანელოში, **სამუშაო ჯგუფების მიერ პროექტისთვის ქულის მინიჭება ტექნიკური უზუსტობებით ხდება**, რომელთა გამოვლენის მექანიზმი დღეის მდგომარეობით არ არსებობს.


აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- ✓ განისაზღვროს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე დამსწრე მოსახლეობის გონივრული მინიმალური მაჩვენებელი.
- ✓ მუნიციპალიტეტებისათვის სარეკომენდაციო სახით შემუშავდეს სოფლების ინფრასტრუქტურული საჭიროებების ასახვის ერთიანი ფორმა და ფორმის შევსების შესაბამისი ინსტრუქცია.
- ✓ მოხდეს სამოქმედო გეგმის შემუშავების სახელმძღვანელოში არსებული კრიტერიუმების სკალების დეტალიზება, რაოდენობრივ მაჩვენებელში განსაზღვრა ან პროექტების ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის საშუალებით შეფასება.

2.2 პრიორიტეტი 2: განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მხარდაჭერა

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მხარდაჭერის მიმართულებით სას-მა დაფარა 988,479 ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 8 აუდიტი.



2.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კადრების მართვის აუდიტი


ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ხელშეწყობა და სწავლების პროცესის მაღალი ხარისხით შეთავაზება ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევასა და პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ პროცესში დიდი როლი ენიჭება სისტემაში საკმარისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე კადრების არსებობას. მოცემული მიზნის მისაღწევად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ხორციელდება რიგი პროგრამები და აქტივობები, რომელთა მთავარი მიზანი სწავლების პროცესის ხელშეწყობაა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კადრების მართვის ეფექტიანობის აუდიტი, რის შედეგადაც გამოვლინდა ის გარემოებები და ნაკლოვანებები, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლების პროცესზე.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ძირითადი პრობლემების მოკლე აღწერა

- ✓ კადრების კვალიფიკაციის ნაკლოვანებები - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დასაქმებული 67,000 მასწავლებლიდან 2,000-ს, რომლებიც ასწავლიან ძირითად საგნებს,

არ აქვს მიღებული უმაღლესი განათლება და გააჩნია მხოლოდ ზოგადი ან პროფესიული განათლება. მოცემული კონტიგენტიდან საგნის გამოცდა ჩაბარებული აქვს მხოლოდ 4%-ს. არსებული რეგულაციით, 2015 წლიდან სისტემაში ვერ უნდა ხვდებოდნენ ისეთი კადრები, რომელსაც არ აქვთ უმაღლესი განათლება მიღებული, თუმცა მაინც ფიქსირდება მსგავსი შემთხვევები.

გრაფიკი N2: აკადემიური ხარისხის არმქონე მასწავლებლების რაოდენობა სკოლაში დასაქმების წლების მიხედვით



კადრის მიღების არსებული მექანიზმები ვერ ფარავს იმ რისკს, რომ არაკვალიფიციური კადრები ისევ მოხვდებიან სისტემაში. სისტემაში არსებული კვალიფიკაციის ნაკლოვანებები სხვადასხვა მიზეზს უკავშირდება. წლების განმავლობაში მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების თანმიმდევრული პოლიტიკის არქონამ და არასაკმარისმა რესურსმა, ვერ უზრუნველყო მასწავლებლების პროფესიული ზრდა. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არსებული კადრების კვალიფიკაციის ნაკლოვანებები უარყოფით გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე. მასწავლებლებში აკადემიური ხარისხის არარსებობის ფაქტები და სერტიფიცირების დაბალი მაჩვენებელი ზრდის სწავლა-სწავლების პროცესის არასათანადოდ წარმართვის რისკებს.

- ✓ სისტემაში ახალი კადრის შესვლის ნაკლოვანებები - კადრის აყვანის პროცესი სრულიად დამოკიდებულია სკოლაზე და სამინისტროს არ აქვს გადაწყვეტილების მიღების ან მონიტორინგის ბერკეტი. შედეგად, სკოლებში კადრის მიღების პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე, კერძოდ: გამოცხადებულ ვაკანსიებში სწორად არ არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო რიგ შემთხვევებში მითითებულია ზოგადი ან პროფესიული განათლების საჭიროება და უგულებელყოფილია უმაღლესი განათლების აუცილებლობა.

ქვემოთ განხილულია მაგალითები, სადაც აღწერილია ერთი და იმავე საგნის მასწავლებლის პოზიციაზე არსებული განსხვავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო დატვირთვა და შრომის ანაზღაურება:

მაგალითი N1

საგანი	საკვალიფიკაციო მოთხოვნები	ადგილმდებარეობა	ანაზღაურება ლარებში	კლასები	სამუშაო საათები კვირაში
მათემატიკა	პროფესიული განათლება; სამუშაო გამოცდილება	იმერეთი	481	6-12	4
მათემატიკა	მაგისტრის აკადემიური ხარისხი; სერტიფიცირებული	იმერეთი	329-344	5-12	15

ამასთანავე, ანაზღაურების ოდენობა უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრულია გაცილებით ნაკლები ოდენობით, რასაც რეალურად მოცემულ პოზიციაზე მყოფი პირი იღებს. შედეგად, კვალიფიციურ კადრს არ აქვს მოტივაცია დაინტერესდეს მოცემული ვაკანსიით, რაც ამცირებს კონკურენციას.

მაგალითი N2

საგანი	საკვალიფიკაციო მოთხოვნები	ადგილმდებარეობა	ანაზღაურება ლარებში	კლასები	სამუშაო საათები კვირაში
ბიოლოგია	სერტიფიცირებული; სამუშაო გამოცდილება	თბილისი	80-100	7-11	18
ბიოლოგია	სერტიფიცირებული	თბილისი	500-540	8-11	18

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული დაკვირვებით გამოვლინდა, რომ სკოლებში არსებულ ვაკანსიებზე სპეციალურად შექმნილი და გაგზავნილი კვალიფიციური რეზიუმეთი დაინტერესდა სკოლების მხოლოდ 50%, ხოლო დანარჩენ 50%-ის მხრიდან არ ყოფილა დაინტერესება და მოცემულ პოზიციაზე მიღებულია დაბალკვალიფიციური კადრი. სამინისტროს ახალი კადრის მოზიდვის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, არ აქვს შემუშავებული საკმარისი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლების მიერ ვაკანსიის ფორმირებისა და კადრის შერჩევის პროცესში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას. სკოლების მიერ გამოცხადებული ვაკანსიის შინაარსობრივი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანაზღაურების განსაზღვრას, ამასთანავე, კადრის შერჩევის პროცესის არასაკმარისი გამჭვირვალობა, ზრდის სისტემაში

დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრების შესვლის რისკს, რაც თავის მხრივ, გავლენას მოახდენს სწავლა-სწავლების ხარისხზე.

- ✓ კადრების დეფიციტი - ქვეყნის რეგიონებში ფიქსირდება სკოლები სადაც მოსწავლეები ვერ იღებენ სრულფასოვან განათლებას, ძირითად საგნებში მასწავლებლის არ არსებობის გამო. თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში არ ფიქსირდება კადრების დეფიციტი, თუმცა მრავლადაა შემთხვევები როდესაც ერთი მასწავლებელი სხვადასხვა არამომიჯნავე საგანს ასწავლის, კვალიფიკაცია კი მხოლოდ 1 საგანში გააჩნია.

აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- ✓ იმ მიზნით, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მოხდენენ კვალიფიციური კადრები და გაიზარდოს გამოცხადებულ ვაკანსიაზე კონკურენცია, სამინისტრომ შეიმუშაოს შესაბამისი მექანიზმი/მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ვაკანსიის განთავსების ეტაპზე სკოლების მიერ სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანაზღაურების წესის მითითებას;
- ✓ იმ მიზნით, რომ საჯარო სკოლებში კადრის მიღების პროცესი იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი, სამინისტრომ შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა და მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს საჯარო სკოლების მიერ ყველა დაინტერესებული კანდიდატის რეზიუმეს განხილვას და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს:


- ✓ იმისათვის, რომ მოსწავლეები არ დარჩნენ კანონმდებლობით გათვალისწინებული სრულფასოვანი განათლების გარეშე, ეტაპობრივად (წინასწარ განსაზღვრული გეგმით) მოხდეს იმ სკოლების შესაბამისი მასწავლებლებით უზრუნველყოფა, სადაც არ ისწავლება ძირითადი საგნები;
- ✓ რეგიონებში დეფიციტის შემცირების მიზნით, მოხდეს ისეთი მექანიზმების შემუშავება, როგორიცაა: მასწავლებლების გადამზადება მომიჯნავე საგნებში, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს კვალიფიციურად ასწავლონ დეფიციტური საგანი; მასწავლებლობის მსურველ პირებთან აქტიური კომუნიკაცია სკოლებში ვაკანსიების არსებობისას, რაც გაზრდის სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების სისტემაში მოხვედრის შესაძლებლობას.

2.2.2 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის განათლების მისაღები ხარისხის უზრუნველყოფა

ადამიანური კაპიტალის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის (საქართველო 2020)¹¹ თანახმად, ქვეყნისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს უმაღლესი განათლების ძლიერი სისტემის შექმნა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა იმ კურსდამთავრებულების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, რომლებმაც აუდიტისთვის შერჩეულ სამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ) - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ) - მოიპოვეს ბაკალავრის ხარისხი. ანალიზმა გამოავლინა, რომ აღნიშნულ კურსდამთავრებულთა 64%-მა სწავლა საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით დაასრულა.

დიაგრამა: 2014 წელს ყველა კურსდამთავრებულიდან საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების პროცენტული რაოდენობა უსდ-ების მიხედვით



¹¹ საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

- ✓ უფრო დეტალური ანალიზისთვის აუდიტის ჯგუფმა შეარჩია ის კურსდამთავრებულები, რომლებმაც 2010 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული მაღალი ქულების საფუძველზე მოიპოვეს 50%-იანი ან მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტი და შესაბამისი უსდ 2014 წელს დაამთავრეს. აღნიშნული მონაცემების ანალიზმა გამოავლინა, რომ ასეთი კურსდამთავრებულების საშუალოდ 40%-მა უსდ საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით დაამთავრა;
- ✓ ლექცია/სემინარებზე სტუდენტების დასწრების ანალიზმა გამოავლინა, რომ დაკვირვების ჩატარების დღეებში შერჩეულ ლექცია/სემინარებზე დასწრების საერთო მაჩვენებელი 15% იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ის წინაპირობები, რომლებიც სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით დასახული სწავლების შედეგებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევის მოტივაციას უნდა უქმნიდეს. იქედან გამომდინარე, რომ არსებული სქემის პირობებში, სახელმწიფო სასწავლო დაფინანსების შენარჩუნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში სტუდენტისგან არ მოითხოვს მისაღები აკადემიური მოსწრების ნიშნულის შენარჩუნებას, სტუდენტებს ნაკლები მოტივაცია აქვთ მიაღწიონ მაღალ აკადემიურ მოსწრებას.

სტუდენტთა მოტივაციის ფაქტორი განსაკუთრებით აქტუალურია იმ პირობებში, როდესაც შერჩეული 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან არც ერთს არ აქვს დანერგილი სისტემური და ქმედითი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემთ სტუდენტების მოსწრებასა და დასწრებაზე დაკვირვების მეშვეობით სწავლების ადრეულ ეტაპზე მოახდინონ სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნების იდენტიფიცირება და მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტებისთვის შესაბამისი დახმარების სერვისების შეთავაზება.

აქედან გამომდინარე, სტუდენტებმა თავად უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და მიმართონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურს. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით საგულისხმოა სას-ის მიერ განხორციელებული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რომელმაც გამოავლინა, რომ რესპოდენტების 40% არ იყო ინფორმირებული, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სასწავლო კურსის

ფარგლებში მათ ინდივიდუალურ აკადემიურ კონსულტაციას სთავაზობდა, ხოლო გამოკითხულ სტუდენტთა 88%-ს არ მიუმართავს დასაქმების სერვისისთვის ან არ ფლობს ინფორმაციას ასეთის არსებობის შესახებ. შერჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგილი სტუდენტთა დახმარების სერვისების შესახებ ინფორმირებულობის ასამაღლებლად საჭირო მექანიზმების არარსებობის გამო, აღნიშნული სერვისები არ არის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, სტუდენტებს არ ეძლევათ შესაძლებლობა აღნიშნული სერვისების დახმარებით გაიუმჯობესონ აკადემიური მოსწრება და სრულად მიაღწიონ სწავლების შედეგებს.

განათლების მისაღები ხარისხის მისაღწევად აუცილებელია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მუდმივად იზრუნონ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე.

შერჩეულ უსდ-ებში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ შერჩეული უსდ-ები სრულფასოვნად ვერ იყენებენ დაინტერესებული პირებისგან მიღებულ უკუკვლევებს და ეფექტიანად არ რეაგირებენ გამოვლენილ ნაკლოვანებებზე. შედეგად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას არ აქვს სისტემური და ქმედითი ხასიათი.

აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს:


- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით უნდა შეიმუშავოს სახელმწიფო სასწავლო დაფინანსების ისეთი სქემა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად დაფინანსებულ სტუდენტებს შეუქმნის მოტივაციას, შეინარჩუნონ მაღალი აკადემიური მოსწრება და სრულად მიაღწიონ საგანმანათლებლო პროგრამებით დასახულ სწავლების შედეგებს.
- ✓ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დანერგონ ისეთი ქმედითი და სისტემური მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და დასწრებაზე დაკვირვების გზით სტუდენტების სწავლების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას.

✓ უმაღლესმა საგანანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დანერგონ სტუდენტების ინფორმირებულობის ასამაღლებლად საჭირო მექანიზმები.

უმაღლესმა საგანანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დანერგონ მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებული მხარეებისგან (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და სხვ.) მიღებული უკუკითხვის ანალიზის შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება.

2.3 პრიორიტეტი 3: გარემოსდაცვითი პროგრამების მხარდაჭერა

გარემოსდაცვითი პროგრამების მხარდაჭერის მიმართულებით სას-მა დაფარა 1,158 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 2 აუდიტი.



2.3.1. ტყის მერქნული რესურსის სოციალური გამოყენება

საქართველოში შექმნილი სოციალური ფონიდან გამომდინარე, ტყის რესურსზე, როგორც ენერგიის წყაროზე, მოთხოვნა განსაკუთრებულად მაღალია. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 95% ზამთარში სათბობ საშუალებად შეშას იყენებს. 2013-2015 წლებში, ტყის მმართველი ორგანოების მიერ საქართველოს მასშტაბით სოციალური ჭრის ფარგლებში წლიურად, საშუალოდ 700,000 მ³ საშეშე რესურსი გამოიყო.


სამინისტროს მიერ გამოყოფილი რესურსი სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას, ხოლო მოსახლეობა, ალტერნატიული ენერგიის წყაროების არ ქონის/სიძვირის გამო, არალეგალურად მოიპოვებს, ან იძენს ამ გზით მოპოვებულ რესურსს. რეალური შეშის მოხმარება, სხვადასხვა არასამთავრობო და საჯარო სექტორის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, მნიშვნელოვნად აღემატება სოციალური ჭრით გამოყოფილი რესურსის რაოდენობას.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

- ✓ სამინისტრო სოციალური ჭრის ფარგლებში რესურსს გამოყოფს ტყის მდგრადად მართვისათვის საჭირო ზუსტი და სრული ინფორმაციის გარეშე;
- ✓ სამინისტროს არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია წლიურად ასათვისებელი რესურსის ოპტიმალური, მდგრადი რაოდენობის შესახებ, რის გამოც შეუძლებელია შეფასდეს, როგორც სოციალური ჭრის გავლენა ტყის შენარჩუნებაზე, ასევე მისი გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება;
- ✓ ხე-ტყის მერქნული რესურსის სოციალური გამოყენების სექტორში არსებული დეფიციტი და მისგან გამოწვეული არალეგალური რეალიზაციის ბაზარი ართულებს ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფას და ტყის რესურსის შენარჩუნებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ გაატაროს აქტიური ღონისძიებები დეფიციტის და საშეშე რესურსის არალეგალური რეალიზაციის ბაზრის შესამცირებლად. მოსახლეობის საშეშე რესურსზე რეალური მოთხოვნის განსაზღვრით და მისი მაქსიმალური დაკმაყოფილებით, შესაძლებელია არალეგალური რეალიზაციის ბაზრის მასშტაბის მნიშვნელოვნად შეზღუდვა.


გრაფიკი N3: ვინაიდან სამინისტროს მიერ გამოყოფილი საშეშე რესურსი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას, ბაზარზე არსებობს დეფიციტი, რომლის დაკმაყოფილებაც არალეგალური

წარმომავლობის შეშით ხდება. ამასთანავე სამინისტრო არ ფლობს წლიურად ასათვისებელი რესურსის ოპტიმალური რაოდენობის შესახებ მონაცემებს, რის გამოც შეუძლებელია მოსახლეობის მიერ მოხმარებული ხე-ტყის მერქნული რესურსის მდგრადობის შეფასება. გრაფიკზე ასევე ნაჩვენებია კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ, საქართველოს ტყეების ბოლო ინვენტარიზაციის (1998-2000 წწ.) მასალების მიხედვით, დათვლილი წლიური მოპოვების ნორმა, რომელსაც მნიშვნელოვნად აღემატება სოციალურ სექტორში რესურსის მოხმარება.



- ✓ სკოლებში, რომლებიც არ მონაწილეობენ სოციალურ ჭრაში, მოხმარებული შეშის წარმომავლობა არალეგალურია და სახელმწიფო დაფინანსებით საჯარო სკოლებში ხდება არალეგალურად მოპოვებული რესურსის შეძენა/მოხმარება. აუდიტის შედეგად გამოვლინდა 450 სკოლა, რომელიც არ მონაწილეობდა სოციალურ ჭრაში, მაგრამ სათბობად შეშას მოიხმარდა. ასევე დადგინდა, რომ ამ სკოლებისთვის საჭირო რესურსის (12,595 მ³ - ის) ლეგალური შესყიდვა კომერციულ ბაზარზე შეუძლებელი იყო.
- ✓ სოციალური ჭრის ფარგლებში ათვისებული საშეშე მერქანი არა-ენერგოეფექტურად მოიხმარება. დღესდღეობით, მოსახლეობა ყოველწლიურად საშეშე რესურსის საშუალოდ 77%-ს სექტემბერიდან დეკემბრამდე პერიოდში მოიპოვებს, ხოლო მოპოვებული რესურსი მოხმარების დროს არასაკმარისად გამომშრალია, რის გამოც შეუძლებელია მისაგან მაქსიმალური სითბური ენერგიის მიღება.

გრაფიკი N4: არაოპტიმალური ათვისების პერიოდები



აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები

- ✓ სამინისტრომ და სააგენტომ განსაზღვროს რესურსის ათვისების წლიური ნორმა - მოსაპოვებელი მოცულობა, რომლის გათვალისწინებით ტყითსარგებლობა არ გამოიწვევს ტყის ფონდის შემცირებას.
- ✓ სამინისტრომ, მნიშვნელოვანია, განსაზღვროს მოსახლეობის რეალური მოთხოვნა საშემე რესურსზე რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე.
- ✓ სამინისტრომ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე არსებული დეფიციტის გათვალისწინებით, უზრუნველყოს მოთხოვნის მაქსიმალურად ლეგალური დაკმაყოფილება, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდავს შეშის არალეგალური რეალიზაციის ბაზარს. პარალელურ რეჟიმში სამინისტრომ სხვა საჯარო უწყებებთან თანამშრომლობით მოახდინოს შეშის დეფიციტის შემამცირებელი სხვა ღონისძიებების ინიცირება და გატარება.
- ✓ სამინისტრომ, შესაბამის სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით, ეტაპობრივად შეამციროს საჯარო სექტორში არალეგალური წარმომავლობის რესურსის მოხმარება და უზრუნველყოს ლეგალური წარმომავლობის შეშის გამოყენება.
- ✓ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ ტყეკაფების გამოყოფისა და გახსნის ოპტიმალური დროის დაცვით, უზრუნველყოს მოპოვებული სათბობი შეშის გამოშრობისთვის საჭირო მინიმალური პერიოდის არსებობა.

2.3.2 ააიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის 2014-2015 წლების ფინანსური აუდიტი

ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ბოტანიკური ბაღი, მცენარეთა კონსერვაციის საერთაშორისო საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებით, მიეკუთვნება მრავალმიზნობრივი ბოტანიკური ბაღის ტიპს და მოიცავს საქმიანობის ფართო სფეროს. ბოტანიკური ბაღის მისიაა ხელი შეუწყოს მცენარეთა კოლექციის ბაღში თავმოყრას, მის დოკუმენტირებას და გამოყენებას სამეცნიერო, საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიზნებით, უზრუნველყოს საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა კონსერვაცია, დაცვა და შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ძირითადი დარღვევები:

- ✓ ბოტანიკური ბაღის არაფინანსური აქტივების 2014-2015 წლების საბალანსო მონაცემი შემცირებულია არანაკლებ 118.7 მილიონი ლარით:
 - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ბოტანიკურ ბაღს, 2014-2015 წლებში, უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე, სარგებლობაში ჰქონდა 1 088 308 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულება შეადგენდა 117.5 მილიონ ლარს, რაც ბოტანიკური ბაღის ბალანსში აღრიცხული არ ჰქონდა. ამას გარდა, ბოტანიკური ბაღის ბალანსებში არ არის ასახული ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული, არანაკლებ 1.2 მილიონი ლარის ღირებულების 21 დასახელების შენობა-ნაგებობები და სხვა ძირითადი აქტივები. შესაბამისად, ჯამურად ბოტანიკური ბაღის არაფინანსური აქტივების საბალანსო მონაცემები შემცირებულია არანაკლებ 118.7 მილიონი ლარით.
- ✓ ბოტანიკური ბაღის საბუღალტრო მონაცემებით, ორგანიზაციას 2014 წელს ნაღდი ანაგარიშსწორებით მიღებული აქვს 1.4 მილიონი ლარი, რაც 541 ათასი ლარით ნაკლებია შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემზე, ხოლო 2015 წელს - 1.5 მილიონი ლარი, რაც 135.4 ათასი ლარით მეტია შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემზე. მოპოვებული მტკიცებულებებით, არსებობს მაღალი რისკი, ბოტანიკური ბაღის მიერ ნაღდი ანაგარიშსწორებით მიღებული

რეალური შემოსავლების არასრულად ასახვისა და მიღებული თანხების არადანიშნულებისამებრ გამოყენებასთან დაკავშირებით:

- ბოტანიკური ბაღის შესასვლელებსა და ელექტრომობილებში განთავსებული სალაროების სამუშაო დღის შემოსული თანხა, სალაროს წიგნში ასახვის გარეშე, განთავსდებოდა ხაზინის ანგარიშზე. ამას გარდა, 2015 წელს, 19-21 ივლისის პერიოდში, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა, რამდენიმე დღის განმავლობაში, ჯამში სალაროდან პირადი მიზნებისთვის გაიტანა 53.5 ათასი ლარი.
- ✓ ბოტანიკური ბაღის ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრისას, 2014 წელს გათვალისწინებული არ არის ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული 2.1 მილიონი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები და 22 050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ხოლო 2015 წელს - 2,3 მილიონი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები და 22 050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.
- ✓ შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენლობის გამო, ვერ დგინდება ბოტანიკური ბაღის 2014 და 2015 წლების მოგების გადასახადის გაანგარიშების საფუძვლიანობა:
 - ბოტანიკური ბაღის მოგების გადასახადის დეკლარაციების თანახმად, 2014 წელს ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითულია 1.1 მილიონი ლარი, ხოლო 2015 წელს - 1.3 მილიონი ლარი. აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გამოქვითვების ცალკეულ კომპონენტებთან დაკავშირებული დოკუმენტური მტკიცებულებები, რითაც შეფასდებოდა მოგების გადასახადის გაანგარიშების საფუძვლიანობა.
- ✓ ქალაქ ანტალიაში გამართული „Expo Antalya 2016“-ში ბათუმის ბოტანიკური ბაღის საგამოფენო კუთხის მოწყობისა და ორგანიზებისთვის, გამარტივებული შესყიდვით გადახდილმა ღირებულებამ შეადგინა 132 ათასი ლარი. სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის ასახული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს რაოდენობა, მოცულობა და ღირებულება, ხოლო სამუშაოს შემსრულებელი და მიმღები პირი, წარმოდგენილი დოკუმენტებით, არ იმყოფებოდა სამუშაოების შესრულების ადგილზე.
- ✓ ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკურ ბაღში“ თანამშრომლებზე გაცემული პრემიების ოდენობამ 2014 წელს შეადგინა 424.9 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს 369.6 ათასი ლარი, რაც

შესაბამისად, 2.3 ათასი ლარით და 44.1 ათასი ლარით მეტია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვასთან.


აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციები:

- ✓ ბოტანიკურმა ბაღმა უზრუნველყოს ორგანიზაციის სარგებლობაში არსებული 1 088 308 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული იმ შენობა-ნაგებობების ბალანსზე ასახვა, რომელიც არ არის აღრიცხული საბუღალტრო მონაცემებში;
- ✓ ნაღდი ფულით ანგარიშსწორების განხორციელებისას, შემოსავლების აღრიცხვიანობის მოსაწესრიგებლად, ბოტანიკურმა ბაღმა შეიმუშავოს კონტროლის მექანიზმების სისტემა, რაც გამორიცხავს ნაღდი ფულის სალაროს წიგნში ასახვის გარეშე მოძრაობას, ხაზინის ანგარიშზე მისი შეტანის დაყოვნებას და მესამე პირთა მხრიდან მისი გამოყენების შესაძლებლობას. კონტროლის მექანიზმებმა უნდა უზრუნველყოს ფულის მოძრაობის თვალთვალის შესაძლებლობა ცოცხალ რეჟიმში;
- ✓ ბოტანიკურმა ბაღმა უზრუნველყოს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ქონების გამიჯვნა და შესაბამისი პროცედურების საშუალებით, მოგებისა და ქონების გადასახადის დეკლარაციების კორექტირება;
- ✓ ბოტანიკური ბაღის მიერ პრემიის გაცემა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.


2.4 პრიორიტეტი 4: თავდაცვისა და სამართალდამცავი სისტემების განვითარება

თავდაცვისა და სამართალდამცავი სისტემები განვითარების მიმართულებით სას-მა დაფარა 1,000,347 ათასი ლარი. ამ მიმართულებით უღლებით ჩატარდა 7 აუდიტი.

დაფარვის მაჩვენებელი



შედეგების განაწილება



2.4.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი

ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე არსებული სერიოზული გამოწვევების გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო მოსამსახურეების სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას. შესაბამისად, აუცილებელია ჯანდაცვის სისტემა პასუხობდეს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის საჭიროებებს, სამედიცინო მომსახურება იყოს ხელმისაწვდომი, დროული და ხარისხიანი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი. აუდიტმა დაფარა 2014-2015 წლები და 2016 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდი. აუდიტის ობიექტად განისაზღვრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა


✓ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა:

სამინისტროში სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პერსონალისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ხარისხიან და მრავალპროფილიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი. ეს გამოწვეულია, როგორც

არასაკმარისი საბიუჯეტო რესურსით, ისე მომსახურების არაპროდუქტიულობით. შესაბამისად, არსებული მწირი რესურსების ფარგლებში, არსებობს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პოტენციალი. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაში არსებული ნაკლოვანებები უკავშირდება სამედიცინო პერსონალის დეფიციტს, სამედიცინო პუნქტებსა და ლაზარეთებში არსებულ ინფრასტრუქტურულ, ასევე სამედიცინო საშუალებებით აღჭურვის პრობლემებს. გარდა ამისა, მომსახურების დროულობისა და ხელმისაწვდომობის პრობლემას ქმნის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სისტემაში არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება სისტემის არასათანადო ორგანიზებაში.

მაგალითისთვის, სამხედრო მოსამსახურეთა ავადმყოფობის გამო შვეებულების გაცემის წესის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის ტრანსპორტირება გარკვეულ შემთხვევებში ხდება გორის სამხედრო ჰოსპიტალში ნებისმიერი წერტილიდან. შედეგად არაეკონომიურად იხარჯება, როგორ ადამიანური ისე მატერიალური რესურსები. აუდიტის დაკვირვების პერიოდში, 16 აგვისტოს *ქუთაისში* განლაგებული სამხედრო ქვედანაყოფიდან სამხედრო მოსამსახურე გადაიყვანეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში, მაშინ, როდესაც თბილისშიც და ქუთაისშიც შესაძლებელი იყო პროვაიდერი კლინიკების მეშვეობით მიეღოთ სამედიცინო მომსახურება. ანალოგიური შემთხვევები ფიქსირდება ვაზიანიდან, ბათუმიდან, ფოთიდან და სხვა რეგიონებიდან.

რუკა: ფოთიდან გორში პაციენტების ტრანსპორტირება




✓ სადაზღვევო მომსახურების ტარიფების დადგენა:

სსიპ გორის სამხედრო ჰოსპიტალი წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერ კლინიკას. სადაზღვევო მომსახურების ღირებულების დადგენაში არსებული ხარვეზები

ამცირებს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ მისაღებ შემოსავლებს. კერძოდ, ამბულატორულ კომპონენტში, რომლის მიხედვითაც ჰოსპიტალი იღებს ფიქსირებულ თანხას სადაზღვევო კომპანიიდან, ჰოსპიტალი შესაძლოა განიცდიდეს ზარალს, თუმცა ჰოსპიტალში არსებული აღრიცხვის სისტემის გამო ზარალის ზუსტი ოდენობის დადგენა შეუძლებელია.

ჰოსპიტალში არსებული გარკვეული სტაციონარული მომსახურების ტარიფები ბაზარზე არსებულ ტარიფებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია, რასაც ემატება ისიც, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში ჰოსპიტალის მიერ სტაციონარულ მომსახურებაზე ვრცელდება დამატებით 20%-იანი ფასდაკლება, რაც ასევე ამცირებს ჰოსპიტალის შემოსავალს.

გრაფიკი N5: აპენდექტომიის საშუალო ფასები სხვადასხვა პროვაიდერ კლინიკებში



✓ **სამხედრო მოსამსახურების ავადობის მართვა:**

სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა შეისწავლა ქვედანაყოფების სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა. შედეგად, გამოვლინდა, რომ ბევრ ქვედანაყოფში „სასმელი წყლის ფიზიკო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლები არ აკმაყოფილებს ჰიგიენურ ნორმებს“. 2013 წლის განმავლობაში 50 სამხედრო ქვედანაყოფში არსებულ სასმელ წყალზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, 50-დან 26 ობიექტზე სასმელი წყალი უვარგისი აღმოჩნდა მოხმარებისათვის.

სასმელი წყლის რეზერვუარების რეცხვა-დეზინფექციის მომსახურების სამუშაოების შესყიდვა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. შედეგად, სამხედრო ქვედანაყოფების მნიშვნელოვან ნაწილში სასმელი წყალი არ აკმაყოფილებს შესაბამის ნორმებს, რაც სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობაზე შესაძლოა უარყოფითად აისახოს.

სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს ევალება სამინისტროს მოსამსახურეების ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის გატარება, თუმცა მას სრულად არ გააჩნია სტატისტიკური ინფორმაცია პერსონალის ავადობის შესახებ. ინფორმაციის კონფიდენციალურობის მოტივით (რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებით განისაზღვრა), სადაზღვევო კომპანიისგან მონაცემების მიღება არ ხდება. შესაბამისი ინფორმაციის გარეშე, შეუძლებელია ჯანდაცვის სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბება.

აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალს

- ✓ შეიმუშაონ სამედიცინო მომსახურების ისეთი სქემა, რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეებისთვის დროული და მისაღები ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას მათი დისლოკაციის ადგილებთან მაქსიმალურად დაახლოებული სამედიცინო დაწესებულებების მეშვეობით;
- ✓ სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის განსაზღვრის, პრევენციული თუ სხვა ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, სადაზღვევო ხელშეკრულებებში გაითვალისწინონ სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეულთა მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ არსებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის მიღება და ანალიზი;
- ✓ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიმუშაონ და დანერგონ სამხედრო ექიმის განათლების, კვალიფიკაციის, პროფესიული და წოდებრივი ზრდის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას და სამხედრო ექიმის პროფესიაზე მოთხოვნის ზრდას;
- ✓ სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში, ჰოსპიტალის მიერ ამბულატორულ მომსახურებაზე გაწეული რეალური ხარჯების დადგენის მიზნით, შემუშავდეს შესაბამისი აღრიცხვის სისტემა, რაც საშუალებას მისცემს სამინისტროს სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას სწორად განსაზღვროს ჰოსპიტალის მიერ გასაწევი ამბულატორული მომსახურების ღირებულება და კაპიტაციის წესით ასანაზღაურებელი ფიქსირებული თანხის ოდენობა;

- ✓ ჰოსპიტალის შემოსავლებისა და შესაბამისად მისი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, სადაზღვეო ხელშეკრულებების გაფორმებისას, გათვალისწინებულ იქნას ჰოსპიტალის მიერ გაწეული რეალური ხარჯები და ბაზარზე არსებული ტარიფები;
- ✓ სამხედრო მოსამსახურეთა ავადობის პრევენციის მიზნით, პრიორიტეტულ ამოცანად განსაზღვრონ და დროულად უზრუნველყონ სასმელად ვარგისი წყლის მიწოდებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება: რეზერვუარების მოწესრიგება, რეცხვა-დეზინფექციის აუცილებელი ღონისძიებები და სხვა.

2.4.2. სასაზღვრო პოლიციის მიერ 2014-2015 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

სასაზღვრო პოლიციას უმნიშვნელოვანესი მისია გააჩნია სახელმწიფო საზღვრის დაცვის, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის, ასევე სახელმწიფოს, მოქალაქეთა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვაში.

სასაზღვრო პოლიცია სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ახდენს სასაზღვრო ინციდენტების, სამხედრო ან სხვა სახის აგრესიის, ტერორისტული აქტების თავიდან აცილებასა და მოგერიებას. 2014-2015 წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ბიუჯეტმა 157,813 ათასი ლარი შეადგინა.

სასაზღვრო პოლიციის მიზნების, ფუნქციების მნიშვნელობისა და ამ ფუნქციების განსახორციელებლად მიმართული საბიუჯეტო თანხების არსებობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასაზღვრო პოლიციის მიერ განხორციელებული შესყიდვები იყოს მიზნობრივი, რაციონალური და ეკონომიური.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

- ✓ ბაზრის არასათანადო კვლევასთან და ტენდერების უშედეგო დამთავრებასთან დაკავშირებული პრობლემები: გამოცხადებული ტენდერების ფარგლებში ხშირ შემთხვევებში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-დან 80%-მდე დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, რაც შემსყიდველის მხრიდან ბაზრის არასათანადოდ კვლევაზე მიუთითებს:

- 2014 წლის 30 დეკემბერს, სასაზღვრო პოლიციამ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი სავარაუდო ღირებულებით 842 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. ვაჭრობის შედეგად დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა შპს მათემოტორსმა 410 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მომდევნო დაბალი სატენდერო წინადადების ფასი - 413.4 ათასი ლარი დააფიქსირა შპს ავტოსერვისცენტრი+მა, ანუ, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 51%-ით ნაკლები. სატენდერო კომისიის 2015 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით ტენდერი შეწყვეტილ იქნა იმ მოტივით, რომ პრეტენდენტების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის პირობა¹², გაგებულ იქნა ორაზროვნად და სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სატენდერო დოკუმენტაციაში შეეტანა ცვლილება.
- ✓ მაღალია კონკურენციის გარეშე განხორციელებული ტენდერების ხვედრითი წილი (2014 წელს - 42%, 2015 წელს - 32%), რაც მიუთითებს შესყიდვის არაეკონომიურად განხორციელების რისკზე.
- ✓ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გამოცხადებული 112 ტენდერიდან, 30%-ზე მეტი უშედეგოდ დამთავრდა. ხოლო 2015 წელს გამოცხადებული 171 ტენდერიდან - 38%. ხშირად ტენდერების უშედეგოდ დამთავრება უკავშირდება სატენდერო დოკუმენტაციით ჩამოყალიბებული მოთხოვნების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. სატრანსპორტო საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების შესყიდვის კატეგორიით, 2014-2015 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გამოცხადებული იყო 30 ტენდერი, საიდანაც მნიშვნელოვანი ნაწილი წარიმართა შესაბამისი შედეგის გარეშე:



- ✓ შესყიდვის განხორციელების გადაუდებელი აუცილებლობის მოტივი დაუსაბუთებელია:
 - გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, შპს მოდელების სახლი მატერიალთან გაფორმდა ხელშეკრულება, 2800 ერთეული პოლოს მაისურის და 2800 კომპლექტი

¹² „პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად პრეისკურანტის საერთო ფასის შემცირების შემთხვევაში, ფასთა კლება პროცენტულად და პროპორციულად უნდა აისახოს პრეისკურანტის მოცემული ჩამონათვალის ერთეულის ფასებზე“

ზამთრის ფორმების შეძენაზე, ღირებულებით 504 ათასი ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 31 დეკემბერი. 2015 წლის 15 ივლისს, შს მინისტრისთვის დაწესებულების ხელმძღვანელის სახელით გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ მოსამსახურეთა ფორმა-ტანსაცმლით უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ზემოაღნიშნული ოდენობის საქონელის მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში მიწოდება. თუმცა გაფორმებული ხელშეკრულებით მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე (2015 წლის 18 ოქტომბერი). ფორმების მიწოდება დაიწყო 2015 წლის 16 ოქტომბრიდან: სულ ოქტომბერში მიღებული იყო 1002 ერთეული ზამთრის ფორმა (36%), ხოლო დანარჩენი 1798 ერთეული (64%) - ნოემბრის თვეში. საქონლის ფაქტიური მიღება ვერ ასაბუთებს გადაუდებელი მოტივით მის შესყიდვას;

- 2014 წლის 15 აპრილს, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, ექსპლუატაციაში მყოფი საფრენი აპარატებისათვის საცხებ-საპოხი მასალის შესყიდვის მიზნით, შპს მეგი და კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 47.4 ათასი ლარი (გადახდილი თანხა - 47.3 ათასი ლარი). ანალოგიური საჭიროებისთვის, კვლავ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, 2015 წელს იგივე კომპანიასთან გაფორმებულ იქნა 2 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 58.8 ათასი ლარი (მიუხედავად იმისა, რომ წინა წელს საქონლის მიწოდება დააგვიანა 26 კალენდარული დღით) და შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანიასთან ღირებულებით - 40,89 ათასი ლარი. სასაზღვრო პოლიციის მიერ საფრენი აპარატებისათვის საცხებ-საპოხი მასალის საჭიროების განსაზღვრა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო დაგეგმვის ეტაპზეც. შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივი დაუსაბუთებელია.

აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები

- ✓ დაიხვეწოს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მექანიზმი ბაზრის კვლევის ჩატარების გზით;
- ✓ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნები ჩამოყალიბდეს იმ ფორმით, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა;
- ✓ მოხდეს საქონლის/მომსახურების მოწოდების დაგვიანებისთვის დარიცხული ჯარიმების ბუღალტრულად ასახვა;

- ✓ გაუმჯობესდეს შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს საჭიროების დროულ იდენტიფიცირებას.

2.4.3. შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2014–2015 წლების შესაბამისობის აუდიტი

დაცვის პოლიციის მიერ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (როგორც ტექნიკური საშუალებებით, ისე საპოლიციო ძალით) დაცულია 10 000-მდე ობიექტი. მათ შორის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები - საერთაშორისო აეროპორტები, ეროვნული საგანძური, ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური მისიები, სარკინიგზო მაგისტრალები.

მის ძირითად საქმიანობას იურიდიული/ფიზიკური პირების ქონების და პირადი უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს, ხოლო მისიას - მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათი საქმიანობისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა.

სსიპ დაცვის პოლიციის საბიუჯეტო სახსრებმა აუდიტის პერიოდში 21.5 მილიონი ლარი შეადგინა. დაცვის პოლიციის დეპარტამენტს, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული თანხებისა, აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიც. აუდიტის პერიოდში საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 219.7 მილიონი ლარი.

აუდიტის ობიექტის მნიშვნელობიდან და მის საქმიანობაზე დახარჯული თანხების არსებობიდან გამომდინარე, აუდიტის სამსახურმა შეისწავლა:

- ✓ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
- ✓ საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულება;
- ✓ არასაბიუჯეტო შემოსავლების (ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული და სხვა) მიზნობრივად და ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულება.


აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

- ✓ ტენდერებში პრეტენდენტების მიმართ მოთხოვნების პროპორციულობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები: კონკურენტული შესყიდვის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია შესყიდვების მონაწილეთათვის შემსყიდველის მიერ წაყენებული მოთხოვნები იყოს პროპორციული. შესყიდვის მონაწილეებისთვის ხელოვნური ბარიერებისა და შემზღუდველი გარემოებების შემცირება დადებითად უნდა აისახოს შესყიდვების განხორციელებისას კონკურენტული გარემოს შექმნასა და საბიუჯეტო

რესურსების ეკონომიურ განკარგვაზე. აუდიტის შედეგად ნაკლოვანებები გამოვლინდა მოთხოვნების პროპორციულობასთან მიმართებით, რაც გავლენას ახდენს ტენდერებში კონკურენციის შეზღუდვაზე, კერძოდ:

- 28 ათასი ლარის ღირებულების ტენდერში მოთხოვნილი იყო 100 ათასი ლარის საქონელბრუნვა ბოლო ორი წლის განმავლობაში, ხოლო 140 ათასი ლარის ღირებულების ტენდერში - 100 ათასი ლარის საქონელბრუნვა ბოლო სამი წლის და ხუთი თვის განმავლობაში. 29.9 ათასი ლარის ღირებულების ტენდერში გამოცდილებასთან დაკავშირებით სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო 25 ათასი ლარის საქონელბრუნვა.
- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება იყო 464.5 ათასი ლარი. გამოცდილების დამადასტურებელ კრიტერიუმად განსაზღვრული იყო მინიმუმ 1 მილიონი ლარის ღირებულების შესრულებული ხელშეკრულების წარმოდგენა, მაშინ, როდესაც შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ აღემატებოდა 500.0 ათას ლარს.

გრაფიკი N6: ტენდერებში პრეტენდენტების მიმართ მოთხოვნების არაპროპორციულობა



- ✓ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი პირობის გამო მაღალფასიანი შესყიდვა - სატენდერო დოკუმენტაციაში არასაჭირო მოთხოვნის გათვალისწინების გამო ხდება მაღალფასიანი შესყიდვა:

- 6000 ცალი უსადენო მოძრაობის დეტექტორის შესყიდვის მიზნით 2015 წლის 26 მარტს დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 360 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასების მქონე ორი პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იყო იმ მოტივით, რომ მათ ვერ წარმოადგინეს უსადენო მოძრაობის დეტექტორის სერტიფიკატი. შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ყველაზე მაღალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი და გაუფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 356.4 ათასი ლარი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ტენდერში სამივე პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული იქნა ერთი და იგივე საქონელი წარმოშობის ქვეყნის, მწამოებლის და მარკის მიხედვით. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი სერტიფიკატი კი წარმოადგენს მხოლოდ კონკრეტული დასახელების (მარკის) საქონლის შესაბამისობის მოწმობას, რომელსაც ადასტურებს მწარმოებელი. დეპარტამენტის მიერ ანალოგიური საქონლის შესყიდვებზე არაერთხელ გამოცხადებულ ტენდერებში სატენდერო დოკუმენტაციით საერთოდ არ იყო მოთხოვნილი ასეთი სერტიფიკატი. სატენდერო დოკუმენტაციაში ასეთი პირობის არარსებობის შემთხვევაში, ტენდერში სავარაუდოდ გაიმარჯვებდა დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, რითაც დაიზოგებოდა დეპარტამენტის ფულადი სახსრები 91.6 ათასი ლარის ოდენობით.

აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები

- ✓ ფულადი სახსრების რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის მიზნით, სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნას თანმიმდევრული, დასაბუთებული და პროპორციული მოთხოვნები პრეტენდენტთა მიმართ, რაც შეამცირებს პრეტენდენტების უსაფუძვლო დისკვალიფიკაციის რისკებს.
- ✓ სატენდერო დოკუმენტაციაში გამოირიცხოს შემზღუდავი და არააუცილებელი ტექნიკური მოთხოვნების ჩადება, რათა თავიდან იქნას აცილებული პრეტენდენტთა მიმართ არასამართლიანი მიდგომა და დაბალფასიანი პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია.


2.5 პრიორიტეტი 5: ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების მხარდაჭერა

ინსტიტუციური განვითარებისა და ქვეყნის ინტერესების მხარდაჭერის მიმართულებით სას-მა დაფარა 1,154,002 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 11 აუდიტი.

დაფარვის მაჩვენებელი



შედეგების განაწილება



2.5.1. ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ძირითადი დარღვევები:

- ✓ სსიპ ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს არ განუხორციელებია დებიტორული დავალიანებების ამოღება:
 - ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ნავთობპროდუქტების რეგულირების საფასურის დარიცხვიდან, 2004-2007 წლებში წარმოშობილი დებიტორული დავალიანება შეადგენს 583,558 ლარს. აღნიშნული თანხა შედგება შემდეგი კომპანიების დავალიანებებისგან:

ორგანიზაციის დასახელება	2004	2005	2006	2007	სულ დავალიანება
სს "საქნავთობი" (სს"საქგეოსერვისი")	152,569	146,125	143,839	53,086	495,619
შპს "საქნავთობი-სამგორი" (სს"საქკაპსერვისი")	21,117	23,208	1,381	-	45,706
შპს "თერჯოლა-ოილი"	16,630	-	-	-	16,630
შპს "ვივა"	16,630	-	-	-	16,630
შპს "ვაზოილი"	8,973	-	-	-	8,973
სულ რეგულირების საფასური	215,919	169,333	145,220	53,086	583,558

სააგენტოს 2015 წლის ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით სს საქნავთობის დებიტორული დავალიანება შეადგენს 495,619 ლარს. სს საქნავთობისა და შპს ვივასგან მიღებული წერილების თანახმად, სს საქნავთობი და შპს ვივა არ აღიარებენ დავალიანებას სამინისტროს მიმართ. ხოლო შპს ვაზოილისთვის გაგზავნილი წერილი სამინისტროს უკან დაუბრუნდა კომპანიის მოუძიებლობის გამო. 2015 წელს სააგენტოს მიერ მოცემული დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებული პროცესები არ განხორციელბულა.

✓ შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარვეზები:

- 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით სამინისტროს აპარატის მომუშავეთა რიცხოვნობა 114 საშტატო ერთეულით დაიგეგმა. შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 2.2 მილიონი ლარით. მთელი წლის განმავლობაში ვაკანტური თანამდებობების რაოდენობამ 30 ერთეული შეადგინა, საიდანაც 27 წარმოადგენს საკონკურსო შტატს. ამ პოზიციებზე 2015 წელს კონკურსი არ გამოცხადებულა. აღნიშნული ვაკანტური თანამდებობების არსებობით „თანამდებობრივი სარგოს“ ქვემუხლში წარმოქმნილმა ეკონომიამ 2015 წელს 360.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გამოყენებულ იქნა აპარატის თანამშრომლების მატერიალური წახალისების მიზნით. გარდა ამისა, მეოთხე კვარტალში სხვა ქვეპროგრამიდან თანამშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით „შრომის ანაზღაურების“ მუხლში გადმოტანილ იქნა 183 ათასი ლარი. „შრომის ანაზღაურების“ საბოლოოდ გაწეულმა საკასო ხარჯმა 2.4 მილიონი ლარი შეადგინა და გადააჭარბა ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს.

✓ პრემია და დანამატი:

- სამინისტროს აპარატში 2015 წელს გაცემული პრემია, 2014 წელთან შედარებით შემცირებულია 420.6 ათასი ლარით, თუმცა დანამატი გაზრდილია 434.4 ათასი ლარით. შედეგად 2015 წლის პრემიისა და დანამატის ჯამური თანხა 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 13.8 ათასი ლარით.
- ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოში 2015 წელს წინა წელთან შედარებით პრემია შემცირებულია 116.3 ათასი ლარით, ხოლო დანამატი გაზრდილია 104.7 ათასი ლარით.
- სამინისტროს აპარატში დანამატი განისაზღვრა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც 75 საჯარო მოხელეს ყოველთვიურად, 2015 წლის ბოლომდე დაუწესდა დანამატი ჯამში 72.6 ათასი ლარის ოდენობით.
- ✓ ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებული ხარვეზები:
 - ენერგეტიკის სამინისტროს „ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიების“ ქვეპროგრამიდან, თანამშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით, სამინისტროს აპარატის ქვეპროგრამაზე გადატანილ იქნა 183 ათასი ლარი. ჯამურად, წლის განმავლობაში აღნიშნული ქვეპროგრამიდან სხვადასხვა ქვეპროგრამაზე ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებით გადატანილმა სახსრებმა 745.7 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ქვეპროგრამის საკასო ხარჯი 2014-2015 წლებში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბიუჯეტის მიხედვით დაგეგმილს.

2.5.2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბათუმისა და ქედის მუნიციპალიტეტების ქონების მართვა

მუნიციპალიტეტის ქონება ადგილობრივი ეკონომიკის საფუძველია და უზრუნველყოფს საფინანსო-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. მუნიციპალიტეტებისთვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის პროცესი 2005 წელს დაიწყო, რომელიც რიგ მუნიციპალიტეტებში დღემდე გრძელდება. შესაბამისად აქტუალური ხდება მუნიციპალური ქონების პრივატიზების თემა, იჯარით გაცემა.


მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას მის მფლობელობაში არსებული ქონების შესახებ, თუ რა უფლებრივ და ნივთობრივ მდგომარეობაში იმყოფება კონკრეტული საკადასტრო ერთეული. როგორც პრივატიზების,

ასევე სარგებლობის უფლებით გაცემისას დაინტერესებული მხარისათვის მნიშვნელოვანია სრული ინფორმაცია არსებული ქონების შესახებ როგორცაა მაგალითად, მიწის ნაკვეთების კონტურების ზუსტი აღწერილობა და ქონების უფლებრივად უნაკლო მდგომარეობა (დაკავება მესამე მხარის მიერ).

აუდიტის შედეგად გამოვლენილი პრობლემების მოკლე აღწერა


- ✓ საჯარო რეესტრისა და მუნიციპალიტეტების ხელთ არსებული მონაცემების შედარებისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი სხვაობები, კერძოდ:
 - ბათუმის მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას მის მფლობელობაში არსებული ქონების 50%-ის შესახებ;

გრაფიკი N7: ქ. ბათუმისა და საჯარო რეესტრის მონაცემები



მუნიციპალიტეტის შემთხვევაში აღნიშნული უზუსტობის პროცენტი შეადგენს 47%-ს, რომელიც ასევე გამომდინარეობს საჯარო რეესტრისა და მუნიციპალიტეტის ხელთ არსებული ინფორმაციების ურთიერთშედარებით:


გრაფიკი N8: ქედისა და საჯარო რეესტრის მონაცემები




ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მუნიციპალიტეტების მიერ ქონების აღრიცხვა ნაკლოვანებებით წარიმართება. შედეგად, მუნიციპალიტეტები არ ფლობენ სრულ და განახლებულ ინფორმაციას მათ ხელთ არსებული ქონების შესახებ.

✓ მერიის საკუთრებაშია ქონება, რომლის გამოყენება ხდება გარკვეული ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ უსასყიდლოდ, რაც ქონების თვითნებურად გამოყენებაზე მიუთითებს. შესაბამისად, აღნიშნული ტიპის ქონება მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს რეალურ პრობლემას, გარკვეულ ნაწილში მუნიციპალიტეტი ვერ იყენებს საკუთრების უფლებას სრულად, რაც შესაძლებელია დამაბრკოლებელ ფაქტორად განვიხილოთ ქონების ეფექტიანი მართვის მიზნებისათვის:

- მაგალითისთვის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე არსებული 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი¹³, სადაც განთავსებულია რესტორანი.




- ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე არსებული 486 კვ.მ მიწის ნაკვეთით¹⁴, სარგებლობს მომიჯნავე ფართზე მდებარე რესტორანი.



¹³ ს/კ 05.24.02.087

¹⁴ ს/კ 05.21.02.013

- ქალაქ ბათუმში, გონიოს დასახლებაში ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 636 კვ.მ მიწის ნაკვეთი¹⁵, რომელზეც განთავსებულია მომიჯნავე მიწაზე არსებული რესტორნის შენობა-ნაგებობა.



აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები

- ✓ ბათუმისა და ქედის მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ქონების შესახებ ინფორმაციის სისრულე, მათ ხელთ არსებული საინფორმაციო ბაზების განახლება, რაც უზრუნველყოფს ქონების ეფექტიანი და პროდუქტიული მართვისათვის წინაპირობების შექმნას.
- ✓ ბათუმისა და ქედის მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ რიგი საკადასტრო ერთეულების შესაბამის ამონაწერების განახლება საჯარო რეესტრის ეროვნულ ბიუროში, მოძველებული ინფორმაციების ახლით ჩანაცვლების მიზნით.
- ✓ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ განიხილოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს არსებული ქონების ხელყოფისაგან/თვითნებურად დაკავებისაგან დაცვას და შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია რომელიც თანმიმდევრულ ქმედებათა ერთობლიობით მოახდენს ქონების უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო სტატუსით ფორმირებას.

¹⁵ 6/3 05.36.22.090

2.5.3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სახსრებისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის მიზნობრიობის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ საბიუჯეტო სახსრებისა და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების ხარჯვის მიზნობრიობის შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2015 წლის პერიოდი.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ძირითადი დარღვევები:

- ✓ შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარვეზები:
 - დადგენილი წესის თანახმად, უქმე დღეებთან დაკავშირებით პრემია შეიძლება გაცემულიყო წელიწადში არაუმეტეს სამჯერ, თუმცა უქმე დღეებთან დაკავშირებით რამდენიმე თანამშრომელზე წლის განმავლობაში გაიცა მე-4 პრემიაც (ჯამში 2,054.00 ლარი). გარდა აღნიშნულისა, რიგ შემთხვევებში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებზე პრემიები გაცემული იყო ინიცირების გარეშე.
 - აპარატის თანამშრომლებზე წლის განმავლობაში გაცემული დანამატების ოდენობამ ჯამში შეადგინა 7,314.00 ლარი. ბრძანებების მიხედვით დანამატები გაცემული იქნა შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში „ზეგანაკვეთური და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით“. ვინაიდან არ იყო ნაწარმოები „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი“, ხოლო „მომსახურეთა აღრიცხვის ჟურნალის“ მონაცემებში არ ფიქსირდებოდა სამსახურში გამოცხადების და წასვლის დრო (საათი), ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა თანამშრომელთა მიერ ზეგანაკვეთურად მუშაობის ფაქტები.
- ✓ შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება:
 - 2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მთავრობის აპარატში დასაქმებული იყო შტატგარეშე მომუშავეები და მათზე ანაზღაურდა - 60,765.00 ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შტატგარეშე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა

მთავრობის აპარატის შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებები, თუმცა 2015 წლის „მოსამსახურეთა აღრიცხვის ჟურნალში“ მათი აღრიცხვა არ ხდებოდა. შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა განსაზღვრული არ ყოფილა, ხოლო მთავრობის აპარატში არსებულ კორესპოდენციაში, რაიმე ტიპის ოფიციალური დოკუმენტი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურებრივი ბარათი და სხვ.), რომლითაც დადასტურდებოდა შტატგარეშე მოსამსახურეების მიერ შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგი და აქედან მიღებული სარგებელი არ ფიქსირდება, შესაბამისად ფაქტობრივად ვერ დადასტურდა შტატგარეშე მომუშავეთა დასაქირავებლად გახარჯული სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა.

✓ წარმომადგენლობითი ხარჯები:

- ქვეყნის გარეთ განხორციელებულ მივლინებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულ პირზე ანაზღაურებული იქნა წარმომადგენლობითი ხარჯები ჯამში 4,457.52 ლარის ოდენობით. ზოგადად ხარჯების ანაზღაურება (აღიარება) ხდებოდა ანგარიშვალდებულებული პირის მიერ წარმოდგენილი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების შინაარსის შესწავლის შემდგომ ქვითარზე/ფაქტურაზე მითითებული თანხების მიხედვით. თუმცა, 18 შემთხვევაში 2,610.90 ლარის ანაზღაურება მოხდა მხოლოდ წარმოდგენილ ქვითრებზე მითითებული თანხების შესაბამისად, ანუ თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შინაარსის გაცნობის გარეშე. შედეგად, როგორც დადგინდა, 2,610.90 ლარიდან 10 შემთხვევაში 1,594.22 ლარი გაიხარჯა ისეთი ტიპის ნივთების შესასყიდად, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით არ ექვემდებარებოდა წარმომადგენლობით ხარჯად აღიარებას, ხოლო 8 შემთხვევაში არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტების გამო 1,016.68 ლარის ხარჯები ფაქტობრივად ვერ იდენტიფიცირდა.

✓ საბიუჯეტო დეფიციტის მართვა:

- საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2015 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია

ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, მთავრობის აპარატის მიერ 2015 წელს შრომის ანაზღაურება გაიზარდა 11 %-ით.

✓ **სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემა:**

- მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა სახის მკურნალობისათვის, სოციალური პრობლემების და სხვა გარემოებების გამო, (სწავლების დაფინანსება, სოციალური მდგომარეობა, ღონისძიებების ჩასატარებლად და სხვ.) მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით გამოყოფილი თანხები შეადგენდა - 214,573.00 ლარს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდი იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად, 2015 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მაინც გაიცა 87,900.00 ლარი ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალურ-მატერიალური დახმარებებისათვის), რომლებიც გათვალისწინებული იყო 2015 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების ასიგნებებში. სარეზერვო ფონდიდან რიგ შემთხვევებში ფიზიკურ პირებზე წლის განმავლობაში რამდენჯერმე (2-ჯერ, 3-ჯერ) სხვადასხვა მიზეზების გამო (სოციალური მდგომარეობა, მკურნალობისთვის და სხვ.) გაიცა ჯამში 15,550.00 ლარი. თუმცა, ანალოგიური პრობლემებით და მსგავსი მდგომარეობით შემოსული განცხადებების დაკმაყოფილება მთელ რიგ შემთხვევებში არ მომხდარა და ისინი გადაიგზავნა რეაგირებისთვის აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებსა და სხვა დაწესებულებებში.

აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები:


- ✓ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად, სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული პრემიის გაცემის წესის მოთხოვნები;
- ✓ ხელფასის დარიცხვის საფუძველად გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმა. მთავრობის აპარატის შინაგანაწესის შესაბამისად

შემუშავდეს და ოფიციალურად დამტკიცდეს „მოსამსახურეთა აღრიცხვის ჟურნალი“ ან/და გამოყენებული იქნას სპეციალური ტექნიკური საშუალება;

- ✓ შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება უნდა განხორციელდეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის და მთავრობის აპარატის შინაგანაწესის მოთხოვნათა სრული დაცვით, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (გაწეული მომსახურების) იდენტიფიცირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას;
- ✓ უნდა განხორციელდეს მივლინებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ყველა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის სრულყოფილი შესწავლა, შეძენილი საქონლის იდენტიფიცირება და ამის შემდგომ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების წარმომადგენლობით ხარჯად აღიარება (ჩამოწერა). შესაბამისად, უნდა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რათა 2015 წელს წარმომადგენლობით ხარჯად არასწორად აღიარებული თანხები - 2,610.90 ლარი სრულად აღდგეს ბიუჯეტის ანგარიშზე;
- ✓ საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები;
- ✓ სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფა განხორციელდეს რესპუბლიკური ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. ასევე, უნდა შემუშავდეს სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფასთან (განკარგვასთან) დაკავშირებით ცალკე გაწერილი წესი, შესაბამისი კრიტერიუმების მითითებით. აღნიშნული გარემოება გახდება უფრო მეტი გამჭვირვალობის, თანხების მიზნობრივად ხარჯვისა და სრულყოფილი კონტროლის (ანგარიშგების) საფუძველი.

2.6 პრიორიტეტი 6: ინფრასტრუქტურული პროგრამებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა

ინფრასტრუქტურული პროგრამებისა და ღონისძიებების მხარდაჭერის მიმართულებით სას-მა დაფარა 329,744 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 7 აუდიტი.



2.6.1. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მართვა

საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია საქართველოს რეგიონებში დაბალანსებული, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მიღწევისათვის კი ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მნიშვნელოვანია, რადგან ხელს უწყობს ბიზნეს-სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, სამუშაო ადგილების შექმნას, ადგილობრივი წარმოების ზრდასა და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი წარმოადგენს. 2015 წელს, ფონდმა სამთავრობო კომისიის გავლით მუნიციპალიტეტებში დააფინანსა 601 სხვადასხვა ტიპის პროექტი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 175,275 ათასი ლარი შეადგინა.

ფონდის მნიშვნელობიდან, საბიუჯეტო სახსრების არსებითობიდან და რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობაზე დიდი სოციალურ-ეკონომიკური გავლენიდან გამომდინარე,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მართვის ეფექტიანობის აუდიტი.

აუდიტის ობიექტებს წარმოადგენდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 5 შერჩეული მუნიციპალიტეტი (ამბროლაური, თელავი, დმანისი, ხარაგაული და მცხეთა) და სამთავრობო კომისია¹⁶. აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა შერჩეული მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული 70 პროექტის მართვის პროცესი.


აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

- ✓ ფონდის ფარგლებში მუნიციპალიტეტების დაფინანსების საპროგნოზო მოცულობის გაანგარიშების არსებული კრიტერიუმები სრულად ვერ ასახავს მათ საჭიროებებსა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, შედეგად ვერ ქმნის მუნიციპალიტეტებს შორის თანასწორი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობებს. დღეის მდგომარეობით, ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი სახსრების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობასა და წინა წლის ათვისების მაჩვენებელზე დაყრდნობით. მუნიციპალიტეტებს შორის თანხების გადანაწილებისას სხვა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოს 2010-2017 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის მიზნების მიღწევას.
- ✓ პროექტების მართვის პროცესში, მუნიციპალიტეტებს არ აქვთ განსაზღვრული მონიტორინგის შედეგების წარდგენის ფორმა და პერიოდულობა. შედეგად, არ ხდება პროექტების მიმდინარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება და ასევე, დროული რეაგირება პროექტის გეგმა-გრაფიკთან ჩამორჩენის შემთხვევაში. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პროექტის ზედამხედველობა ტარდება დროის მონაკვეთის დიდი შუალედებით, ხოლო დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი პროექტის მიმდინარეობის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად.

¹⁶ საქართველოს მთავრობის №172 დადგენილების საფუძველზე შექმნილი საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო, რომელიც საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პროექტის დაფინანსების შესახებ


ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების მიერ პროექტების მიმდინარეობის პერიოდში ზედამხედველობის მიზნით განხორციელებული აქტივობების სახეები და მათი ჩატარების პერიოდულობა.

გრაფიკი N9: პროექტის მიმდინარეობის პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოების ზედამხედველობის მიზნით განხორციელებული აქტივობების სახეები და სიხშირე რამდენიმე პროექტის შემთხვევაში



- ✓ შესწავლილი პროექტების დაგეგმვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები. პროექტის დაგეგმვის ეტაპზე არსებული ხარვეზები, როგორებიცაა საპროექტო დოკუმენტაციაში კონკრეტული სამუშაოების გამოტოვება, პროექტის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების გაუთვალისწინებლობა და სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო ლიცენზიების დაგვიანებით მოპოვება, განაპირობებენ პროექტების დაგვიანებით შესრულებასა და ბიუჯეტის ცვლილებას. კერძოდ, 55 დასრულებული პროექტიდან 23 პროექტის (42%) შემთხვევაში დასრულების ვადა გახანგრძლივდა, ხოლო 8 პროექტის შემთხვევაში თავდაპირველად განსაზღვრული ღირებულება გაიზარდა, რამაც ჯამში 64.5 ათასი ლარი შეადგინა.

გრაფიკი N10: პროექტების დაგეგმილი დასრულების ვადიდან (I გრაფიკი) და ბიუჯეტიდან პროცენტული გადახრა (II გრაფიკი)



აუდიტის ჯგუფის მიერ პროექტების ადგილზე დათვალიერებისა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ერთი პროექტის შემთხვევაში არ ხდება განხორციელებული პროექტით სარგებლობა, ხოლო ორი პროექტის შემთხვევაში ხარვეზებია პროექტის გამართულად ფუნქციონირების კუთხით.

- ✓ პროექტების დასრულების შემდგომი შეფასების პრაქტიკის არარსებობა: მუნიციპალიტეტების მიერ არ არის დანერგილი პროექტების დასრულების შემდგომი შეფასების პრაქტიკა. შედეგად, არ ხდება წინა პერიოდებში განხორციელებული პროექტებიდან მიღებული გამოცდილების მომავალ პროექტებში გათვალისწინება. აღნიშნული შეფასების სისტემის არსებობა საშუალებას მისცემს ერთის მხრივ, მუნიციპალიტეტებს განსაზღვრონ შეფასებისას იდენტიფიცირებული პრობლემების გამოსწორების/გადაჭრის გზები, ხოლო მეორე მხრივ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაითვალისწინოს მიღებული გამოცდილება მომავალში განსახორციელებელი პროექტების შერჩევისა და დაგეგმვის პროცესში და ასევე, მოახდინოს პროექტების ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გაზიარება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ:

- ✓ მუნიციპალიტეტების თანასწორი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს მუნიციპალიტეტებისათვის გამოსაყოფი დაფინანსების საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრის კრიტერიუმები, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობასა და წინა წლის ათვისების მაჩვენებელთან ერთად გაითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საჭიროებებსა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს.
- ✓ იმ მიზნით, რომ მუნიციპალიტეტებმა დროულად შეძლონ პროექტების მიმდინარეობისას დაშვებული ხარვეზების იდენტიფიცირება, აღმოფხვრა, სამუშაოების მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და მონიტორინგის შედეგების დადოკუმენტირება, სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს სარეკომენდაციო სახით განუსაზღვროს მონიტორინგის ჩატარების პერიოდულობა და შეუქმნას მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის ერთიანი ფორმა პროექტის ტიპის გათვალისწინებით.
- ✓ წინა პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების სამომავლოდ გათვალისწინებისა და თავიდან არიდების მიზნით, სამინისტრომ:
 - მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს პროექტების დასრულების შემდგომ შეფასების ანგარიშის ფორმის შემუშავება (რომლის მიხედვით ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი იქნება მუნიციპალიტეტი) და მოახდინოს აღნიშნული ანგარიშების ანალიზი;
 - მოახდინოს ანალიზის შედეგად პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებული სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირება და შედეგების გაზიარება სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

2.6.2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2013-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის საქალაქო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამათა შემუშავებას და მათ განხორციელებას, აგრეთვე ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2013-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი, რომლის ფარგლებში აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები და შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

- ✓ ქალაქ თბილისის მერიასა და ავსტრიულ კომპანია „DOPPELMAYR“-ს შორის 2012 წლის 5 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება მთაწმინდაზე საბაგირო გზის ფუნქციონირების აღდგენის მიზნით. კომპანია „DOPPELMAYR“-ისათვის წინასწარი ანგარიშსწორებით საბანკო გარანტიისა და მატერიალური ფასეულობის მიღების გარეშე გადარიცხულია სულ 4.1 მილიონი ევრო მაშინ როდესაც, ხელშეკრულებით 2.8 მილიონი ევროს გადახდა უნდა განხორციელებულიყო მისაწოდებელი ტექნიკის თბილისში დასაწყობების შემდეგ. საბაგირო გზის მშენებლობისათვის 2012-2013 წლებში ბიუჯეტიდან გაწეულია სულ 12.6 მილიონი ლარის საკასო ხარჯი. დღეის მდგომარეობით კი შესრულებულია მხოლოდ 604.6 ათასი ლარის სამუშაოები;
- ✓ აუდიტის პროცესში კეთილმოწყობის სამსახურისა და შპს უძრავი ქონება თბილისის თანამშრომლებთან ერთად მიწისქვეშა გადასასვლელებში შესრულებული სამუშაოების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ მიწისქვეშა გადასასვლელებში დამონტაჟებული ლიფტები და საპირფარეშოები საერთოდ არ ფუნქციონირებდა, სამეთვალყურეო სისტემიდან კი ფუნქციონირებდა მხოლოდ მცირე ნაწილი. შესყიდული მატერიალური ფასეულობებისა და შესრულებული სამუშაოების შესაბამისად დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებადი სამეთვალყურეო სისტემის გათვალისწინებით არაეფექტიანად გახარჯულმა საბიუჯეტო თანხებმა შეადგინა 831.6 ათასი ლარი. სამეთვალყურეო სისტემების შესყიდვაზე შპს დელტა კომთან 2014 წლის 1 ივლისს

გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად შესასყიდი მატერიალურ ფასეულობათა სავარაუდო ღირებულების არასწორი განსაზღვრის შედეგად მიწოდებული აპარატურის ფასნამატმა შეადგინა 298.2 ათასი ლარი;

- ✓ 2015 წლის 1 იანვრიდან მიმწოდებლები ვალდებული არიან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებამდე, წარმოედგინონ ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ღირებულების ფაქტიური დანახარჯების შესახებ. ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებდა მერია და მისი ღირებულების პროცენტული მაჩვენებლები კომპანიებთან შეთანხმებით დგინდებოდა ასევე მერიის მიერ, მომსახურების ღირებულება მიმწოდებელი კომპანიების მიხედვით განსხვავდებოდა და მერყეობდა შესასრულებელი სამუშაოების 0.4% დან 5.6%-მდე. 2015 წლის განმავლობაში კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სამშენებლო, სარემონტო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულებების საექსპერტო მომსახურებაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების¹⁷ შესაბამისად, სსიპ სამხარულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების გამოყენების შემთხვევაში ბიუჯეტიდან ფაქტობრივად გადახდილი 579.2 ათასი ლარის ნაცვლად გადასახდელი იქნებოდა 347.5 ათასი ლარი;
- ✓ 2013 წელს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულებისა და შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებლებზე პირგასამტეხლოს სახით დარიცხულმა თანხებმა შეადგინა 129.5 ათასი ლარი, მაშინ როცა ხელშეკრულებების შესაბამისად დარიცხული უნდა ყოფილიყო 719.5 ათასი ლარი.


აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაცია

- ✓ რამდენადაც ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს კეთილმოწყობის სამსახური, საბიუჯეტო თანხების რაციონალურად ხარჯვის მიზნით მიზანშეწონილია კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სამშენებლო, სარემონტო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულებების საექსპერტო მომსახურების პროცენტული მაჩვენებლები დადგინდეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის „ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N 171 დადგენილების შესაბამისად.

¹⁷ 2012 წლის 8 მაისის N171 მთავრობის დადგენილება

2.7 პრიორიტეტი 7: საქართველოს ეკონომიკის განვითარება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართულებით სას-მა დაფარა 577,442 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 9 აუდიტი.



2.7.1. მოხსენება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმა ემსახურება საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლებას და ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორებიცაა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. სწორედ აღნიშნული პრინციპების განსამტკიცებლად და საპარლამენტო ზედამხედველობის ხელშეწყობის გასაძლიერებლად, სამსახური ყოველწლიურად ამზადებს მოხსენებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მიმდინარე წელს მომზადდა მოხსენება „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს შეაფასოს:

- ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე;
- გამოავლინოს საჯარო ფინანსების მართვის პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ხარვეზები, და
- ხელი შეუწყოს აღნიშნული სისტემის ეფექტიანობას გაცემული რეკომენდაციების საშუალებით.

სას-ის მოხსენებაში წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანგარიშგების პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ხარვეზები, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: საშუალოვადიანი დაგეგმვა; შემოსავლების მობილიზება; საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა; კაპიტალური პროექტებისა და სახელმწიფო ვალის მართვა; პროგრამული ბიუჯეტირება; საჯარო ფინანსების აღრიცხვა-ანგარიშგება და სხვა.

✓ სახელმწიფო საწარმოების მართვა

2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან იგეგმებოდა 2.5 მლნ ლარის ოდენობის დივიდენდების მობილიზება. თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდები მიმართა სულ 30-მა საწარმომ, ჯამურად 717.1 ათასი ლარის ოდენობით, რაც წლიური გეგმის მხოლოდ 28.7% შეადგენს. ანალოგიურ ტენდენციას ადგილი ჰქონდა გასული წლების განმავლობაშიც.

გრაფიკი N11. დივიდენდების მობილიზების დინამიკა სახელმწიფო ბიუჯეტში - 2014-2016 წწ. (ათასი ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული დივიდენდების დინამიკა და მობილიზების დაბალი მაჩვენებლები, მიუთითებს ერთი მხრივ, დივიდენდების შემოსავლების არასწორ დაგეგმვაზე, ხოლო მეორე მხრივ, დივიდენდების მობილიზების ქმედითი მექანიზმების არარსებობაზე, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სამთავრობო კომისია. კერძოდ:

- 2013 წელს გამართული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, 2013 წლის 1 სექტემბრიდან, 124 საწარმოს ბიუჯეტში უნდა მოემართა ჯამში 17.4 მლნ ლარი, თუმცა, 2015 წლის ბოლოსათვის მხოლოდ 15-მა საწარმომ ან ნაწილობრივ ან სრულად

გადაიხადა მასზე დაკისრებული ვალდებულება, რამაც ჯამში 15.3 მლნ ლარი შეადგინა (მთლიანი მისამართი თანხის 88%);

- 2015 წელს გამართული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, 2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების მიმართვა დაევალა 36 საწარმოს, ჯამურად 1,511 ათასი ლარის ოდენობით. თუმცა, ბიუჯეტში ფაქტობრივად დივიდენდები მიმართა 25-მა საწარმომ, მხოლოდ 572.1 ათასი ლარის მოცულობით.

სას ყოველწლიურად ამახვილებს ყურადღებას დივიდენდების მობილიზებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, თუმცა საკითხი კვლავ პრობლემატური რჩება.

✓ ავტოსატრანსპორტო საშუალებები საჯარო სექტორში

სახელმწიფო ავტოპარკის მართვის ხარჯებთან დაკავშირებული საკითხის დარეგულირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს მიიღო დადგენილება¹⁸, რომელიც განსაზღვრავს ავტომობილების კლასებს და კონკრეტული კლასისათვის მიკუთვნების კრიტერიუმებს, ასევე განსაზღვრული ნიშნით მათი თანამდებობრივი ან ზოგადი დანიშნულებით გამოყენების წინაპირობებს. დადგენილების მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დაწესებულებას დაევალა მათ მფლობელობაში არსებული ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმის შემუშავება და წარდგენა მთავრობის კომისიისათვის 2014 წლის 1 აპრილამდე.

მხარჯავი უწყებების მიერ ოპტიმიზაციის გეგმების მომზადება და კომისიისთვის წარდგენა განხორციელდა ზემოხსენებულ ვადებში. თუმცა წარდგენილ ოპტიმიზაციის გეგმებში არსებული ხარვეზების გამო, უწყებებს დაევალათ განახლებული ოპტიმიზაციის გეგმების წარმოდგენა. რამდენადაც ახალი ოპტიმიზაციის გეგმების კომისიისათვის მიწოდების კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ იქნა, მიმდინარე მდგომარეობით დამტკიცებულია მხოლოდ 5 სამინისტროს ოპტიმიზაციის გეგმა.

საჯარო სექტორში ავტოპარკის მართვის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, შემდეგი სისტემური ხასიათის ხარვეზები:

¹⁸ 2014 წლის 6 თებერვალს მიიღო №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“

- ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციების შემთხვევაში ფიქსირდება განპიროვნებული ავტომობილებით თანამდებობასთან შეუსაბამოდ სარგებლობის ფაქტები;
- ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებები არ აკმაყოფილებენ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და ლიმიტებს;
- გარკვეული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფარგლებში ზოგიერთ ავტომანქანაზე არ ხდება საწვავის ლიმიტების განსაზღვრა, რაც ართულებს უწყების მიერ ავტომობილების საწვავით უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯების დაგეგმვასა და მათ შემდგომ მონიტორინგს;
- გარკვეული უწყებების შემთხვევაში, ბალანსზე აღრიცხულია ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა გამოყენება მთელი წლის განმავლობაში არ მომხდარა.

✓ სახელმწიფო შესყიდვების მართვა

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის უზრუნველსაყოფად, მხარჯავი უწყებები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში ვალდებულნი არიან დაიცვან საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები და სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მონაწილეთა რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 4 მლრდ ლარი შეადგინა. სას-ის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად, გამოვლინდა სისტემური ხასიათის ხარვეზები შესყიდვების განხორციელების ყველა სტადიაზე, განსაკუთრებით კი დაგეგმვის ეტაპზე. კერძოდ, შესყიდვების სფეროში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს:


- გამარტივებული შესყიდვების მაღალი ხვედრითი წილი (37%) 2016 წლის განმავლობაში გაფორმებული შესყიდვების ხელშეკრულებების მთლიან ღირებულებაში, რაც გასული წლების მსგავსად, განსაკუთრებით მაღალია ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში;

- წლის განმავლობაში საჯარო უწყებების შესყიდვების დამტკიცებულ გეგმებში განხორციელებული ხშირი და მასშტაბური ცვლილებები. ასევე, უშედეგოდ დასრულებული ტენდერების მაღალი წილი გამოცხადებული ტენდერების მთლიან რაოდენობაში. კერძოდ, 2016 წლის განმავლობაში გამოცხადებული ტენდერების ჯამური რაოდენობიდან (38,072) უშედეგოდ დასრულდა 10,304 ტენდერი ანუ მთლიანი ოდენობის 27%, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია;
- შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების ისეთ შემზღუდველ ჩარჩოებში მოქცევა და კონკრეტიზაცია, რომ აღნიშნული, შესყიდვის პროცესში არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების მიზეზი ხდება, რაც მათი ერთ კონკრეტულ მომწოდებელზე მორგებაში გამოიხატება;
- მხარჯავი უწყებების მიერ სათანადოდ არ ხორციელდებოდა ბაზრის წინასწარი კვლევა, შესასყიდი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების (ხარისხი, ფუნქციები, უსაფრთხოების ზომები, შეფუთვა, ნიშანდება და ა.შ.) შესწავლა და მიმდინარე პერიოდში ობიექტის სავარაუდო საბაზრო ღირებულების განსაზღვრა, რის შედეგადაც, ზოგიერთ შემთხვევაში სახეზეა არშემდგარი ტენდერები ან შესყიდვების პროცესში წარმოქმნილი მნიშვნელოვანი ეკონომიები;
- საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ვერ ხდება შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების სწორად განსაზღვრა, რაც შემდგომში ტენდერების შეწყვეტის, დროში გაჭიანურებისა ან/და მათი გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შესყიდვების მიზეზი ხდება, რამდენადაც ვეღარ ესწრება ელექტრონული ტენდერის პროცედურების ჩატარება;
- ელექტრონული ტენდერის გამოცხადება ისეთ საქონელზე, რომლის შესყიდვის საჭიროება უწყების წინაშე არ იდგა;
- აუცილებელი დოკუმენტაციის დაგვიანებით ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში არ ხდება პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია;
- ასევე, რიგ შემთხვევებში სრულყოფილად არაა დასაბუთებული გადაუდებელი აუცილებლობით და შესაბამისად, ტენდერის ჩატარების გარეშე განხორციელებული შესყიდვების საჭიროება, მაშინ როდესაც სწორი და დროული დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა შესყიდვა განხორციელებული ყოფილიყო ტენდერის საშუალებით, რაც კონკურენტული გარემოს შექმნას უზრუნველყოფდა.

✓ მთავრობის სარეზერვო ფონდის მართვა

მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით 50 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. თუმცა წლის განმავლობაში სხვადასხვა წყაროდან მოზიდული სახსრების შედეგად ფონდი 178 მლნ ლარამდე ანუ 256%-ით გაიზარდა. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გახარჯული საბიუჯეტო რესურსების ოდენობა ანალოგიური ტენდენციით ხასიათდებოდა გასული წლების განმავლობაშიც. აქედან გამომდინარე, დამატებით ყურადღებას საჭიროებს მთავრობის სარეზერვო ფონდისათვის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების წლის განმავლობაში მასშტაბური ზრდის ტენდენცია, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ფონდიდან გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ათვისებაზე არ ვრცელდება არც საბიუჯეტო კოდექსით დაწესებული ლიმიტები და არც შესყიდვების შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნები.

გრაფიკი N12. მთავრობის სარეზერვო ფონდის გეგმური მაჩვენებლებისა და ფაქტიური ათვისების დინამიკა - 2013-2016 წწ. (მლნ ლარი).



საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად“. აღნიშნული რეგულაცია მიზნად ისახავს იმ გადასახდელების დაფინანსებას, რომელთა გათვალისწინებაც ობიექტური გარემოებების გამო სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შეუძლებელია. თუმცა სარეზერვო ფონდების განმარტების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, გასული

წლების მსგავსად, 2016 წლის განმავლობაშიც ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც სისტემატურ ხასიათს ატარებენ და სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მათი გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით არაერთხელ იქნა აღნიშნული სას-ის ბიუჯეტის შესრულების მოხსენებებში.

✓ პროგრამული ბიუჯეტირება

საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით, უკანასკნელ წლებში მიმდინარე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეფორმას წარმოადგენს პროგრამული ბიუჯეტირების მოდელის დანერგვა, რაც ბიუჯეტირების შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას გულისხმობს. კერძოდ, ტრადიციული, ორგანიზაციული ფორმატიდან განსხვავებით, პროგრამული ბიუჯეტირების ამოსავალ წერტილს არა მხარჯავი უწყებისათვის გამოყოფილი რესურსების ოდენობა, არამედ, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შედეგად მიღწეული შედეგები წარმოადგენს. მხარჯავი დაწესებულებების მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან ერთად, საბიუჯეტო სახსრების ათვისების შედეგად მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ანგარიშვალდებულების ზრდას დაინტერესებული მხარეებისადმი, ხოლო მეორე მხრივ, რესურსების ეფექტიანი განაწილების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული ბიუჯეტირების რეფორმა მიმდინარე ეტაპზეა, მნიშვნელოვანია დროულად გამოსწორდეს სას-ის მიერ იდენტიფიცირებული ხარვეზები და ნაკლოვანებები, რათა რეფორმა წარმატებით წარიმართოს. კერძოდ:

- 2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამული დანართით წარმოდგენილი პროგრამების/ქვეპროგრამების ინდიკატორების 41%-ს მიზნობრივი მაჩვენებელი არ გააჩნია, რაც შეუძლებელს ხდის ანგარიშგების ეტაპზე შეფასდეს პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობა;
- პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში არ ხდება ყველა მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა, მაშინ როდესაც პროგრამული ბიუჯეტირება სწორედ შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას გულისხმობს;

- განსახორციელებელი ღონისძიებებისა და მოსალოდნელი შედეგების წარმოდგენა, რიგ შემთხვევებში ხდება პროგრამების დონეზე და არ ითვალისწინებს მათ შემდგომ დეტალიზაციას ქვეპროგრამებად;
- გარკვეულ შემთხვევებში არ ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება წინასწარ განსაზღვრული შედეგების შეფასების ინდიკატორებთან მიმართებაში;
- ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევის პერიოდად განსაზღვრულია საშუალოვადიანი პერიოდი და არა საანგარიშგებო წელი, რაც ანგარიშგების ეტაპზე შეუძლებელს ხდის შეფასდეს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები;
- რიგი პროგრამებისა და ქვეპროგრამების საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები ვერ უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების შეფასებას;
- პროგრამების/ქვეპროგრამების 59% საჭიროებს დამატებით ინდიკატორს, რათა სრულყოფილად იქნეს შეფასებული მიღწეული საბოლოო/შუალედური შედეგები.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ მიუხედავად უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეფორმებისა და მიღწეული პროგრესისა, საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რომელთა დაძლევა მოითხოვს საჯარო სექტორის ერთობლივ და კოორდინირებულ ძალისხმევას. შესაბამისად, საბიუჯეტო სისტემა საჭიროებს კარგად ჩამოყალიბებული, გამართული და ზემოაღნიშნული სისტემური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და რელევანტური ღონისძიებების დანერგვას, რათა სისტემამ უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენება. ამავდროულად, სას-ის მიერ მოხსენებაში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება, წარმოადგენს საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის მუდმივი ზრდისა და რეფორმის პროცესის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას.

აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაცია:

საქართველოს მთავრობას:

- ✓ ოპტიმიზაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია განისაზღვროს გონივრული ვადები მხარჯავი უწყებების მიერ წარმოდგენილი ოპტიმიზაციის გეგმების განხილვისა და დამტკიცებისათვის;
- ✓ საკანონმდებლო დონეზე დაიხვეწოს სარეზერვო ფონდების განმარტება და უფრო კონკრეტულად განისაზღვროს იმ ღონისძიებების ტიპები და შინაარსი, რომელთა დაფინანსება შესაძლოა განხორციელდეს სარეზერვო ფონდებიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული განმარტების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე სისტემატური ხასიათის მქონე და ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინების შესაძლებლობის მქონე ღონისძიებების დაფინანსება;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს:

- ✓ გაგრძელდეს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მომზადდეს დაგეგმვისა და ანგარიშების უფრო დეტალური ინსტრუქციები საშუალოვადიანი გეგმების, პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი და მიღწეული შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შემუშავებისათვის. ასევე, მიზანშეწონილია თვალსაჩინო მაგალითების მოყვანა სხვადასხვა სპეციფიკის მქონე პროგრამებისთვის;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს:

- ✓ საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან მოხდეს წლის განმავლობაში მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობების დროული განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იყო შესაძლებელი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს:

- ✓ უზრუნველყონ საწარმოების წმინდა მოგების განაწილების მიზნით შექმნილი კომისიის შეკრება რეგულარულად (ყოველწლიურად), რათა დროულად მოხდეს ბიუჯეტში მისამართი თანხების ოდენობის განსაზღვრა;
- ✓ ყურადღება გამახვილდეს მოგების განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ქმედითი მექანიზმების გამოყენების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომისიასთან შეთანხმებების საფუძველზე განსაზღვრული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დროულად და სრულად მობილიზება.

საბიუჯეტო ორგანიზაციებს:

- ✓ მოხდეს პროგრამების და შესაბამისად, მოსალოდნელი შედეგების წარმოდგენა ქვეპროგრამებისა და შუალედური შედეგების დონეზე, რაც ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და საბიუჯეტო რესურსების განკარგვის პროცესის გამჭვირვალობას, ხოლო მეორე მხრივ, დაინტერესებული მხარეებისთვის უფრო დეტალური და ნათელი ინფორმაციის მიწოდებას;
- ✓ მხარჯავი დაწესებულებების მიერ შემუშავებულ იქნეს მეთოდოლოგია, რომელიც დაარეგულირებს შესრულების შესახებ მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების პროცესს. აღნიშნული უზრუნველყოფს, როგორც მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეს, ასევე გაზრდის წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობის ხარისხს;

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს:

- ✓ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მიერ ანგარიშვალდებულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს სანქციების სისტემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცება და მისი პრაქტიკაში დანერგვა;

2.7.2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

✓ აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები:

- სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ბანალსზე ირიცხებოდა 574.9 ათასი ლარის აქტივები. ფინანსური ანგარიშგების ბალანსი არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას, რაც განპირობებულია იმით, რომ 2010-2014 წლებში არ ხდებოდა სააგენტოს მიერ შეძენილი აქტივების სრულად და ზუსტი თანხებით ასახვა. ამასთან, 2013-2014 წლებში ზემოთ ხსენებულ აქტივებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე არ მომხდარა ცვეთის დარიცხვა. სააგენტოში 2015 წელს ჩატარებული ინვენტარიზაცია არ იყო სრულყოფილი, რადგან ორგანიზაციის ბალანსზე არსებული აქტივების გარკვეული ნაწილი იდენტიფიცირებული არ არის;

✓ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საბიუჯეტო სახსრები გამოიყო ისეთი ხარჯების დასაფინანსებლად, რომელთა გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. კერძოდ:

- ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროცესის გაგრძელებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურების შესყიდვისა და შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2015 წელს სამინისტროს გამოეყო 900 ათასი ლარი, საიდანაც ათვისებული თანხა შეადგენს 707 ათას ლარს.
- ქ. თბილისში 2015 წლის 15-16 ოქტომბერს გასამართი საერთაშორისო ფორუმის - „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მთავრობის სარეზერვო

ფონდიდან გამოეყო 1 მილიონი ლარი. ამავე ღონისძიების ორგანიზებისათვის სააგენტოს ასიგნებებიდან დამატებით გაიხარჯა 1 მილიონი ლარი.

✓ **სახელფასო დანამატები**


- სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების თანამშრომლებზე, დანამატები გაიცემა ბრძანებებით, სადაც დანამატების გაცემის საფუძველად მითითებულია განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვა, ზეგანაკვეთური მუშაობა და სხვა მიზეზები. თუმცა, როგორც განსაკუთრებული სირთულისა და მნიშვნელობის დავალებების შესრულების, ასევე იმ დავალებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც არ შედიოდა დანამატის მიმღებ პირთა მოვალეობაში, უწყებების მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა. გარდა ამისა, ერთი ბრძანების საფუძველზე თანამშრომლებზე მთელი წლის განმავლობაში დანამატების დანიშვნა თანამდებობრივი სარგოს შინაარსისაა. კერძოდ: სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში დასაქმებული 80 თანამშრომლიდან 78 თანამშრომელს 2015 წლის მარტში წლის ბოლომდე დაუწესდათ ყოველთვიური სახელფასო დანამატი, ჯამურად 29.8 ათასი ლარის ოდენობით. უშუალოდ სსიპ-ების ხელმძღვანელებს ყოველთვიური სახელფასო დანამატები დაუწესდათ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით განსაკუთრებული სირთულის და მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის.
- დანამატი ცალკეული სსიპ-ების ხელმძღვანელების მიმართ არათანაბარია და მათი ოდენობა მერყეობს თანამდებობრივი სარგოს 22%-დან 100%-მდე ფარგლებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ინფორმაცია სულ 2015 წელს სამინისტროში გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ.

	2015 წელი	წილი
თანამდებობრივი სარგო	18,886,081	67%
პრემია	5,546,293	20%
დანამატი	3,695,740	13%
სულ შრომის ანაზღაურება	28,129,424	100%

- ✓ ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების კუთხით გამოვლენილი დარღვევები
 - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2015 წლის ბოლოსათვის ირიცხება 4.7 მილიონი ლარის დებიტორული და 997,5 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანებები, რომელთა მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება;
 - სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურს მოთხოვნად ასახული არ აქვს შპს ჰაიგმასტერზე ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული 435.3 ათასი ლარის თანხიდან 65.5 ათასი ლარი;
 - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატის საბალანსო ანგარიშზე „სხვა ანგარიშები ბანკში“ ერიცხება ყოფილი სამინისტროების (ეკონომიკის, ქონების, მრეწველობისა და ვაჭრობის) ბალანსებიდან გადმოსული გაურკვეველი ნაშთი - 210.4 ათასი ლარი, რომლის არსებობაზე რწმუნება ვერ იქნა მოპოვებული;
 - სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 2.5 მილიონი ლარის არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები. აუდიტის ჯგუფის მიერ 2009-2015 წლებში განხორციელებული კაპიტალიზირებადი დანახარჯების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ნაშთი 298.4 ათასი ლარით ნაკლები მოცულობით არის წარმოდგენილი.

2.8 პრიორიტეტი 8: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სისტემა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სისტემის მიმართულებით სას-მა დაფარა 2,943,482 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 7 აუდიტი.




2.8.1. საარსებო შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი ბენეფიციარების სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებულების შემცირება

საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და სიღარიბის განმაპირობებელი მთავარი მიზეზია. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასაქმების ხელშეწყობას და უმუშევრობის გამომწვევი ფაქტორების აღმოფხვრას.

საქართველოში შრომისუნარიანი პირების სოციალური დახმარების ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებას სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის საარსებო შემწეობით უზრუნველყოფის პროგრამა წარმოადგენს, რომელსაც ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო. აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები იღებენ ფულად დახმარებას სარეიტინგო ქულის საფუძველზე, რომელიც მათ ენიჭებათ სოციალური მდგომარეობის სტატუსის შესაბამისად. ამასთანავე, ბენეფიციარები სარეიტინგო ქულის საშუალებით მოიპოვებენ დამატებით დახმარებებს სხვადასხვა ცენტრალური თუ ადგილობრივი უწყებებიდან. საარსებო შემწეობის პროგრამაზე გაწეული დანახარჯები ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

გრაფიკი N13: პროგრამის ფარგლებში გადარიცხული თანხები



დანახარჯების გაზრდამდე (2013 წლამდე) არსებულ მონაცემებზე ჩატარებულმა კვლევამ¹⁹ აჩვენა, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის საარსებო შემწეობით უზრუნველყოფის პროგრამა მნიშვნელოვან შრომით დემოტივაციას ქმნიდა ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფებისათვის. სავარაუდოა, რომ პროგრამით გამოწვეული დემოტივაცია გაიზრდებოდა დახმარების მკვეთრი ზრდის პირობებში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა რამდენად უწყობს ხელს მოსახლეობის საარსებო შემწეობით უზრუნველყოფის პროგრამა და მასთან დაკავშირებული სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები პროგრამის ბენეფიციარებში შესაძლო შრომითი დემოტივაციის გამომწვევი ფაქტორების შემცირებასა და პრევენციას.


აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

- ✓ სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტი, სადაც განსაზღვრული იქნება სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებულების შემცირების ღონისძიებები და მიმართულებები. ამასთან, არ არსებობს კონსოლიდირებული ინფორმაცია საარსებო პროგრამის ბენეფიციარების მიერ სხვა უწყებებიდან დამატებით მიღებული სარგებლის ოდენობისა და ტიპების შესახებ. ბენეფიციარების მიერ ჯამურად მიღებული სარგებლის შესახებ ინფორმაციის არსებობა და მისი შემდგომი ანალიზი მნიშვნელოვანია ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავებისათვის;

¹⁹ The Impact of Targeted Social Assistance on Labor Market in Georgia, World Bank, 2015.

- ✓ საარსებო შემწეობის მიმღებთა გარკვეული ჯგუფებისათვის დასაქმებამ შესაძლოა გამოიწვიოს დახმარების ჯამური ოდენობის მკვეთრი შემცირება, რაც მათ მნიშვნელოვნად დააზარალებს. შესაბამისად, ასეთი ჯგუფებისათვის ყველაზე დიდია დემოტივაცია ფორმალურ შრომით ბაზარზე გასასვლელად. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბენეფიციარი ოჯახების დამატებითი სოციალური დახმარებები განსაზღვრულია არაკოორდინირებულად სხვადასხვა უწყების მიერ, რაც ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფებისათვის დახმარების თანდათანობით შემცირებას დასაქმების შემთხვევაში;
- ✓ საარსებო შემწეობის პროგრამა არ ითვალისწინებს რიგ ფაქტორებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ბენეფიციართა შრომითი გააქტიურებისათვის. კერძოდ, ბენეფიციარებისათვის არ იქმნება საკმარისი სტაბილურობის გარანტიები მათი დასაქმების შემთხვევაში. ბენეფიციარებს არ გააჩნიათ გარანტია, რომ მათი დასაქმების ან დამატებითი ეკონომიკური აქტივობის შემთხვევაში ოჯახის დახმარების ჯამური ოდენობა არ შემცირდება მოკლევადიან პერიოდში. აღნიშნული გარემოება იმ ფაქტთან ერთად, რომ ბენეფიციარისათვის არაპროგნოზირებადია ეკონომიკური აქტივობის დახმარების ოდენობაზე გავლენა, შესაძლოა მნიშვნელოვან დემოტივაციას ქმნიდეს მათი ფორმალურ შრომით ბაზარზე დასაქმების პროცესში;
- ✓ არსებული დიზაინით, საარსებო შემწეობის პროგრამა არ ითვალისწინებს რაიმე ფორმალური მოთხოვნებისა და პირობების არსებობას პროგრამის შრომისუნარიანი ბენეფიციარების მიმართ. შესაბამისად, სახელმწიფო არ არის საკმარისად პროაქტიური პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შრომითი წახალისების მიმართულებით.

გრაფიკი N14: დასაქმების ელექტრონულ პროგრამაში (worknet.gov.ge) პირების რაოდენობა



აღნიშნული წარმოადგენს ბენეფიციართა დასაქმებისა და გადამზადების სახელმწიფო პროგრამებში დაბალი ჩართულობის ერთ-ერთ შესაძლო მიზეზს.

არსებობს გაუმჯობესების პოტენციალი დახმარების მიღების დროულობისა და ბენეფიციარების ინფორმირებულობის ამაღლების მიმართულებით, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ბენეფიციარებისათვის შრომითი მოტივაციის შექმნას. კერძოდ, თუ ბენეფიციარი ინფორმირებული იქნება სამუშაოს/ეკონომიკური აქტივობის შედეგად მიღებული შემოსავლის გავლენის შესახებ დახმარების ოდენობაზე და ამასთანავე ექნება განცდა, რომ სამუშაოს დაკარგვის ან დროებითი სამუშაოს შემთხვევაში, საარსებო შემწეობის აღდგენა მოკლე ვადებში მოხდება, მისი შრომითი მოტივაცია გაუმჯობესდება.

აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- ✓ სამინისტრომ უზრუნველყოს სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება და ინიცირება საქართველოს მთავრობისთვის. სტრატეგიულ დოკუმენტში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან განხილულ უნდა იქნეს ბენეფიციართა შრომით მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორები;
- ✓ სამინისტრომ მოახდინოს საარსებო შემწეობის პროგრამაში შრომისუნარიანი პირების მიმართ მინიმალური პირობითობების გათვალისწინების ინიცირება საქართველოს მთავრობისთვის;
- ✓ სამინისტრომ სააგენტოსთან კოორდინაციით მოახდინოს აპლიკანტი ოჯახების ქულის ძალაში შესვლისა და თანხის ჩარიცხვის ვადების ოპტიმიზაცია/შემცირების ინიცირება საქართველოს მთავრობისთვის;
- ✓ სააგენტომ სამინისტროსთან კოორდინაციით უზრუნველყოს შესაბამისი ფაქტორების სარეიტინგო ქულაზე გავლენის შესახებ ბენეფიციარებისათვის ინფორმაციის მიწოდების გზების შემუშავება;
- ✓ სამინისტრომ მოახდინოს ბენეფიციარებისთვის დასაქმების ან/და სხვა ეკონომიკური აქტივობის შემთხვევაში, სტაბილურობის დამატებითი გარანტიების შექმნის ინიცირება საქართველოს მთავრობისთვის.

2.8.2. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა

საქართველოს მთავრობის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ გარანტიებზე ზრუნვა. განსაკუთრებით ყურადსაღებია მშობელთა მზუნველობას მოკლებულ ბავშვებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების პირებისა და ხანდაზმულთათვის საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური გარანტიების შეთავაზება, ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა და ასევე, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ახორციელებს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამას.

სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირების ინსტიტუციური პატრონაჟის მნიშვნელობიდან, ბავშვთა უფლებების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ნორმატიული ბაზის სირთულიდან გამომდინარე, ასევე წინანსწარი შესწავლის ეტაპზე პროგრამის დიზაინთან, დაფინანსების მექანიზმებთან და საშემსყიდველო საქმიანობასთან დაკავშირებით გამოვლენილი რისკების საუძველზე, სას-ის მიერ განხორციელდა „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

✓ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ხარვეზები:

„კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამა:

- მოსამზადებელი ეტაპის მართვის ხარვეზებისა და სუსტი კონტროლის მექანიზმების არსებობის გამო, სააგენტო დადგა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად შესყიდვის აუცილებლობის წინაშე. აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, განაპირობა შესყიდვის გაჭიანურება და ელექტრონული ტენდერის გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვა;
- ბაზრის არასრულყოფილი გამოკვლევის გამო ხელშეკრულება დაიდო ისეთ მიმწოდებელთან, რომელსაც არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა ბიზნესის მოცემულ სფეროში, უფრო მეტიც, ეკონომიკური საქმიანობა საერთოდ არ ჰქონდა განხორციელებული; აღნიშნულმა განაპირობა შესყიდული საქონლის საბაზრო პირობებისადმი შეუსაბამო მაღალი „ფასნამატის“ მაჩვენებელი;

- შესყიდულ იქნა ხელშეკრულებით განსაზღვრული მახასიათებლებისაგან (პარამეტრებისგან) განსხვავებული, დაბალი პარამეტრების მქონე საქონელი.

✓ **პროდუქციის დაუსაბუთებელი გადაცემა ბენეფიციარებზე:**

- აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება 270 ათასი ლარის ოდენობის ხელმოუწერელი მიღება-ჩაბარების დანართების მიხედვით ბენეფიციარ ოჯახებზე გაცემული/მიღებული პროდუქციის სახეობების და რაოდენობის შესახებ;
- კრიტერიუმის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ 3.5 ათასი ლარის საქონელი გაცემულია პირებზე, რომლებიც არ არიან გათვალისწინებულნი კომისიის ოქმებით.

✓ **ზედმეტად გადახდილი თანხები:**

- „მინდობით აღზრდის“, „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ და „დღის ცენტრების“ ქვეპროგრამების ფარგლებში **ზედმეტად გადახდილი თანხების რაოდენობამ შეადგინა 25.9 ათასი ლარი.**

მიზეზი: ანგარიშსწორების პროცესის სუსტი მექანიზმები

შედეგი: ქვეპროგრამის ფარგლებში ზედმეტად გადახდილი თანხები

დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გარემოება დადებითი მოვლენაა თანხის მიმღებთათვის, ის არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მის დანიშნულებას. ამასთან, ეს გარემოება არასამართლიანია პროგრამის სხვა ბენეფიციარებისა და მომსახურების მომწოდებლების მიმართ.

ზედმეტად
გადახდილი
თანხები

**25.9 ათასი
ლარი**

✓ **პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები:**

შესამოწმებელ პერიოდში, ბენეფიციარების ოპტიმალურად განაწილების პირობებში, შესაძლებელი იყო სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისათვის შეუვსებელი ლიმიტის ფარგლებში გადარიცხული თანხების დაზოგვა:

- „მცირე საოჯახო ტიპის სახლების“ ქვეპროგრამის მიხედვით - 55 ათასი ლარის ოდენობით;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის მიხედვით - 82.3 ათასი ლარი.

ხარჯების შესაძლო
დაზოგვა

**137.2 ათასი
ლარი**

აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები:

„კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება“:

- ✓ კვალიფიციური მიმწოდებლის შერჩევის მიზნით, შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე სააგენტომ განხორციელოს ბაზრის სრულყოფილი კვლევა. აღნიშნული უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მატერიალურ და იდენტიფიცირებად მტკიცებულებებს. ბაზრის კვლევის შედეგებში აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები, კრიტერიუმები და ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მიხედვითაც მოხდა კონკრეტული მიმწოდებლის შერჩევა;
- ✓ შესაბამისი ეფექტიანი კონტროლის სისტემების დანერგვისა და პროგრამის მუშაობის არსებული გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, თავიდან იქნას აცილებული შეზღუდულ ვადებში შესყიდვის შეუფერხებელი განხორციელების საჭიროება;
- ✓ პროგრამის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით შეიქმნას და დაინერგოს მართვის ერთიანი, ცენტრალიზებული, საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე (განაცხადების მიღებიდან - მიღება/ჩაბარების აქტების ჩათვლით) კონტროლის ეფექტური გარემოს ფორმირებას.


„დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა“:

- ✓ დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც პროგრამის ეფექტიანი და შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფს დამხმარე საშუალებების ოპტიმალური მარაგის ფორმირებას და მისი გათვალისწინებით - შესასყიდი საქონლის საჭირო რაოდენობის განსაზღვრას.

2.9 პრიორიტეტი 9: სპორტის პროგრამების მართვა


სპორტის პროგრამების მიმართულებით სას-მა დაფარა 156,196 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 4 აუდიტი.

დაფარვის მაჩვენებელი



- საერთო დაფარვა
- სპორტის პროგრამების მართვა

შედეგების განაწილება



- საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი განკარგვა
- საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა
- შესყიდვების პროცესში არსებული სხვა დარღვევები

2.9.1. ააიპ „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი“-ს შესაბამისობის აუდიტი

2010 წლის 27 ნოემბერს გამართულ ევროპის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ ასამბლეაზე თბილისმა მოიპოვა რიგით მე-13 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების უფლება.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 30 მაისის დადგენილებით დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი“. ამავე დადგენილებით დამტკიცებულია კომიტეტის წესდება, რომლის თანახმად კომიტეტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების ორგანიზება. ფესტივალი გაიხსნა 2015 წლის 26 ივლისს და დასრულდა 2015 წლის 1 აგვისტოს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ააიპ „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტის“ 2011-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი, რის შედეგადაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

- ✓ ვერ იქნა წარმოდგენილი საორგანიზაციო კომიტეტის 2011-2015 წლების შესაბამისი პერიოდების ფინანსური ანგარიშგება, ბალანსები და მასთან დაკავშირებული სხვა ანგარიშები;

- ✓ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები 2011 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარების თაობაზე. არ არსებობდა სასაწყობე აღრიცხვის სისტემა, შესყიდული ფასეულობების გადაცემა ხდებოდა პასუხისმგებელი პირების მითითების გარეშე. 2016 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლენილია როგორც ზედმეტობა, ასევე 4 ათასზე მეტი დასახელების აქტივების დანაკლისი. ამდენად, **აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ბუღალტრულად აღრიცხული 28.2 მილიონი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივების არსებობისა და სისრულის შესახებ, აგრეთვე არაფინანსური აქტივების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების სისრულის, სიზუსტისა და შესაბამისობის თაობაზე;**
- ✓ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შესყიდვების 95% განხორციელებულია არაკონკურენტულ გარემოში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. საორგანიზაციო კომიტეტს შესყიდვების გამარტივებული საშუალებით განხორციელებისთვის ნებართვის მიღების მოთხოვნით ქ.თბილისის მერიისთვის მიმართული აქვს ფესტივალის გახსნამდე 21 თვით ადრე. გადაუდებელი აუცილებლობის მიზეზად კი დასახელებულია ის ვალდებულებები, რომელიც სახელმწიფოს ევროპის ოლიმპიური კომიტეტის წინაშე ჰქონდა აღებული ჯერ კიდევ 2011 წლის 7 მარტს. შესყიდვების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი რწმუნება გადაუდებელი აუცილებლობის არსებობასთან და სამუშაოების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საჭიროებასთან დაკავშირებით, ვინაიდან:
 - მთავრობის განკარგულება სამუშაოების შეზღუდულ ვადებში შესრულებაზე გამოცემულია 11-12 თვით ადრე, სანამ გაფორმდებოდა ხელშეკრულებები სამშენებლო სამუშაოების და სხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე;
 - საორგანიზაციო კომიტეტისთვის შესასრულებელი სამუშაოების მასშტაბი ცნობილი იყო 2011 წელს. შესაბამისად, დროული დაგეგმვის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა შესყიდვების კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით, კონკურენციის პირობებში ვალდებულებების შესრულება.
- ✓ აუდიტით დადგინდა ინტერესთა კონფლიქტის და ხელშეკრულებების ურთიერთდაკავშირებული მხარეებთან გაფორმების შემთხვევები:

- 2014 წლის 7 ივლისს ქ.თბილისში დიდმის საცდელ ტერიტორიაზე სასტუმრო „მოხალისე“-ს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ვილა არტთან, ღირებულებით 6,404.9 ათას ლარზე. მეწარმეთა და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ 2011 წლის 27 დეკემბრამდე აღნიშნული კომპანიის თავდაპირველი მესაკუთრეები/მფლობელები შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებული იყვნენ საორგანიზაციო კომიტეტში 2015 წლის განმავლობაში. ხოლო 2011 წლის 27 დეკემბრიდან შპს ვილა არტის დირექტორი და 100% წილის მფლობელი იკავებდა საორგანიზაციო კომიტეტის საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების მენეჯერის თანამდებობას, რომელიც დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებული იქნა ხელშეკრულების გაფორმებამდე 6 დღით ადრე. ამასთან ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ 6,404.9 ათასი ლარის ანგარიშსწორება მიმწოდებელთან შპს ვილა არტთან ნაწარმოებია ისე, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არც შუალედური, არც საბოლოო ანგარიშსწორების აქტი და არც ექსპეტიზის დასკვნა არ ყოფილა წარმოდგენილი. ასევე, 2014-2015 წლებში საორგანიზაციო კომიტეტსა და შპს ვილა არტს შორის გაფორმებულია 7 ხელშეკრულება, საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 8,123.2 ათას ლარზე;

- ✓ აუდიტით დადგინდა რიგი შემთხვევები, როდესაც ადგილი ჰქონდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაუცველად ხელშეკრულებების გაფორმებას საორგანიზაციო კომიტეტის თანამშრომლებთან, რომლებიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად წარმოადგენდნენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს.
- ✓ აუდიტით გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებები გაფორმებულია ახალ დარეგისტრირებულ და გამოცდილების არმქონე კომპანიებთან მაგალითად:
 - საორგანიზაციო კომიტეტის მიერ 2015 წლის 6 აპრილს 597.8 ათასი ლარის ღირებულების მძლეოსნობის დარბაზის ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ჯი-ემ-სი-სთან, რომელიც დაფუძნებული იყო ხელშეკრულების გაფორმებამდე ორი კვირით ადრე.

2.10 პრიორიტეტი 10: ელექტრონული მმართველობისა და ინფორმაციული უსაფრთხოებისა მხარდაჭერა

2.10.1. ელექტრონული მთავრობის ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები

სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდისა და დროითი რესურსის ოპტიმალური გამოყენების მიზნით, საჯარო სექტორში აქტიურად მიმდინარეობს ელექტრონული სისტემების დანერგვა და სრულყოფა. თუმცა, აღნიშნული რეფორმები, ბიზნესპროცესების გაუმჯობესებასთან ერთად, დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, როგორებიცაა, პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნება/არამიზნობრივი გამოყენება, ინფორმაციული უსაფრთხოების ხელყოფა, კიბერ დანაშაული და სხვ.

საჯარო სექტორში, ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს წამოადგენს საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“. აღნიშნული კანონის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის²⁰ მიერ დამტკიცებულია კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხა. აღნიშნული სუბიექტებისათვის სავალდებულოა ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შესრულება. მიმდინარე პერიოდისათვის ნუსხა მოიცავს 40 სუბიექტს, რომელთა უწყვეტ და სანდო ფუნქციონირებას გავლენა აქვს საზოგადოებისათვის სახელმწიფო სერვისების მიწოდებაზე.

სას-ის მიერ გამოვლენილი ხარვეზების მოკლე აღწერა:

- ✓ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ბოლო 3 წლის მანძილზე, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მხოლოდ მცირე ნაწილში მიმდინარეობს აქტიური პროცესები ინფორმაციული უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების შესასრულებლად და ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფის კუთხით.
- ✓ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების უმრავლესობას არ გააჩნია სერტიფიცირებული ან/და სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ გადამზადებული

²⁰ მთავრობის დადგენილება №312

ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი და კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტი. აღნიშნული ორი პოზიციის შევსება წარმოადგენს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის საკანონმდებლო ვალდებულებას. გამომდინარე აქედან, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მენეჯმენტი არ უზრუნველყოფს ორგანიზაციაში დასაქმებული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერების საქმიანობის ეფექტიანობას, რაც გამოიხატება მათზე კანონით დაკისრებული ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შემუშავებისა და შემდგომ ორგანიზაციაში დანერგვის პროცესების არაეფექტიან ზედამხედველობაში.

✓ ნუსხა საჭიროებს პერიოდულ განახლებას, რადგან შესაძლოა მასში არ იყოს გათვალისწინებული სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი ინფორმაციული სისტემა.

○ მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა წარმოადგენს სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებულ ორგანიზაციას, რომელსაც მინიჭებული აქვს ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციისა და გატარების ლიცენზია. სისტემის მდგრადი, საიმედო და უწყვეტი ფუნქციონირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სახელმწიფოს ელექტროენერგიით მომარაგებისათვის. შესაბამისად, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების საკანონმდებლო კრიტერიუმების გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა შესაძლებელია დაკლასიფიცირდეს, როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ ინფორმაციული უსაფრთხოება წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხს საჯარო ადმინისტრირების სფეროში, რომლის ზედამხედველობა და მართვა უნდა განხორციელდეს სათანადო დონეზე. წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების უმრავლესობის მიერ არ ტარდება აქტიური ღონისძიებები საკანონმდებლო მოთხოვნების შესასრულებლად. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ხშირად კრიტიკული სისტემის სუბიექტების ხელმძღვანელობა სათანადოდ ვერ აცნობიერებს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის აქტიური მექანიზმების საჭიროებასა და აუცილებლობას.


გაცემული რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას:

- ✓ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიენიჭოს დამატებითი უფლებამოსილება ინფორმაციული უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიმართ სანქციის გამოყენების შესაძლებლობა;
- ✓ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მთავრობამ სტრატეგიულად დაგეგმოს მონაცემთა ცენტრების (data centres) და სარეზერვო ობიექტების მოწყობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო სერვისების უწყვეტი მიწოდება მინიმალური დანახარჯების გათვალისწინებით;
- ✓ დაინერგოს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების იდენტიფიცირების აქტიური მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციული სისტემების შეფასებასა და მათ კლასიფიცირებას კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებად. ასევე, მიზანშეწონილია, რომ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხა გადაიხედოს პერიოდულად

2.10.2. ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განვითარება

სას-ისთვის, როგორც საჯარო ფინანსების მართვაზე საპარლამენტო მონიტორინგის ხელშემწყობი უწყებისათვის, პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს არსებულ გამოწვევებზე დროული რეაგირება. შესაბამისად, ბოლო 3 წლის განმავლობაში სას-ში დაიწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისათვის



ბაზის შექმნა, რის შედეგადაც, **2016 წელს ჩამოყალიბდა ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამსახური**. მიმდინარე მდგომარეობით, ჩატარდა ინფორმაციული ტექნოლოგიების 2 აუდიტი, 2 კომპოზიტური აუდიტი და დღეის მდგომარეობით, მიმდინარეობს ორი საპილოტე IT აუდიტი.

IT აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლება

(I) თანამშრომლობა აშშ-ს საანგარიშგებო პალატის აუდიტის სასწავლო ცენტრთან (Center For Audit Excellence)

2016 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და აშშ-ს საანგარიშგებო პალატის აუდიტის სასწავლო ცენტრს (Center For Audit Excellence) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT აუდიტორების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას. სასწავლო ცენტრის წამყვანმა ექსპერტებმა სას-ის IT აუდიტორებისთვის ჩაატარეს ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები შემდეგი მიმართულებებით:

- › ინფორმაციული ტექნოლოგიების კონტროლების აუდიტი;
- › აუდიტის დაგეგმვის სამუშაო შეხვედრა - სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის გაცემის პროგრამის ეფექტიანობის აუდიტის წინასწარი შესწავლის შედეგების მიმოხილვა და აუდიტის ძირითადი შესწავლისათვის აუდიტორული პროცედურების განსაზღვრა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, სას-სა და ინდოეთის უმაღლეს აუდიტორულ ოფისს შორის **მიღწეულია შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ**. ზემოხსენებული ორგანიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან აუდიტორულ ოფისს, რომელიც უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო გაერთიანების (INTOSAI) ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეა და ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს საჯარო სექტორის IT აუდიტის მიმართულებით. თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდება 3 საპილოტე აუდიტი, სას-ის IT აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავება, IT აუდიტის ხარისხის კონტროლის პროცედურებისა და ასევე ტრენინგების პროგრამის/პოლიტიკის შემუშავება.

(II) საერთაშორისო სერტიფიცირება:

სას-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამსახურის ორმა თანამშრომელმა წარმატებით ჩააბარა ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაციის (ISACA) სერტიფიცირებული ინფორმაციული სისტემების აუდიტორის გამოცდა (ISACA - Certified Information Systems Auditor). ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაცია წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე სტანდარტიზაციის ცენტრს ინფორმაციული სისტემების აუდიტის მიმართულებით. აღნიშნული ფაქტი ხაზს უსვამს სამსახურში მაღალკვალიფიციური თანამშრომლების არსებობაზე და, თავის მხრივ, ცალსახად უწყობს ხელს სას-ის ახალი მიმართულების, IT აუდიტის, წარმატებით განხორციელებას.

ამასთანავე, სას-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის ერთმა თანამშრომელმა წარმატებით ჩააბარა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების სერტიფიცირების საერთაშორისო კონსორციუმის (ISC)² ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების პროფესიონალის სერტიფიცირების (CISSP) გამოცდა.

(III) სასწავლო კურსები ინდოეთის ინფორმაციული სისტემებისა და აუდიტის საერთაშორისო ცენტრში (iCISA)

სას-ის 2 წარმომადგენელი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა ინდოეთის ინფორმაციული სისტემებისა და აუდიტის საერთაშორისო ცენტრში „IT გარემოს აუდიტისა“ და „ელექტრონული მმართველობის აუდიტის“ ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად. სასწავლო კურსები ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა და მათ უძღვებოდნენ ინდოეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისის, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები. სასწავლო კურსები ემსახურებოდა თანამშრომელთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

2.11 აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

სას-ის აუდიტორული საქმიანობა ორიენტირებულია არა მხოლოდ დარღვევების იდენტიფიცირებაზე, არამედ - სახელმწიფო მმართველობის გასაუმჯობესებლად და საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი მართვის მისაღწევად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე.

2016 წლის განმავლობაში სამსახურმა საჯარო მმართველობის გასაუმჯობესებლად გასცა 189 რეკომენდაცია. რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი, აუდიტის ობიექტების წერილობითი პასუხის მიხედვით, 47%-ს შეადგენს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჯერ-ჯერობით დაბალია რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი; შესაბამისად, სას-ისთვის კვლავ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს აუდიტის ობიექტების მხრიდან რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის ზრდა. ამ მიმართულებით სამსახური აქტიურად მუშაობს რეკომენდაციების შესრულებისათვის ქმედითი მექანიზმების შემუშავებაზე, მათ შორის, აღნიშნულ პროცესში პარლამენტის როლის გაზრდაზე.

სას-მა, ასევე, დაიწყო რეკომენდაციების შესრულების აუდიტის ჩატარება, რომლის საშუალებით აუდიტორების მიერ ფასდება აუდიტის ობიექტების მიერ შესრულებული ან შეუსრულებელი რეკომენდაციები. იმის გათვალისწინებით, რომ გაცემული რეკომენდაციების შესრულებამ შეიძლება არსებითად გააუმჯობესოს ამა თუ იმ სფეროში არსებული სიტუაცია, მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესის დროული მონიტორინგი და დამატებითი უკუკავშირი. 2016 წლის განმავლობაში შეფასდა 8 ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და გამოიკვეთა საინტერესო გარემოებები, მათ შორის შესრულებული რეკომენდაციებით მოტანილი სარგებელი სხვადასხვა სფეროში. კერძოდ:

(I) სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის 2011-2012 წლების ეფექტიანობის აუდიტი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სფეროში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მომსახურების დროულობა და ეფექტიანობა; აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს გამოძახებათა მზარდი რაოდენობა, რომელიც გამოწვეულია სერვისის უფასოდ მიწოდებით, და ასევე, ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის მძიმე მდგომარეობით. სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციები სწორედ სასწრაფო დახმარების სისტემის გასაუმჯობესებლად იყო გაცემული, რომელთა შესრულებაც დაწყებულია.

რეკომენდაციები:

- (1) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს გამოძახებებზე რეაგირება ოპტიმალური მანძილის პრინციპით; ვინაიდან სამედიცინო ბრიგადა მხოლოდ თავისი მუნიციპალიტეტის მასშტაბით შემოსული ზარების მომსახურებაზე არის პასუხისმგებელი, გარკვეულ შემთხვევებში ვერ ხერხდება ოპტიმალური მანძილის პრინციპით რეაგირება;
- (2) პრიორიტეტების განსაზღვრის დისპეტჩერიზაციის სისტემა (PDS) საქართველოში დანერგილი არ არის; შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამინისტროს კოორდინაციით სადისპეტჩერო პროტოკოლებზე დაყრდნობით შემუშავდეს პრიორიტეტების გამართული სისტემა ქვეყნის მასშტაბით და დაწესდეს ინციდენტის ტიპებზე შესაბამისი რეაგირების დროის ნიშნული. შემუშავდეს პრიორიტეტების მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და აღმოიფხვრას გამოძახებაზე არაგონივრულ დროში მისვლის და არგასვლის შემთხვევები.

რეკომენდაციების შესრულება:

- ❖ სასწრაფო სამედიცინო ცენტრმა **დანერგა გამოძახებაზე რეაგირება უახლოესი მანძილის პრინციპით**, იმის გაუთვალისწინებლად თუ რომელ მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება გარკვეული სამედიცინო დახმარების ბრიგადა. შესაბამისად, გამოძახებებზე დაგვიანების შემთხვევები შემცირდება, რადგან გამოძახებაზე რეაგირებას მოახდენს უახლოეს მანძილზე მყოფი ბრიგადა;
- ❖ **მიმდინარეობს პრიორიტეტების განსაზღვრის დისპეტჩერიზაციის სისტემის (PDS) დანერგვა**; სისტემა არსებითად შეამცირებს დაგვიანების გამო ფატალური შემთხვევების რიცხვს საქართველოს მასშტაბით.

(II) სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის აუდიტი

არამხოლოდ სასწრაფო დახმარების მომსახურებაში შეიმჩნევა ნაკლოვანებები, არამედ პირველადი ჯანდაცვის სფეროშიც, განსაკუთრებით კი რეგიონებში. საქართველოს მოსახლეობის 46.3% სოფლად ცხოვრობს, შესაბამისად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურების დროული და ხარისხიანი მიწოდება დიდ წილად სოფლის ექიმის პროგრამის ეფექტიანად განხორციელებაზე დამოკიდებულია. სოფლის ექიმის პროგრამის ეფექტიანობის აუდიტით გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად გაცემული რეკომენდაციების შესრულებამ კი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაზარდოს ჯანდაცვის პროდუქტიულობა სოფლად.

რეკომენდაციები:

- (1) სამედიცინო პერსონალის ოპტიმალურად განაწილების მიზნით, **შემუშავდეს და დადგინდეს დემოგრაფიულ-გეოგრაფიული კრიტერიუმები ტერიტორიული ერთეულებისთვის** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით. იმის გამო, რომ სამედიცინო პერსონალის დემოგრაფიული განაწილების კრიტერიუმები არ იყო დადგენილი, გარკვეულ შემთხვევებში ერთი სოფლის ექიმი ემსახურებოდა 2,500 მოსახლეზე მეტს, რაც გონივრულ ზღვარს აღემატება. შესაბამისად, პირველადი ჯანდაცვა სოფლებში არათანაბრად იყო ხელმისაწვდომი მოსახლეობისთვის;
- (2) ვინაიდან სოფლის ექიმების სამუშაო პროცესი გაუკონტროლებელია, **მნიშვნელოვანია მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა**. ასევე, **აუცილებელია შემუშავდეს სამედიცინო პერსონალის მიერ სხვადასხვა სოფლებში დაგეგმილი ვიზიტების განრიგი/განაწილება** იმ მიზნით, რომ შეიქმნას სამუშაოს შესრულების ვალდებულება;
- (3) იქიდან გამომდინარე, რომ ექიმების 20% შეთავსებით დასაქმებული იყო სხვა სამსახურებში, მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალის სტიმულირება ანაზღაურების სისტემაში ცვლილებებით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს თანაბარ გეოგრაფიულ-დემოგრაფიულ პირობებში დასაქმებულ ექიმებს შესრულებული სამუშაოს მიხედვით მიიღონ პროგრამის ფარგლებში ანაზღაურება; ასევე, სანქციებისა და წახალისებების დანერგვით გაიზრდება ექიმების პროდუქტიულობაც;
- (4) უზრუნველყოფილ იქნას სოფლის ექიმის პროგრამის კოორდინაცია დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის პროგრამასთან იმ მიზნით, რომ პირველადი ჯანდაცვა სოფლად მეტად ემსახურებოდეს პრევენციულ ფუნქციას და გაიზარდოს პირველადი ჯანდაცვის როლი დაავადებათა ადრეულ გამოვლენაში.

რეკომენდაციების შესრულება:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაციები, რომელთა ნაწილიც შესრულებულია, ნაწილის გათვალისწინება კი მიმდინარეობს, კერძოდ:

- ❖ ამჟამად, სამედიცინო პერსონალი გადანაწილებულია ოპტიმალურად - თითოეული სოფლის ექიმი ემსახურება არაუმეტეს 2,500 მოსახლეს. შესაბამისად, პირველადი სამედიცინო დახმარება უფრო ხელმისაწვდომი გახდა სოფლად;
- ❖ ექიმებს აქვთ გარკვეული სამუშაო განრიგი და წინასწარ დაგეგმილი ვიზიტების სია;
- ❖ მიმდინარეობს ეფექტური მონიტორინგის სისტემის დანერგვა - რაზეც მუშაობენ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად;
- ❖ სამინისტროს დაწყებული აქვს მუშაობა სოფლის ექიმების მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით ანაზღაურების გეგმაზე და ასევე, ექიმების მეტ ჩართულობაზე სკრინინგის პროგრამაში. მაგალითად, სამინისტრომ უკვე გადასცა გურჯაანის მუნიციპალიტეტს. სოფლის ექიმებისათვის საჭირო აღჭურვილობა, რისი მეშვეობითაც პაციენტებს საშუალება ექნებათ უფასოდ ჩაიტარონ ცერვიკალური სკრინინგი მათივე სოფელში.

(III) საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა - გეგმური ამბულატორიული მომსახურების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა და ფინანსური ხელმისაწვდომობის შექმნა მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს; 2013 წლიდან ამოქმედებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიზანი კი, სწორედ ესაა. პროგრამის გეგმური ამბულატორიული კომპონენტის ეფექტიანობის აუდიტის შედეგად გამოვლინდა მიღწეული შედეგები და ასევე, მართვის ნაკლოვანებები, რომელთა გამოსასწორებლად პროცესი დაწყებულია.

რეკომენდაციები:

- (1) სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და დროულობის გაზრდის მიზნით, შემუშავდეს პირველადი ჯანდაცვის თითოეულ რგოლზე (ოჯახის ექიმი), რეგისტრირებული პაციენტების ოპტიმალური რაოდენობის სტანდარტი. მოპოვებული ინფორმაციით რიგ შემთხვევებში პაციენტების საშუალო მაჩვენებელი თითოეული ოჯახის ექიმთან ფარდობაში აღემატებოდა 2,000 პირს, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას;
- (2) გაუმჯობესდეს პროგრამის ფარგლებში მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზის სისრულე და სანდოობა, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამის შედეგიანობის მაჩვენებლების მაღალი სიზუსტით განსაზღვრა; ასევე, მნიშვნელოვანია შემუშავდეს შესაბამისი კონტროლისა და

მონიტორინგის მექანიზმები იმისათვის, რომ შემცირდეს ავტომატურად რეგისტრაციის შემთხვევები, რაც იწვევს ბენეფიციარების ერთი და იმავე საიდენტიფიკაციო ნორმით ორჯერ რეგისტრაციას. ამასთან, ბევრმა ბენეფიციარმა არ იცის ამბულატორიული მომსახურების შესახებ, ხოლო გამოკითხული ბენეფიციარების 52% არ ფლობს ინფორმაციას რა სახის სამედიცინო მომსახურებით შეუძლიათ ისარგებლონ ამ პროგრამის ფარგლებში;

(3) დაინერგოს რეგისტრირებული პაციენტებისათვის ინფორმაციის პერმანენტული სახით მიწოდების მექანიზმი პროგრამით სარგებლობის წესსა და პირველადი ჯანდაცვით მიღებულ სარგებელის თაობაზე; მაგალითად, „სამედიცინო ფურცელი“, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ინდივიდუალური პაკეტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების პირობები და თანადაფინანსების ოდენობა თითოეულ მომსახურებაზე.

რეკომენდაციების შესრულება:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე და დაიწყო მათი შესრულება:

- ❖ ერთი და იმავე პირადი ნომრით ორჯერ რეგისტრაციის საკითხი გაკონტროლებულია; აღნიშნული პრობლემის გადაჭრით არსებითად შემცირდება საბიუჯეტო ხარჯები. ასევე, 2017 წელს დასრულდება პაციენტთა ბაზების განახლება და სისრულეში მოყვანა. ავტომატური რეგისტრაციების თავიდან არიდების მიზნით სამინისტრომ შეიმუშავა შესაბამისი კონტროლის მექანიზმები;
- ❖ სამინისტროს დაწყებული აქვს მუშაობა პირველადი ჯანდაცვის დოკუმენტზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სას-ის რეკომენდაციები დროულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, 2017 წლის ბოლოსთვის გამოსწორებული იქნება შემდეგი ნაკლოვანებები: **განისაზღვრება პაციენტების ოპტიმალური რაოდენობა თითოეულ ექიმზე; იქნება შემუშავებული პროგრამაში ჩართვისათვის აუცილებელი მოთხოვნები ამბულატორიებისათვის;**
- ❖ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების არასაკმარისი ინფორმირებულობის აღმოსაფხვრელად, სამინისტროს ინიციატივით მომზადდება სამედიცინო ფურცლები, რაც მოიცავს ინფორმაციას პროგრამაში შემავალი ყველა მომსახურების, წესების, დაფინანსების მეთოდებისა და ბენეფიტების შესახებ.

(IV) მყარი მუნიციპალური ნარჩენების ეფექტიანობის აუდიტი

ისევე როგორც ჯანდაცვის სფერო, გარემოს დაცვაც სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. აუდიტის შედეგად, მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოიკვეთა მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანობის შეფასებისას და გაიცა შესაბამისი

რეკომენდაციები. ვინაიდან, არსებული სისტემის გაუმართავად ფუნქციონირება პირდაპირ აისახება გარემოსდაცვით საკითხებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, დიდი გალენა აქვს სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას; ნარჩენების ეფექტიანი მართვა საერთაშორისო სტანდარტებით კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს, რადგან იგი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტია.

რეკომენდაციები:

- (1) ვინაიდან რაიონებსა და სოფლებში არ არსებობს ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება, აუცილებელია **თითოეული სოფლიდან მოხდეს, საჭიროებისამებრ, ნარჩენების გადმოტანა და მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე განთავსება**. ეტაპობრივად დაინერგოს მომსახურების მიწოდება ყველა დასახლებულ პუნქტში;
- (2) **მუნიციპალიტეტებში გამოიყოს სპეციალური ადგილი ნარჩენების**, განსაკუთრებით კი სამშენებლო ნარჩენების, **უსაფრთხოდ განთავსების უზრუნველსაყოფად**. მნიშვნელოვანია, ძველი ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის წესების დაცვა ნარჩენების ბუნებაში მოხვედრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. შემოიღოს ძველი ნაგავსაყრელები, სრულად იზოლირდეს ნარჩენები და გაკონტროლდეს ტერიტორია, რათა არ მოხდეს ნაგავსაყრელზე ცხოველებისა და ადამიანების შესვლა;
- (3) ძველ მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე უნდა **განხორციელდეს გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შეფასება** პასუხისმგებელი კომპანიის მიერ.

რეკომენდაციების შესრულება:

- ❖ **60 მუნიციპალიტეტიდან 22-ს უკვე აქვს დაწყებული სოფლებიდან ნარჩენების შეგროვებისა და გადატანის მომსახურება**. დანარჩენ მუნიციპალიტეტებს კი დაგეგმილი აქვთ ამგვარი მომსახურების დანერგვა უახლოესი 3-5 წლის განმავლობაში;
- ❖ **18-მა მუნიციპალიტეტმა გამოყო სპეციალური ადგილები სამშენებლო ნარჩენებისათვის;**
- ❖ **14 მუნიციპალიტეტში დასუფთავდა არალეგალური, დაურეგისტრირებელი ნაგავსაყრელები**. დაგეგმილია იგივე ღონისძიებები სხვა მუნიციპალიტეტებშიც;
- ❖ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ დაიწყო გარემოს დაბინძურების დგომარეობის შეფასება ახალ და ძველ ნაგავსაყრელებზე. დარღვევების შემთხვევაში შესაბამისი სანქციები დაეკისრებათ პასუხისმგებელ პირებს, რაც წვლილს შეიტანს არსებული სიტუაციის გაუმჯობესებაში;
- ❖ ძველ ნაგავსაყრელებზე მყარი ნარჩენების მართვა ევალება შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას, რომელმაც გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:
 - **საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად 19 ნაგავსაყრელი დაიხურა;**
 - **განახლდა 30 ნაგავსაყრელი**, რომელიც ფუნქციონირებს დაწყებული მოთხოვნების გათვალისწინებით;

- მიმდინარეობს ძველი ნაგავსაყრელების სისტემატიური მონიტორინგი, რომ ობიექტურად შეფასდეს დაბინძურების მდგომარეობა და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის შესამცირებლად.

(V) სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები

ვინაიდან საქართველოს ბაზარზე რეალიზებულია როგორც ადგილობრივი, ასევე, იმპორტირებული სასურსათო პროდუქცია, საზოგადოებაში ჩნდება კითხვები თუ რამდენად უზრუნველყოფილია ქვეყანაში სურსათის უვნებლობა როგორც საზღვარზე, ასევე, ქვეყნის შიგნით. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა კონტროლის სისტემის გასაუმჯობესებლად, მაინც რჩება რიგი პრობლემებისა, მათ შორის საკვებით მომხამვის შემთხვევების სწრაფი ზრდა (6,460 შემთხვევა 2012 წელს, ხოლო 21,397 შემთხვევა 2014 წელს). არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად სას-მა გასცა რეკომენდაციები, რომელთა საპასუხოდაც, სსიპ შემოსავლების სამსახურში განხორციელდა რიგი ცვლილებებისა. სას-ის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაციის შესრულების შემთხვევაში, იმპორტირებული საკვების შემოწმების ხარისხი არსებითად გაუმჯობესდება, რაც თავის მხრივ მკვეთრად შეამცირებს მავნე სურსათის რაოდენობას ადგილობრივ ბაზარზე. საბოლოო შედეგი კი, საკვებით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემების შემცირება იქნება.

რეკომენდაციები:

- (1) გამოვლინდა, რომ ნიმუშების აღება მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით არ მიმდინარეობს; შესაბამისად, აუცილებელია პერიოდულად განხორციელდეს გეგმის შესრულების მონიტორინგი, რათა საზღვარზე შემოსული საქონელი შემოწმდეს გეგმით განსაზღვრული სიხშირით;
- (2) მნიშვნელოვანია, მოხდეს ნიმუშების შემოწმება რისკის ანალიზით ყველა პარამეტრზე, რადგან აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღებული ნიმუშები არ არის შემოწმებული ყველა იმ პარამეტრზე, რომლებიც მონიტორინგის გეგმით არის განსაზღვრული.

რეკომენდაციების შესრულება:

- ❖ დაწყებულია სურსათის უვნებლობის კონტროლის გეგმის შესრულების კვარტალური მონიტორინგი;
- ❖ მიმდინარეობს ნიმუშების მუდმივი კონტროლი სხვადასხვა ლაბორატორიაში, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნიმუშების შემოწმება გეგმით განსაზღვრული ყველა პარამეტრის დაცვით.

(VI) პროფესიული განათლება საქართველოში

უახლოეს პერიოდში გატარებული რეფორმებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროფესიული განათლების სფეროში - დიდი ოდენობის თანხები დაიხარჯა პროფესიული კოლეჯების რეაბილიტაციაზე და სტუდენტთა რაოდენობა 2011-2012 წლებში გაიზარდა 22.5 ათასამდე. თუმცა, სტუდენტების შემდგომი დასაქმების მაჩვენებელი (23% - 2012 წელს) საშუალო მაჩვენებელთან შედარებით დაბალია. სას-მა შეისწავლა არსებული სიტუაცია, გამოავლინა პრობლემის მთავარი მიზეზები და მათ გამომსასწორებლად გაცემული რეკომენდაციების შესრულებამ დადებითი შედეგი მოიტანა.

რეკომენდაციები:

- (1) კერძო სექტორის ჩართულობის ნაკლებობამ გამოიწვია დამსაქმებლის მოთხოვნასა და მომზადებულ კადრებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები. მიზანშეწონილია, შესრულდეს ახლად შექმნილი კომუნიკაციის სტრატეგიით გათვალისწინებული ყველა პუნქტი და განხორციელდეს სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რათა **მოხდეს ბიზნესის წარმომადგენლების დაინტერესება, ჩაერთონ პროფესიული განათლების პროცესში**. ნათლად უნდა განიმარტოს დამსაქმებლების ფუნქციები, მოთხოვნები და თუ რა სარგებელი შეიძლება მიიღონ სოციალური პარტნიორობით;
- (2) მნიშვნელოვანია, კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული სტანდარტების შემუშავების პროცესში;
- (3) მასწავლებელთა პროფესიული განვითარება წარმართოს სისტემურად, რაც გულისხმობს ტრენინგების ორიენტირებას პროფესიულ უნარ-ჩვევებზე და მათი საწარმოებში (დამსაქმებლებთან) ჩართულობის შესაძლებლობას.

რეკომენდაციების შესრულება:

- ❖ **შემუშავდა ოთხმხრივი თანამშრომლობის დოკუმენტი**, რომლის ხელმძღვანელობით პროფესიული განათლების სასწავლებლების თანამშრომლები, დამსაქმებლები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და სახელმწიფო წვლილს შეიტანენ პროფესიული განათლების სისტემის განვითარებაში. თითოეული მხარის პასუხისმგებლობები განსაზღვრულია და არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად მუშაობა დაწყებულია;
- ❖ 2015 წელს, **შემუშავდა საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელი**, რაც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის წარმომადგენლებს აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების სისტემაში. შეიქმნა არაერთი პროფესიული განათლების სასწავლებელი საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში;
- ❖ **შემუშავდა 160 პროფესიული სტანდარტი**, რომელთაგან 93 ოფიციალურად დამტკიცდა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;

- ❖ შემუშავდა მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების სახელმწიფო პროგრამა. მასწავლებელთა დიდი ნაწილი გადამზადდა სხვადასხვა მიმართულებით.

თავი 3. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა საჯარო სექტორში

სას საჯარო სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების განმტკიცებით ხელს უწყობს უკეთეს მმართველობას. უკეთესი მმართველობა კი თავის მხრივ, გამოიხატება საჯარო რესურსების ეფექტიან გამოყენებაში და ამ პროცესში პარლამენტის, მოქალაქეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობაში.

2016 წელს სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს პარლამენტთან, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. აგრეთვე, გამჭვირვალობის კუთხით აღსანიშნავია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ჯილდო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის.

3.1 თანამშრომლობა პარლამენტთან

2016 წელს, გასულ წელთან შედარებით, გაძლიერდა ურთიერთთანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან. მიუხედავად ამისა, კვლავ გამოწვევად რჩება პარლამენტის აქტიური თანამონაწილეობა აუდიტორული საქმიანობის შედეგად მოტანილი სარგებლის გაზრდაში. პარლამენტის აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანი გარანტია აუდიტორული საქმიანობისა და სარგებლის რეალიზაციისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში.

გასულ წელს სას აქტიურად თანამშრომლობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულ აუდიტის ანგარიშების განმხილველ სამუშაო ჯგუფთან. სამუშაო ჯგუფი დეპუტატებს საშუალებას აძლევს, სიღრმისეულად გაეცნონ ზოგადად საჯარო

მმართველობაში და კერძოდ, ცალკეულ უწყებებში არსებულ რისკებსა და ტენდენციებს. გარდა პარლამენტარებისა, ჯგუფის განხილვაში მონაწილეობას იღებენ აუდიტის ობიექტების წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა, დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება აუდიტების ანგარიშთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფმა 2016 წელს ჯამში განიხილა 11 აუდიტის ანგარიში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა სას-ის აუდიტებთან დაკავშირებით გამოსცა **3 დადგენილება, რომლებშიც ხაზგასმულია აუდიტების მნიშვნელობა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობა**. ეს აუდიტებია:

- ❖ სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი;
- ❖ სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის აუდიტი;
- ❖ სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი.

აგრეთვე, მოეწყო საკომიტეტო და პლენარული მოსმენები სას-ის საქმიანობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებულ ანგარიშებზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გასულ წელს პარლამენტთან მჭიდრო კომუნიკაციის ფარგლებში განხორციელდა არაერთი შეხვედრა და აქტივობა, რომელთაგან აღსანიშნავია:

- ❖ სას-ისა და პარლამენტის აქტიური თანამშრომლობა გერმანიის ბუნდესტაგთან და გერმანიის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან. აუდიტის ანგარიშებზე დაყრდნობით, საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით, გერმანიის მოდელი ერთ-ერთი საუკეთესოა. აღნიშნული პრაქტიკის გაცნობის მიზნით, GIZ-ისა და TWINNING-ის ორგანიზებით, პარლამენტის წევრები და სას-ის თანამშრომლები ეწვივნენ ბუნდესტაგსა და გერმანიის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციას;
- ❖ სას-ის ინიციატივით გაიმართა 2 მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში პარლამენტისა და სას-ის ურთიერთთანამშრომლობის გასაძლიერებლად;
- ❖ პარლამენტში გაიგზავნა **86 აუდიტის ანგარიში**;
- ❖ პარლამენტს მიეწოდა ბიუჯეტის შესრულებასთან/ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებული მოხსენებები/დასკვნები. 2016 წლის მოხსენების ფარგლებში გამოვლინდა **110 სისტემური ხარვეზი და გაიცა 40 რეკომენდაცია**; ხოლო, 2017

წლის ბიუჯეტის კანონპროექტზე მომზადებული დასკვნის ფარგლებში გამოვლინდა 38 სისტემური ხარვეზი და გაიცა 27 რეკომენდაცია.

3.2 მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, კერძოდ, “უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ღირებულებებისა და სარგებლის“ (ISSAI 12) პრინციპების, ღია მმართველობის პარტნიორობის ვალდებულებებისა (OGP) და უკეთესი პრაქტიკის შესაბამისად სამსახურმა, გასულ წელს, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, დაიწყო მნიშვნელოვანი პროექტი საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობაში სამოქალაქო ჩართულობის გასაზრდელად.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის მხრიდან დადებითად შეფასდა პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წარმატებით მიაღწია პროექტის მიზნებს. ყურადსაღებია, რომ პროექტი განხორციელდა შეზღუდული ფინანსური და დროითი რესურსების ფარგლებში. მიუხედავად ამისა ის წარმატებული იყო არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ მიღწეული შედეგები სამაგალითოა სხვა ქვეყნებისთვისაც. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიღებული გამოცდილება და მიღწეული შედეგები გაუზიარა ტუნისის აუდიტის სამსახურს, რომელთანაც გეგმავს თანამშრომლობის გაღრმავებას“.

პროექტი მოიცავდა რამდენიმე კომპონენტს, რომელთაგან აღსანიშნავია:




გრაფიკი N15: მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის ძირითადი კომპონენტები

3.2.1. ბიუჯეტის მონიტორი - ონლაინ სივრცე ბიუჯეტის კონტროლისთვის

სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდისა და აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შექმნა ინოვაციური ვებპლატფორმა ბიუჯეტის მონიტორი - www.budgetmonitor.ge.

ბიუჯეტის მონიტორი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას, ერთ სივრცეში, მარტივად აღქმადი ფორმით მიიღოს განახლებადი ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესების თაობაზე. ბიუჯეტის მონიტორზე მომხმარებელზე მორგებული გრაფიკებით ხელმისაწვდომია ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა:

- ❖ 100-მდე აუდიტის ანგარიში ყოველწლიურად;
- ❖ 62 მხარჯავი დაწესებულების ხარჯი;
- ❖ 76 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
- ❖ 400-მდე სახელმწიფო პროგრამა და ქვეპროგრამა;



გარდა ზემოაღნიშნულისა, ბიუჯეტის მონიტორის ვებპლატფორმა პარლამენტის წევრებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, დაინტერესებულ ექსპერტებსა და მოქალაქეებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს აირჩიონ მათთვის საინტერესო სფერო და მიიღონ მუდმივად განახლებადი და სანდო ინფორმაცია სახელმწიფო შემოსავლების, ხარჯების, ვალის, ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამული ბიუჯეტის, შესყიდვების, და აღნიშნულ საკითხებზე აუდიტის შედეგად გამოვლენილი ხარვეზებისა და რეკომენდაციების შესახებ.

ვებპლატფორმის მეშვეობით მოქალაქეები შეძლებენ მარტივად მიაწოდონ სამსახურს ინფორმაცია საჯარო ფინანსების მართვაში არსებული ხარვეზების შესახებ, ჩაერთონ აუდიტის დაგეგმვისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში.

3.2.2 არასამთავრობო ორგანიზაციებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფი

გასულ წლებში საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებასთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის ახალ ფორმატს, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობას სას-ის საქმიანობაში და ასევე, განსაზღვრავს არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების როლს ამ პროცესში. ამ მიმართულებით, გენერალური აუდიტორის ინიციატივით შექმნილია საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერების საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფი.

საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებულია არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით. ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში ინტენსიურად მიმდინარეობს:

- ❖ საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება აუდიტის გეგმის ფორმირებაში;
- ❖ უკუკავშირი დაინტერესებული პირებისგან;
- ❖ შენიშვნებისა და მოსაზრებების განხილვა და მათი გათვალისწინება შემოთავაზებული საკითხების არსებითობიდან გამომდინარე, სას-ის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შენარჩუნებასთან ერთად.


აღსანიშნავია, რომ საკონსულტაციო ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული ზემოხსენებული ვებპლატფორმის - ბიუჯეტის მონიტორის მოდულების დაგეგმვაში.



3.2.3 საკონსულტაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტებში

მუნიციპალიტეტების განვითარება, გამჭვირვალობა და გაძლიერება, წარმოადგენს სას-ის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას. აღნიშნული ამოცანის მისაღწევად, სამსახურის საქმიანობა ორიენტირებულია ადგილობრივ დონეზე სისტემური პრობლემების გამოვლენასა და მათ გამოსასწორებლად რეკომენდაციების შემუშავებაზე.

სამსახურმა, გასულ წელს, დაიწყო აქტიური კომუნიკაცია



მუნიციპალიტეტებთან. კერძოდ, 2016 წელს, 9 სხვადასხვა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში, გაიმართა შეხვედრები, რომლებსაც ესწრებოდნენ როგორც მოქალაქეები, ასევე, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი/აღმასრულებელი ორგანოებისა და მედიის წარმომადგენლები. აღნიშნული შეხვედრები ემსახურება:

- ❖ სას-ის როლისა და აუდიტორული საქმიანობის სარგებლის შესახებ დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას;
- ❖ ადგილობრივ დონეზე არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობას;
- ❖ არსებული ხარვეზების შესახებ ღია დისკუსიებით ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდასა და
- ❖ ბიუჯეტის მონიტორის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას.

საკონსულტაციო შეხვედრებში სულ 300-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, შეხვედრების მონაწილეთა 100%-მა გამოხატა სურვილი, რომ კვლავ მოეწეოს მსგავსი ტიპის განხილვები საჯარო ფინანსების მართვის შესახებ. შესაბამისად, სამსახური 2017 წელსაც გამართავს მუნიციპალიტეტებში საკონსულტაციო ფორმატის შეხვედრებს.

3.3 ექსპერტ-ანალიტიკური საქმიანობა

ძირითადი აუდიტორული საქმიანობის გარდა, სას საქართველოს პარლამენტსა და აღმასრულებელ ორგანოებს აწვდის რეკომენდაციებს ნორმატიული აქტების შესახებ, სახელმწიფო მმართველობის, საჯარო ფინანსების მართვის სისტემის რეფორმისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

სამსახური მონაწილეობს საჯარო მართვის გაუმჯობესების მაკოორდინირებელი ორგანიზაციებისა და პროფესიული საბჭოს²¹ საქმიანობაში. სას-მა 2016 წელს მაკოორდინირებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში მოამზადა 14 დოკუმენტი.

❖ სახელმწიფო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის საკოორდინაციო საბჭო

აღნიშნული უწყებათაშორისი საბჭო კოორდინაციას უწევს სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის სტრატეგიას. გასულ წელს სას-მა საბჭოს წარუდგინა 2016 წლის გეგმის შესრულების ოთხი კვარტალური ანგარიში და 2017 წლის სამოქმედო გეგმა.

❖ ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმა

სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

გასულ წელს, სას-მა წარადგინა ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების 2016 წლის შესრულების ოთხი კვარტალური ანგარიში და 2017 წლის სამოქმედო გეგმა.

ამას გარდა, სამსახურმა, ქ.ბრიუსელში, მონაწილეობა მიიღო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ქვეკომიტეტის „ეკონომიკური და სხვა სექტორების დიალოგი“ მე-2 სხდომაში, სადაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განიხილეს სას-ის შემდგომი გაძლიერების საკითხები დამოუკიდებლობის, ორგანიზაციული და აუდიტორული შესაძლებლობების მიმართულებით. ასოცირების საბჭოს სხდომაზე, სას-ის მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი პოზიტიურად შეფასდა.

²¹ სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის საკოორდინაციო საბჭო, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო.

❖ „ღია მმართველობის პარტნიორობა“ (OGP)

სას ჩართულია „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) საქართველოს 2016-17 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში და თანამშრომლობს ეროვნულ დონეზე ჩართულ ყველა მხარესთან. OGP-ს ფარგლებში აღებული ვალდებულებების განსახორციელებლად, სამსახური აქტიურად მონაწილეობს ღია მმართველობის პარტნიორობასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე. სწორედ ღია მმართველობის პრინციპებისა და მოქალაქეთა ჩართულობის დასანერგად შემუშავდა ბიუჯეტის მონიტორი და მომზადდა მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგია.

❖ სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასება

სას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია 2016 წლის სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების - PEFA (Public Expenditure and Financial Accountability) შეფასების უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფში²². PEFA, სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანობის მსოფლიოში აღიარებული შეფასების სისტემაა, რომელიც ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად შემუშავებულ ინდიკატორებს ეფუძნება²³.

უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა გასულ წელს მოამზადა 2016 წლის PEFA-ს თვითშეფასების პირველადი ანგარიში. მსგავსი ტიპის შეფასება საქართველოში	2016	A*	↑
	2012	B+	↑
	2008	D+	

განხორციელდა 2008 და 2012 წლებში. აღსანიშნავია, რომ გარე აუდიტის კომპონენტში, სას-ის შეფასება მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც სამსახურში ბოლო წლებში განხორციელებულ პროგრესის სანდო ინდიკატორია.

❖ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო

სას აქტიურად მონაწილეობს აღნიშნული საბჭოს მუშაობაში. კერძოდ, ჩართულია საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელებაში, რომელიც 2015-16 წლებს მოიცავს. 2016 წელს

**(თვითშეფასების ქულა)*

²² საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიმდინარე წლის 28 ივლისის N176 ბრძანებით

²³ PEFA ინდიკატორების მიმართულებები: ბიუჯეტის სანდოობა; გამჭვირვალობა და სახელმწიფო ფინანსები; აქტივებისა და ვალდებულებების მართვა; პოლიტიკაზე/პრიორიტეტებზე დაფუძნებული ფისკალური სტრატეგია და ბიუჯეტირება; ბიუჯეტის აღსრულების პროგნოზირება და კონტროლი; აღრიცხვა და ანგარიშგება; გარე ანალიზი და აუდიტი

სამსახურმა სრულად განახორციელა ანტიკორუფციული სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები, რომლებიც მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის რისკზე დაფუძნებული მიდგომის მეთოდოლოგიის შემუშავება; აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის (Audit Management System – AMS) შექმნა და დანერგვა; IT აუდიტის დანერგვა და სხვ.

3.3.1. სახელმწიფო ფინანსების პოლიტიკის რეფორმის ფარგლებში ევროკავშირის პროგრამის პირობების შესრულება

საქართველოში სახელმწიფო ფინანსების სექტორში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ევროკავშირმა სახელმწიფო ფინანსების სისტემის რეფორმის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს 2014-2017 წლებისთვის გამოუყო 19 მილიონი ევროს ოდენობის ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი. ყოველი ტრანშის გადმორიცხვა დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ წინასწარ შეთანხმებული წინაპირობების დაკმაყოფილებაზე ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, ბიუჯეტის შედგენა, ფინანსური აღრიცხვა, გაუმჯობესებული შიდა და გარე აუდიტის მექანიზმები და საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება.

საქართველოში საჯარო ფინანსების პოლიტიკის რეფორმამ (PFPR) დიდი როლი ითამაშა ინსტიტუციური და საჯარო პოლიტიკის ჩარჩოს გაძლიერებაში. სას, როგორც მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ, პროფესიონალ და გამჭვირვალე ორგანიზაციად. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, სამსახურმა წარმატებით განახორციელა რეფორმის ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებები:

- ❖ **მომზადდა მომდევნო 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა**, რომელშიც წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია სას-ის მიღწევების, ხედვისა და სტრატეგიული მიზნების შესახებ; (ახალი სტრატეგიის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია შემდეგ ქვეთავში შეგიძლიათ იხილოთ).
- ❖ **ეფექტიანობის აუდიტების წილმა გადააჭარბა ვალდებულებით განსაზღვრულ 10%-ს და შეადგინა 22%** (სულ ჩატარდა 16 ეფექტიანობის აუდიტი);
- ❖ **მომზადდა 2016 წლის კომუნიკაციის ეფექტიანობის შეფასების ანგარიში**, რომელშიც გაანალიზებულია სამსახურის მიღწევები, გამოწვევები და კომუნიკაციის გაუმჯობესების გზები.

2016 წელს განსაზღვრული 5.2 მილიონი ევროს ოდენობის მესამე ტრანშიდან 1.5 მილიონი ევრო²⁴ სას-ის მიერ წარმატებით შესრულებული წინაპირობების შედეგად გადმოირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

3.4. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი



სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (საი) დიდ როლს თამაშობს როგორც საჯარო სექტორის აუდიტორების კვალიფიკაციის არსებითად გაუმჯობესებაში, ასევე სას-ის ინსტიტუციურ განვითარებაში. საი, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, უკვე ექვსი წელია საჯარო სექტორს პროფესიულ-საგანმანათლებლო, საექსპერტო-ანალიტიკურ და აუდიტორულ მომსახურებას უწევს.

ინსტიტუტის მისიაა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსების მართვასა და საჯარო სექტორის აუდიტის სისტემის განვითარებას საქართველოში.

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები: საჯარო აუდიტის ინსტიტუტს არსებითი წვლილი შეაქვს საჯარო სექტორის აუდიტორთა პროფესიული განვითარებისა და მათი შემდგომი რეალიზაციის პროცესში; საი-ს საჯარო აუდიტორთა სერტიფიცირება და სხვა საგანმანათლებლო პროგრამები აღნიშნულის ეფექტურად განხორციელებას ემსახურება.

საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირება: საჯარო სექტორის აუდიტორების სერტიფიცირება ინსტიტუტის ექსკლუზიური ფუნქციაა. მხოლოდ ინსტიტუტის მიერ სერტიფიცირებულ აუდიტორს გააჩნია უფლება განახორციელოს საჯარო სექტორის აუდიტი. შესაბამისად, სერტიფიცირების კურსები ტარდება მაღალკვალიფიციური ტრენერების მიერ და სერტიფიკატები გაიცემა მხოლოდ სათანადო ცოდნის დემონსტრირების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2016 წელს საი-მ ჩაატარა სერტიფიცირების სამი კურსი, რომელშიც მონაწილეობდა 119 ადამიანი, ხოლო საჯარო აუდიტორის ხუთწლიანი სერტიფიკატის მოპოვება 79-მა მონაწილემ შეძლო.

²⁴ სულ გათვალისწინებულია 3 ტრანში

გარდა სერტიფიცირების
პროგრამისა, საი-მ გასულ წელს
გადაამზადა 243 პირი სხვადასხვა
მიმართულებით, კერძოდ:


- ❖ შიდა აუდიტი;
- ❖ ეფექტიანობის აუდიტი;
- ❖ სახელმწიფო შესყიდვები;
- ❖ პროდუქტიულობის

გაუმჯობესება საჯარო
სექტორში;

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესი და მისი
სამართლებრივი რეგულირება;
- ❖ ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების
ფორმების შევსება;
- ❖ რეკომენდაციების შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგი;
- ❖ ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების
დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და
ანგარიშგების პროგრამული უზრუნველყოფა.

გარდა პროფესიულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა, 2016 წელს, საჯარო სექტორის
აუდიტორული მომსახურების მიმართულებით, საი-მ განახორციელა 8 აუდიტი, მათ შორის 7
ფინანსური და 1 შესაბამისობის.

სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეები
(2013-2016)



თავი 4. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა


პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობას. პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური კანონით განსაზღვრული მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას, სისტემატიზაციას, ანალიზსა და შემოწმებას. მონიტორინგი წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია, ხელი შეუწყოს პოლიტიკური დაფინანსების სფეროში კორუფციის რისკის მინიმუმამდე დაყვანას. სამსახური, ასევე უზრუნველყოფს პარტიების დაფინანსების პროცესის გამჭვირვალობას.

✓ საარჩევნო პროცესის მონიტორინგი

2016 წლის 8 ოქტომბერს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომლის გამჭვირვალედ, სამართლიანად ჩატარებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, სას-მა განახორციელა საარჩევნო პროცესის მონიტორინგი.

საპარლამენტო არჩევნებში დარეგისტრირდა 88 საარჩევნო სუბიექტი, საიდანაც 22 იყო პოლიტიკური პარტია, 5 საარჩევნო ბლოკი, ხოლო 61 - საინიციატივო ჯგუფი. აღნიშნულ პირებს 8 ივნისიდან გააჩნდათ ვალდებულება, 3 კვირაში ერთხელ წინასწარ გაწერილი გრაფიკით წარმოედგინათ 6 პერიოდის დეკლარაცია, ხოლო არჩევნების დასრულების შემდგომ ჯამური პერიოდის ფინანსური ანგარიში.

2016 წლის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტებს მიღებული აქვთ 51.3 ათასი ლარის შემოსავალი, ხოლო ჯამურმა ხარჯმა შეადგინა 46 ათასი ლარი. კერძოდ:



2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში სამსახურის მიერ მოძიებული ინფორმაციისა თუ სხვადასხვა მესამე პირების მიერ წარმოდგენილი საჩივრების საფუძველზე მიდმინარეობდა 29 სასამართლო პროცესი, აქედან 19 სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა საარჩევნო სუბიექტების წინააღმდეგ, ხოლო 10 ოქმი შემომწირველი პირების წინააღმდეგ. კერძოდ, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შედეგად, სანქციების რაოდენობამ სულ შეადგინა 247 ათასი ლარი.

✓ **პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება**

სამსახურის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით აღსანიშნავია ევროპის საბჭოს, IFES-ისა და International IDEA-ს მხარდაჭერით გამართული კონსულტაციები და ტრენინგები. ასევე, მნიშვნელოვანია ამავე ორგანიზაციების მხარდაჭერით მომზადებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშების ელექტრონული დეკლარირების პროგრამა და საძიებო სისტემა - **monitoring.sao.ge**. ვებ-გვერდი ემსახურება დეკლარირების პროცესის გამარტივებას და უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობის გაზრდას.

შემოწმირულებების ძიება

შემოწმირულების მიმღები		შემოწმირულების დიპატი		თარიღი	
აირჩიეთ სუბიექტები		აირჩიეთ შემოწმირულების ტიპები		აირჩიეთ თარიღი	
თანხა		იურიდიული ფორმა			
☐ დან ☐ მდე		☐ ფიზიკური ☐ იურიდიული ☒ ორივე			
დასახელება		იდენტიფიკატორი			
სახელი, გვარი / დასახელება		პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი		ძიება მასშტაბდება	

აგრეთვე, პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებულ იქნა წინადადებები და რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნით, კერძოდ:

- ❖ საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ამომრჩევლის მოსყიდვასთან დაკავშირებული სანქციების დაკონკრეტება და ჰარმონიზაცია;
- ❖ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რეგულაციების გავრცელება და მკაფიო რეგულაციების დაწესება

დამოუკიდებელ კანდიდატებსა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებზე;

- ❖ *აკრძალული შემოწირულების* განმარტების დაზუსტება და კონკრეტული ფორმულირების შემუშავება;
- ❖ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ფინანსური მონიტორინგის უფლებამოსილების განხორციელებისას **ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა და ელექტრონული ხელმოწერის** გამოყენების უფლების განსაზღვრა. მიზანშეწონილია, რომ საგადასახადო კოდექსის მსგავსად „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისთვისაც ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს მიენიჭოს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც წერილობით დოკუმენტს.

✓ **საერთაშორისო აღიარება**

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს შესახებ ანგარიში²⁵ გამოაქვეყნა, სადაც სას-ის საქმიანობამ, პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის კუთხით, მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ დასკვნის მიხედვით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, სას-ის იყო მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და სამართლიანი: *„სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მონიტორინგი გაუწია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობას. განხილული იქნა 1,016 ფიზიკური და 84 იურიდიული პირის მიერ განხორციელებული შემოწირულებები. პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა 120 შემოწირველი გამოკითხა, დაჯარიმდა 8 უკანონო შემოწირველი. სას-ის ცნობით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების განმავლობაში პოლიტიკური პარტიების მთლიანმა შემოწირულებამ 13 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, შემოწირულებების 65% კი მმართველმა პარტიამ - ქართულმა ოცნებამ მიიღო.“* - ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

²⁵ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს შესახებ ანგარიში - <https://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/humanrightsreport/index.htm?year=2016&dliid=265422>

✓ *არასამთავრობო ორგანიზაციების დადებითი შეფასება*

არასამთავრობო ორგანიზაციებმა - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“, 2016 წელს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგთან დაკავშირებით სას-ის მიერ გაწეული საქმიანობა დადებითად შეაფასეს. აღსანიშნავია „სამართლიანი არჩევნების“ პოზიტიური შეფასება: „*აუდიტის სამსახური ობიექტურად და მიუკერძოებლად განიხილავდა წარდგენილ საჩივრებს*“.

✓ *რეგიონული კონფერენცია „ფული პოლიტიკაში“*

2016 წლის 18-19 თებერვალს, სას-ის ინიციატივით თბილისში ჩატარდა რეგიონული კონფერენცია „ფული პოლიტიკაში“. კონფერენციის მიზანი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური პარტიების მონიტორინგისა და ანტიკორუფციული სამსახურების, სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიერ პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და გამოცდილების გაზიარება, ასევე არსებული ხარვეზებისა და მონიტორინგის გაუმჯობესების კუთხით საკითხების განხილვა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა.

კონფერენციის თანაორგანიზატორები იყვნენ ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ოფისი OSCE/ODIHR, ევროსაბჭო (CoE), დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი (International IDEA), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) და ნიდერლანდების მულტიპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD).

თავი 5. სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება

5.1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიების განმტკიცება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას აუდიტის სამსახურის სტატუსისა და მანდატის განმსაზღვრელი კონსტიტუციური მუხლების ცვლილებების პროექტი შესთავაზა, რაც საბოლოო ცვლილებების პროექტში ასახული იქნა.

კონსტიტუციური ცვლილებების პროექტში ასახული ცვლილებები უზრუნველყოფს უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას და მისი საქმიანობის მარეგულირებელი კონსტიტუციური ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

კერძოდ, კონსტიტუციის პროექტის თანახმად:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურს თავის კომპეტენციასთან დაკავშირებით დავის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მიენიჭა, რაც უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციის დამოუკიდებლობის დაცვის მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების, საქმიანობის წესისა და დამოუკიდებლობის გარანტიების განმსაზღვრელ საკანონმდებლო აქტს უფრო მაღალი იერარქიის - ორგანული კანონის სტატუსის მიენიჭა, რაც სას-ის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯია;
- აუდიტის სამსახურის საქმიანობის კონსტიტუციურ სამართლებრივ პრინციპად „საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების“ პრინციპი განისაზღვრა, რაც უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საქმიანობის მანდატს საერთაშორისოდ აღიარებულ თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებს.

საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან დაკავშირებით კონსტიტუციური ცვლილებების პროექტში მიღწეული პროგრესული ნორმების გაზიარებისა და მხარდაჭერის შემთხვევაში, აღნიშნული ხელს შეუწყობს საპარლამენტო საზედამხედველო ფუნქციის შემდგომ გაძლიერებას და დახვეწას, რაც საპარლამენტო სისტემის მოდელში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

5.2. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2022 წლებისთვის


სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმ პროგრესისა და ხედვის გაგრძელება, რაც მიღწეულ იქნა გასული წლების განმავლობაში.

წინა, 2014-2017 წლების სტრატეგიაში განსაზღვრული ამოცანის მიხედვით, სას-მა უზრუნველყო სახელმწიფო ბიუჯეტისა და მხარჯავი დაწესებულებების 85%-იანი

დაფარვის მაჩვენებლის მიღწევა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის საქმიანობის ფარგლებში. ახალი სტრატეგიული გეგმით კი სას გეგმავს დაფარვის 90%-იანი ნიშნულის მიღწევას და ასევე, ეფექტიანობის აუდიტებით სექტორული ისეთი სფეროების დაფარვას, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საჯარო ფინანსების ეფექტიან განკარგვაზე. სისტემური ხედვის ჩამოსაყალიბებლად და ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სფეროებში სას-ის როლის გასაზრდელად.

სამსახურმა შეიმუშავა ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2022 წლებისთვის. გეგმა კიდევ ერთხელ ადასტურებს სას-ის ხედვას - მხარი დაუჭიროს საჯარო ფინანსების სფეროს განვითარებას სამსახურმა თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან და შედეგთან მიმართებით წლების მიხედვით განსაზღვრა ინდიკატორები და კრიტერიუმები, რომლებიც საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებს მისცემს შესაძლებლობას, პერიოდულად შეაფასონ, თუ რამდენად ეფექტიანად ხორციელდება სტრატეგიული გეგმა და ის არჩეული კურსი, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურის მდგრად განვითარებას.

ახალი სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს და პასუხობს გამოწვევებს, რომლებიც თან ახლავს იმ კომპლექსურ და დინამიკურ გარემოს, რაშიც სამსახური მოღვაწეობს. ამ დოკუმენტით სამსახური ასევე გეგმავს, მართოს და მინიმუმამდე დაიყვანოს საქმიანობასთან




გრაფიკი: სტრატეგიული მიზნები

დაკავშირებული გარე რისკები. სტრატეგიული გეგმა გულისხმობს გაძლიერებულ აქცენტებს მდგრადი განვითარებისთვის და მიღწეული შედეგების გაუმჯობესებისთვის. ასევე, დოკუმენტი ოფიციალურად გაიგზავნა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობასთან როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენაზე.

5.3. ადამიანური რესურსების მართვა (HR)

სას-ის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საჯარო სექტორში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტის ჩატარება. აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად სამსახურისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა.

2016 წლისათვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო 351 თანამშრომელი (შტატგარეშე დასაქმებულების გარდა). ორგანიზაციის თანამშრომელთა 75%-ს შეადგენს პროფესიული შტატი, როგორებიც არიან აუდიტორები, ექსპერტები და ანალიტიკოსები, ხოლო 25%-ს შეადგენს დამხმარე პერსონალი.



სას-ის მნიშვნელოვან აქტივს წარმოადგენს პროფესიონალ თანამშრომელთა გამოცდილი გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტ და ნაყოფიერ აუდიტორულ საქმიანობას. გარდა გამოცდილი თანამშრომლების შენარჩუნებისა, სამსახური ასევე ზრუნავს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვაზე.

➤ კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განვითარება

პროფესიულ შტატში დასაქმებულ თანამშრომელთა 100%-ს აქვს უმაღლესი განათლება, მათ შორის, მაგისტრი არის 54%, ხოლო დოქტორი - 5%. ამასთანავე, სამსახურის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული პროფესიული განვითარებისა და სხვადასხვა სასერტიფიკატო პროგრამაში. სას-ის თანამშრომლები ფლობენ სერტიფიკატებს სხვადასხვა


მიმართულების მიხედვით (ACCA, CFA, CISA, CISP, ISSAI საერთაშორისო სერტიფიკატები). სას-ის თანამშრომელთა ნახევარზე მეტს მოპოვებული აქვს სერტიფიკატი აუდიტის, საბიუჯეტო პროცესის, ინფორმაციული სისტემების მართვისა და სხვა პროფესიულ სფეროებში.

ტექნიკური უნარების განვითარების გარდა, სას ასევე ზრუნავს თანამშრომელთა ანალიტიკური და მართვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ამ მხრივ, გასულ წელს სას-ის თანამშრომლებისთვის გაიმართა:

- ❖ მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი სემინარები და ტრენინგები;
- ❖ პროექტების მართვის ტრენინგები, როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებისთვის, ასევე, პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის;
- ❖ ტრენინგები კომპიუტერული უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2016 წელს სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ 25 ტრენინგ/სემინარში, 45 სამუშაო შეხვედრასა და 5 კონფერენციაში, რომლებიც ჩატარდა აუდიტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის, ორგანიზაციული განვითარების, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და სხვა საკითხების შესახებ.

გადამზადებული თანამშრომლები მიმართულებების მიხედვით



5.4. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაძლიერება

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მუდმივად აფასებს სას-ის აუდიტორული საქმიანობის ხარისხის დონეს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს ხარვეზების გამოსასწორებლად; აუდიტის ანგარიშების მაღალი ხარისხი კი პირდაპირპროპორციულია სას-ის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებასთან.

2016 წელს, დეპარტამენტმა კონკრეტული აუდიტის ანგარიშების პროექტების მიმოხილვისა და შემოწმების გზით შეისწავლა სას-ის აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის სისტემა და მისი ეფექტიანობა. ასევე, მომზადდა შენიშვნები და წინანდადებები 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით განხორციელებული აუდიტების შესახებ სას-ის ანგარიშზე.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის შეფასებით, არსებითად გაუმჯობესდა სამსახურის საქმიანობის გარკვეული მიმართულებები, მათ შორის:

- ❖ დაწყებულია მეთოდოლოგიური ბაზის გაძლიერების პროცესი; მიმდინარეობს ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს განახლებისა და შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესი;
- ❖ სას-ის საქმიანობის ინსტიტუციური განვითარების და კორუფციასთან ბრძოლის კუთხით გატარებული ღონისძიებების შედეგად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) მიერ სახელმწიფოთა შეფასების მეოთხე რაუნდში, სამსახურის აუდიტორული საქმიანობის შედეგები, აუდიტორული დასკვნები და რეკომენდაციები გამოყენებული იქნა სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული რეფორმების შესაფასებლად;
- ❖ საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიმართულებით სას-მა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ, დაინერგა პარლამენტისა და მოქალაქეების ანალიტიკური ვებპლატფორმა „ბიუჯეტის მონიტორი“, რომელიც შეიცავს საჯარო ფინანსებთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- ❖ წლის განმავლობაში ჩატარდა მრავალი ტრენინგი/სემინარი, როგორც უშუალოდ აუდიტორული, ისე სხვა მნიშვნელოვანი პროფესიული კომპეტენციების განსავითარებლად. მათგან აღსანიშნავია ის სასერტიფიკაციო პროგრამები, რომლის

ფარგლებშიც სამსახურის თანამშრომლებმა წარმატებით მოიპოვეს საერთაშორისოდ აღიარებული სერიტიფიკატები - CFA, ISACA;

- ❖ აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის (AMS) დანერგვის ფარგლებში შესყიდულია პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა და ქსელი, რომელიც ფუნქციონირებს ტრენინგ-მოდულის რეჟიმში. 2016 წელს დაიგეგმა აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით 2017 წლიდან აუდიტების ჩატარება საპილოტე რეჟიმში;
- ❖ 2016 წელს დეპარტამენტების აქტიური ჩართულობით განახლდა სას-ის 2014-2017 წლების განვითარების სტრატეგია. წლიური აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის პროცესი მეტად ფოკუსირებულია სტრატეგიულ ამოცანებზე, რაც ხელს შეუწყობს აუდიტით მიღებული სარგებლის მაქსიმიზაციას, პარლამენტის ჩართულობის ზრდას და ამ მიზნით რესურსების მაქსიმალურად ოპტიმალურ მობილიზაციას.

ასევე, დეპარტამენტმა გასცა რეკომენდაციები იმ სფეროების გამოსასწორებლად, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებასა და დახვეწას, კერძოდ:

- ❖ ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, პრეზიდენტის მიერ განხილული დავების ანალიზი, პრეცედენტების სისტემატიზაცია/კოდიფიკაცია და აუდიტორული ანგარიშგების პრაქტიკული სახელმძღვანელოს მომზადება, სადაც პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე განხილული იქნება შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში;
- ❖ დაგროვილი ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე არსებული მეთოდოლოგიური ბაზის გადახედვა, განახლება და გამოყენება აუდიტის მართვის ელექტრონულ სისტემაში დაგეგმილ საპილოტე აუდიტებში.
- ❖ დეპარტამენტების დონეზე ხარისხის კონტროლის სისტემაზე ჰორიზონტალური ზედამხედველობის გაძლიერება. აუდიტის ხარისხის კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ძლიერი მხარეების ასახვა აუდიტორთა პროფესიულ შეფასებაზე, რაც ხელს შეუწყობს მათ მოტივაციას.

5.5. ელექტრონული სისტემების დანერგვა ეფექტიანობის გასაზრდელად

სას ინოვაციური და თანამედროვე აუდიტორული მიდგომებისა თუ ტექნიკების პრაქტიკაში დანერგვით, ხელს უწყობს ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერებას. 2016 წლის განმავლობაში არსებითად გაუმჯობესდა სას-ის ინფორმაციული ტექნოლოგიები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

5.4.1. ინფორმაციული ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურა

შეზღუდული დროითი და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით სას უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციული სისტემების დანერგვასა და IT ინფრასტრუქტურის განვითარებას. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია შემდეგი პროექტები:

➤ სასერვერო ინფრასტრუქტურა

საჯარო სექტორში ელექტრონული მმართველობის დანერგვასთან ერთად, აუდიტორების მხრიდან იზრდება დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისა და სათანადოდ შენახვის აუცილებლობა. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ აუცილებელი გახდა არსებული სასერვერო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მსოფლიო ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, სწორედ, სას-ის IT ინფრასტრუქტურის მოწყობა და გაძლიერება. სერვერების ტექნიკური მონაცემებისა და არქიტექტურის გათვალისწინებით, შესაძლებელია აუდიტის ობიექტებიდან მიღებული დიდი მონაცემთა ბაზების შესაბამისი შენახვა და დამუშავება.

➤ მონაცემთა ანალიზის აუდიტორული პროგრამა (CaseWare IDEA)

მსოფლიო ბანკის დახმარებით 2015 წელს სას-მა შეისყიდა მონაცემთა ანალიზის აუდიტორული პროგრამა (CaseWare IDEA), რომელიც უზრუნველყოფს დიდი მონაცემთა ბაზების დამუშავებას ნაკლები დროითი და ადამიანური რესურსების გამოყენებით. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა შექმნილია სპეციალურად აუდიტორებისათვის და წინასწარ განსაზღვრული აუდიტორული ანალიტიკების საშუალებით უზრუნველყოფს აუდიტის მიმდინარეობისას მონაცემების ეფექტიანად დამუშავებას.

დაძმობილების (TWINNING) პროგრამის ფარგლებში, პოლონელმა ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგ კურსი და სას-ის თანამშრომლებს გაუზიარეს ცოდნა და გამოცდილება პროგრამის მიმართულებით. ასევე, CaseWare IDEA პროგრამის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ტრენინგ მოდული და იგეგმება სას-ის აუდიტორთა გადამზადება და პროგრამის მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა.

➤ აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემა (MKInsight)

სას-მა 2015 წელს, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით შეისყიდა აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემა (MKInsight); აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს არსებული ბიზნესპროცესის სტრუქტურირებულ და სრულყოფილ წარმართვას, რომლის საშუალებით შესაძლებელია დროითი და ადამიანური რესურსების ოპტიმალური გამოყენება და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული უზუსტობების დაშვების რისკის მინიმუმამდე შემცირება.

პროექტის დანერგვის შემდგომ მისაღები ღირებულება/სარგებელი:

➤ აუდიტორებისათვის: აუდიტის ხარისხისა და დროულობის გაუმჯობესება

- აუდიტორები ხელშეშვანელობენ სისტემაში ჩაშენებული აუდიტის მეთოდოლოგიითა და პროცედურებით;
- ხარისხის კონტროლის დროული ჩართულობა და გაუმჯობესებული ხარისხი;
- სისტემა ხელს უწყობს ინსტიტუციური მეხსიერების ჩამოყალიბებას, რაც მომდევნო აუდიტებში დაზოგავს დროს აუდიტორული პროცედურების განხორციელებისას;

➤ მენეჯმენტისათვის: გაუმჯობესებული ზიადამხიდადგელობა

- მიმდინარე აუდიტების პროგრესისა და სამუშაო მასალების მონიტორინგი;
- სისტემური ხედვა ყველა აუდიტზე;
- თანამშრომლების შეფასების სისტემა;

➤ ინსტიტუციისათვის: პროდუქტიულობის გაუმჯობესება

- აუდიტორული საქმიანობის წლიური დაგეგმვის გაუმჯობესება;
- ადამიანური და დროითი რესურსების უფრო ზუსტი და ეფექტიანი განაწილება;
- დროული და ზუსტი ანგარიშგება მიმდინარეობაზე (პროგრეს რეპორტირება);
- აუდიტის პროცესის სტანდარტიზაცია;
- აუდიტის მიმდინარეობისა და თანამშრომლების დაჯივრების მონიტორინგი;

mkinsight

2016 წლის განმავლობაში აუდიტის მართვის სისტემის დანერგვის პროექტის ფარგლებში, **სულ გადამზადდა სას-ის 170 თანამშრომელი**. ტრენინგები ჩატარდა როგორც აუდიტორებისთვის, ასევე საშუალო რგოლის მენეჯმენტისთვის. სისტემის დასაწერად გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები:

❖ **სისტემის ტექნიკური გამართვა:**

- სისტემაში ინტეგრირდა ფინანსური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა აუდიტის მეთოდოლოგია და პროცედურები;
- სისტემაში აღიწერა სას-ის აუდიტის ობიექტები და მიმდინარეობს აღნიშნული სტრუქტურების შესახებ სრულყოფილი საბიუჯეტო და ორგანიზაციული ინფორმაციის შეყვანა;
- სისტემაში განისაზღვრა აუდიტის პროცესში ჩართული პირების (აუდიტორების, აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელების, დეპარტამენტის უფროსების, ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის) როლები და შესაბამისი უფლებამოსილებები (პრივილეგიები);
- სისტემაში ინტეგრირდა სხვადასხვა კითხვარი, რომლებსაც სას იყენებს აუდიტების მიმდინარეობისას (ორგანიზაციული შეფასების კითხვარი, ინფორმაციული ტექნოლოგიების გარემოს შეფასების კითხვარი, და ა.შ.);
- სისტემას დაემატა დარღვევების/მიგნებების კლასიფიკაციის კრიტერიუმები და რეკომენდაციების მონიტორინგის მეთოდოლოგია.

❖ **მომხმარებლების ჩართულობა - ცვლილების მართვა:**

- ფაზა 1: გადამზადდა სისტემის 12 ტრენერი და სისტემის ადმინისტრატორი;
- ფაზა 2: შეიქმნა საპილოტე ჯგუფები და გადამზადდა:
 - სისტემის 120 მომხმარებელი ფინანსური აუდიტის მიმართულებით;
 - სისტემის 15 მომხმარებელი ეფექტიანობის აუდიტის მიმართულებით;
 - სისტემის 20 ტრენერი ფინანსური აუდიტის მიმართულებით;

❖ **სამოქმედო გეგმა:**

- სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზის მეთოდოლოგიისა და პროცედურების ჩაშენება სისტემაში;

- ტრენინგების მესამე ფაზის დაწყება, რაც მოიცავს დეპარტამენტების უფროსების ტრენინგს აუდიტის ზედამხედველობასა და ყოველწლიური აუდიტორული გეგმის მომზადებას; აუდიტის ჯგუფების ინტენსიურ ტრენინგებს;
- 14 ფინანსური აუდიტისა (სამინისტროების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტები) და 5 ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება 2017 წლის პირველ ნახევარში (აუდიტორული სტაფის 80% მეტი)

5.4.2 ინფორმაციული უსაფრთხოება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში

2016 წლის 30 დეკემბერს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დამტკიცდა **ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი**, რომელიც წარმოადგენს სას-ის უმაღლესი მენეჯმენტის განაცხადს აღნიშნული მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის შესახებ. დოკუმენტს საფუძვლად უდევს საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის მიერ შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტი ISO/IEC 27001:2013.

ინფორმაციული უსაფრთხოება წარმოადგენს ინფორმაციაზე არაავტორიზებული წვდომის, მისი არასანქცირებული გამოყენების, გამჟღავნების, დამახინჯებისა და განადგურების პრევენციის პრაქტიკას. ინფორმაციული უსაფრთხოების ეფექტიანი მართვის საფუძვლის განსაზღვრა ორგანიზაციის ინფორმაციული აქტივების დაცვის აუცილებელი პირობაა. სას აცნობიერებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციაში არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და მათ განკარგვას. ამიტომაც დაიწყო აქტიური მუშაობა ინფორმაციული უსაფრთხოების უკეთესი პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით.


აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წლის თებერვლიდან ორგანიზაციას ჰყავს ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერი და ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პოლიტიკის შემუშავებაზე, გატარებაზე, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აღსრულებასა და მონიტორინგზე. ამასთანავე, დოკუმენტის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დასაქმებული

ყველა პირისა და, აგრეთვე, იმ პირებისათვის, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ დაშვება სამსახურის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე.


5.6. საერთაშორისო თანამშრომლობა

5.6.1 INTOSAI, EUROSAI, ASOSAI

სას არის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო და რეგიონული გაერთიანებების (INTOSAI, EUROSAI, ASOSAI) წევრი; შესაბამისად, სას-ს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო დონის დიებებში და წვლილი შეიტანოს გლობალურ დონეზე მიმდინარე პროცესებში. ამჟამად, სას გაწევრიანებულია INTOSAI, EUROSAI და ASOSAI-ს სხვადასხვა ქვეკომიტეტსა და სამუშაო ჯგუფში.



2016 წელს, სას-მა არსებითი წვლილი შეიტანა ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებში, როგორებიცაა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება და პროფესიული სტანდარტები, სახელმწიფო ვალის აუდიტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, კორუფციასთან ბრძოლის გლობალური პროგრამა და სხვა (იხ. ქვემოთ მოცემული შეჯამება).



1. **გლობალური პროგრამა ვალის მართვის შესახებ (ALBF):**
სას-მა უმასპინძლა 10 სხვადასხვა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის წარმომადგენელსა და საერთაშორისო ექსპერტს სახელმწიფო ვალის მართვის აუდიტთან დაკავშირებით. სამუშაო შეხვედრის მთავარი მიზანი იყო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული აუდიტების ხარისხის მიმოხილვა და გაუმჯობესება.
2. **უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების კორუფციასთან ბრძოლის გლობალური პროგრამა:**
პროგრამის მიზანია უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების მხარდა როლი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრძოლის საკითხებში. 2016 წელს სას-ის თანამშრომელმა, კონსულტანტის რანგში, მონაწილეობა მიიღო პროგრამის ფარგლებში გამართულ შეხვედრაში.


2016 წელს სას-მა პირველად მიიღო მონაწილეობა **INTOSAI-ს IT აუდიტის სამუშაო ჯგუფის (WGITA)** 25-ე შეხვედრაში. რომელიც გაიმართა ქალაქ ბრაზილიაში. სამუშაო ჯგუფის უმთავრესი მისიაა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების შორის გამოცდილებისა და უკეთესი პრაქტიკის გაზიარება IT აუდიტის მიმართულებით. შეხვედრაზე უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანოებმა სხვადასხვა ქვეყნებიდან წარმოადგინეს WGITA-ს 2014-2016 წლების სამუშაო გეგმის განხორციელების შედეგები. შეხვედრაზე შემუშავდა და დასრულდა ახალი 2017-2019 წლების სამუშაო გეგმა, რომლის ფარგლებში **სას ჩაერთვება 2 პროექტში: 1. მონაცემთა ანალიზი (IT აუდიტის ტექნიკები) და 2. დოკუმენტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები IT აუდიტში.**



სას არის EUROSAI-ს გარემოს აუდიტის სამუშაო ჯგუფის (WGEA) წევრი და მონაწილეობას იღებს ჰაერის ხარისხის ეფექტიანობის ერთობლივ აუდიტში, რომელიც ხორციელდება ევროპის მასშტაბით, ნიდერლანდების სამეფოს უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის ინიციატივით. სას-ის მიერ წინასწარი შესწავლის პროცედურები დასრულებულია და 2017 წლის იანვრიდან იგეგმება ძირითადი სამუშაოების დაწყება. ადგილობრივი აუდიტის შედეგები 2018 წლის დასაწყისში გაერთიანდება ერთობლივი აუდიტის ფარგლებში მომზადებულ საერთო ანგარიშში.

სას აქტიურად მონაწილეობს **EUROSAI-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამუშაო ჯგუფის** მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. 2016 წელს გაიმართა შეხვედრა, რომელიც მიემდგვნა **ინფორმაციული ტექნოლოგიების ანგარიშებისა და მიგნებების პორტალს – კუბს (CUBE).** სას-ის თანამშრომლებმა ჩაატარეს პრეზენტაცია სას-ის 2 IT აუდიტის და სხვა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების 8 IT აუდიტის შესახებ, რომლებიც წინასწარ დამუშავდა CUBE პორტალისთვის მისაღებ ფორმატში სამსახურის მიერ.

5.6.2. საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამა (TWINNING)



5.6.3 თანამშრომლობა დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან


სას აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას მის სტრატეგიულ პარტნიორებთან, რომლებიც არიან გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისი (SNAO), რომელთანაც 2016 წელს ოფიციალურად განახლდა ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2016 წელს, წინა წლების მსგავსად სას-მა მიიღო მნიშვნელოვანი მხარდაჭერა დონორი ორგანიზაციების მხრიდან ინსტიტუციური და პროფესიული განვითარების მიმართულებით.

გრაფიკი N16: დონორი ორგანიზაციები და მხარდაჭერის სფეროები



ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2016 წელს სას-სა და სამხრეთ კორეის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციას (BAI Korea) შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის ფარგლებში ორგანიზაციები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებისა და აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით.



5.6.4 ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი

სამსახური აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას ევროკავშირთან ინსტიტუციური შესაძლებლობების გასაძლიერებლად და მიღწეული შედეგების მდგრადობის შესანარჩუნებლად. გასულ წლებში სამსახურმა ევროკავშირთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში არაერთი წარმატებული პროექტი განახორციელა.

გასულ წელს საფუძველი ჩაეყარა ევროკავშირთან ტექნიკური მხარდაჭერის პროექტს, რომლის მთავარი მიზანია სას-ის დამოუკიდებლობისა და პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო ფინანსებზე ზედამხედველობის გაუმჯობესებას.

ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი დაიწყო 2017 წელს და დასრულდება 2019 წელს.

ტექნიკური დახმარების პროექტის მიზნები

- სას-ის დამოუკიდებლობის გაძლიერება მეხიკოს დეკლარაციისა და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით
- ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება საჯარო სექტორში
- სას-ის ტექნიკური და მენეჯერული უნარების გაუმჯობესება

5.7. კორპორაციული სულისკვეთების გაძლიერება

თანამშრომელთა ერთიანი ხედვისა და მიმართულებების ჩამოყალიბებისათვის სამსახური მუდმივად ზრუნავს ეფექტური შიდა კომუნიკაციის მექანიზმების შექმნაზე.

სწორედ ამიტომ, სას-ში შექმნილია კომუნიკაციის ჯგუფი და სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი, რომელთა ჩართულობითაც განხორციელდა არაერთი აქტივობა თანამშრომელთა ერთიანი ხედვისა და შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის:

- ❖ სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა გამართა 11 შიდა შეხვედრა, რომელთა ფარგლებში:
 - განახლდა სას-ის 2014-2017 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
 - უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩოს (PMF) გამოყენებით დაიწყო სას-ის საქმიანობის შეფასება;
 - ჯგუფმა წვლილი შეიტანა სას-ის ანგარიშგების გაუმჯობესებაში.

- ❖ ჩატარდა 7 ტრენინგ/სემინარი ეფექტურ კომუნიკაციაზე სას-ის სტრატეგიული პარტნიორების, მსოფლიო ბანკის, USAID-ის, Louis Berger-ის მხარდაჭერით;
- ❖ მოეწყო თანამშრომელთა შიდა შეხვედრები სას-ში მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით;
- ❖ გაიმართა სპორტული, ინტელექტუალური და საქველმოქმედო ღონისძიებები.

5.8. სოციალური თანადგომა

„მზის შვილები - დაუნის სინდრომისა“ და „მზის სივრცის“ ბენეფიციარები სტუმრად სახელმწიფო აუდიტის სამსახურში:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გაიმართა ორგანიზაცია „მზის შვილები-დაუნის სინდრომისა“ და შშმ ბავშვთა რეაბილიტაციისა და განვითარების ცენტრ „მზის სივრცის“ ბენეფიციარი ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მონაწილეების, როგორც ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი, ასევე, მათ მიერ გადაღებული ფოტოები.



სოციალური აქცია „სიკეთე უსასრულო“ :

სას-ის თანამშრომელთა გუნდი ეწვია „ბერი ანდრიას სახელობის ფონდს“ და სიმბოლური საჩუქრები გადასცა სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს. „ბერი ანდრიას ფონდი“ უანგაროდ ეხმარება სიმსივნით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის მოზარდებს და მათ ოჯახებს ყველა იმ საქმეში, რაც ბავშვთა მკურნალობასა და მათ რეაბილიტაციას ეხება. სამსახური აუცილებლად განაგრძობს ფონდის მხარდაჭერას და ბავშვებისათვის, თუნდაც მცირედი, სიხარულის მინიჭებას.




5.9. ფინანსები

სას-ის ფინანსები 2016 წელს განისაზღვრა **14.5 მილიონი** ლარის ოდენობით. ფაქტობრივად გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა **13.8 მილიონი** ლარი. მთლიანი ბიუჯეტის 81%-ს შრომის ანაზღაურებას წარმოადგენს.

სას, ასევე, ზრუნავს თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე და შესაბამისად, ყველა თანამშრომელი სარგებლობს სადაზღვევო პაკეტებით. გასულ წელს, სამსახურმა მომწოდებელთან გააფორმა ხელშეკრულება 264.135 ათასი ლარის სადაზღვევო მომსახურებაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსები



სამსახური, საჭიროების შემთხვევაში, კორპორაციული სოლიდარობისა და დახმარების მიზნით, თანამშრომელებისთვის მუდმივად გამოყოფს თანხას. სამსახურმა 2016 წელს 35 თანამშრომელზე სოციალური (ოჯახური) დახმარების მიზნით გამოყო 94.4 ათასი ლარი.

დანართი N1. – 2016 წელს ჩატარებული აუდიტები

N	აუდიტის დასახელება
1	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
2	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი (TWINNING -ის პროექტის ფარგლებში საექსპერტო მხარდაჭერით)
3	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
4	სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა(ბოლო 2.5 წლის პერიოდი) შესაბამისობის აუდიტი
5	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
6	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
7	სსიპ შემოსავლების სამსახურის (მოზილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება) 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
8	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
9	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების 2015 წლის ფინანსური აუდიტი
10	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
11	ა(ა)იპ „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“ საორგანიზაციო კომიტეტის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
12	თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
13	ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
14	შპს თბილსერვის ჯგუფის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
15	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნებისა და ამადლების 2015 წლის ფინანსური აუდიტი
16	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2015 წლის ფინანსური აუდიტი
17	საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
18	სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
19	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს - სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელების 2014-2015 წლების ფინანსური აუდიტი
20	საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
21	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
22	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
23	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
24	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
25	სს საქართველოს რკინიგზის შესყიდვების 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი

26	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის 2015 წლის ფინანსური აუდიტი
27	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სახსრებისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის მიზნობრიობის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
28	მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
29	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის 2015 წლის ფინანსური აუდიტი
30	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აპარატის 2015 წლის ფინანსური აუდიტი
31	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპარტამენტების (იუსტიციის, დევნილთა საქმეების, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი) საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
32	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების (აღმოსავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის საკითხებში, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ზემო აფხაზეთში) საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
33	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
34	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
35	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის 2015 წლის ფინანსური აუდიტი
36	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
37	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
38	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
39	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
40	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
41	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ფინანსური აუდიტი
42	კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
43	განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
44	კულტურის განვითარების ხელშეწყობის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
45	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ფინანსური აუდიტი
46	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ფინანსური აუდიტი
47	ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ფინანსური აუდიტი
48	შუახევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ფინანსური აუდიტი
49	ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ფინანსური აუდიტი
50	შპს სავაჭრო ცენტრი 2009-ს 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
51	შპს ბათუმის ავტოტრანსპორტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
52	შპს ბათუმის წყლის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
53	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის 2014-2015 წლების ფინანსური აუდიტი

54	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2016 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი
55	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
56	ქ. თბილისის მერიის 2014-2015 წლების ფინანსური აუდიტი
57	ქ. ქუთაისის მერიის 2014-2015 წლების ფინანსური აუდიტი
58	სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
59	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
60	დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
61	მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
62	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სოციალური დახმარებისა და დასაქმების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი
63	ხე-ტყის სოციალური ჭრების ეფექტიანობის აუდიტი
64	უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სწავლების ხარისხის ეფექტიანობის აუდიტი
65	თვითმმართველ ერთეულებში პრიორიტეტების განსაზღვრისა და პროექტების შერჩევის პროცესის ეფექტიანობის აუდიტი
66	სასწრაფო სამედიცინო დახმარების (შემდგომი რეაგირების) ეფექტიანობის აუდიტი
67	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის 2014-2015 წლების ეფექტიანობის აუდიტი
68	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი
69	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის სამედიცინო უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი
70	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მართვის ეფექტიანობის აუდიტი
71	მასობრივი სპორტის ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი

დანართი N2. - სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილი მასალები

N	აუდიტის დასახელება	თარიღი
1	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013-2014 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	19/02/2016
2	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში მიმდინარე 2015 წლის ფინანსური აუდიტიდან გამომდინარე - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კვებითი მომსახურების შესყიდვის მიმდინარე ელექტრონული ტენდერის შესახებ ინფორმაცია და მასალები	15/03/2016
3	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდის შესაბამისობის აუდიტი	16/03/2016
4	საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში	17/03/2016
5	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში	22/03/2016
6	ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	22/03/2016
7	გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	22/03/2016
8	წალკის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	22/03/2016
9	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	22/03/2016
10	თილვის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	22/03/2016
11	ახალგორის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	22/03/2016
12	ასპინძის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	22/03/2016
13	ვანის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	22/03/2016
14	ერედვის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	22/03/2016
15	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიში	17/05/2016
16	„საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ 2012-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი	14/07/2016
17	აიკ „ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ 2014-2015 წლების ფინანსური აუდიტი	15/08/2016
18	სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ 2012, 2013 და 2014 წლების შესაბამისობის აუდიტი	09/09/2016
19	მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში	20/09/2016
20	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში	20/09/2016

21	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობისა და 2015 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტები	20/09/2016
22	ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში 2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში ადმინისტრაციული და საგზაო ინფრასტრუქტურის პროგრამის შესაბამისობის აუდიტი	20/09/2016
23	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი	02/12/2016
24	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამის კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების აუდიტის მასალები	06/12/2016
25	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამის კულტურის განვითარების ხელშეწყობის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი	21/12/2016
26	სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ 2012, 2013 და 2014 წლების შესაბამისობის აუდიტი	26/12/2016
27	სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის (ბოლო 2.5 წლის პერიოდი) შესაბამისობის აუდიტი ²⁶	13/02/2017

²⁶ აუდიტი ჩატარდა 2016 წელს